

ეთერ სოფიშვილი

წუტიანა და ბოცვები



გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი, 1996

ნაშრომში განხილულია ნუტრიისა და ბოც-
გრის მოვლისა და მოშენების წესები, რაც
მოსახლეობას დიდად დაეხმარება კერძო და
გამსხვილებული მეურნეობების შექმნაში, ეს კი
თათოვეული ოჯახისა და სახელმწიფოს ეკო-
ნომიურად გაძლიერების საწინდარია.

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით.

რედაქტორი ი. მღებრიშვილი
მხატვარი ი. ვასილკოვსკი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუნაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჰელიძე
კორექტორი შ. ხუტაშვილი

გადაეცა წარმოებას 27.12.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.96.
საბეჭდი ქალაქი № 2. 60×84¹/₁₆. გარნიტური ვენა. ბეჭდვა
მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8,37. სააღრ.-საგამომც.
თაბახი 7,48. ტირაჟი 7.000. შეკვ. № 164.

ფასი სახელმწიფოებო

გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

3705020110 — 012

ს _____ 96

მ 601 (08) — 96

© ე. სომხიშვილი, 1996

წინასიტყვაობა

მსოფლიო ბაზარზე ტყის მობინადრეთა ძვირფასი ბეწვეული ძვირად ღირებული საქონელია.

ყველაზე დიდი რაოდენობით ძვირფას ბეწვეულს აწარმოებს და მსოფლიო ბაზარზე მის მიმწოდებლად ითვლება სკანდინავია, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, პოლონეთი, იაპონია, გერმანია, ნორვეგია, დანია, ფინეთი, შვეიცარია, აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირი.

ძვირფასი ბეწვეულიდან ძირითადად აწარმოებენ სხვადასხვა ფერის მელიის, სიასამურის, უსფერო ყარსალის, წაულას და სხვა სახის ბეწვს. საბაზრო ბეწვეულის მოცულობაში 70 პროცენტი უკვეა წაულას ბეწვს. აღსანიშნავია, რომ ფინეთი და შვეიცარია განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აწარმოებენ ვერცხლისფერ-შავ მელიის ბეწვს.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ძვირფასი ბეწვეულის მსოფლიო ბაზრის ძლიერმა მიზიდულობამ მკვეთრად შეამცირა მომწოდებელ ქვეყნებში ძვირფასი ბეწვეულის მქონე ბინადართა სულადობა. მოხდა ამ საქონლის საგრძნობი შემცირებაც. ამ პროცესმა ააღორძინა და განავეითარა ახალი მობინადრის — ნუტრიის ბეწვის წარმოება.

ნუტრიის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. ამ ქვეყანაში მისი განვითარების შემდეგ გავრცელდა და აღიარება პოვა ევროპაში — იტალია, გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი, ბალტიისპირეთი. ამ ბოლო პერიოდში პოლონეთი ერთ მილიონზე მეტ ნუტრიის ტყავს ამზადებს, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდება სხვა ძვირფას ბეწვეულს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში და ევროპის ქვეყნებში მაღალ დონეზეა განვითარებული აგრეთვე შინშილისა და სხვა ჯიშის ბოცვრის წარმოება. საუკეთესო ჯიშის ბოცვრის ბეწვი თავი-

სი მაღალი ხარისხით მოწონებით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში დიდი ხვედრითი წილი აქვს ნუტრიისა და ბოცერის სადიეტო, სამკურნალო ხორცს.

რუსეთის ტერიტორიაზე ნუტრია და ბოცერი ფართო მასშტაბითაა მოშენებული. ნუტრიით ძირითადად დაკომპლექტებულია კრასნოდარის მხარე. აქ ვხვდებით როგორც გამსხვილებულ, ასევე მასობრივად ოჯახურ მეურნეობებსაც.

საქართველოს აქვს მებოცვრობის რამდენიმე მეურნეობა, სადაც აწარმოებენ ძირითადად შინაილის ჯიშის ბოცერს.

შეიძლება თუ არა საქართველოში შეიქმნას ძვირფასი ბეწვეულას წარმოების ბაზა?

ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები და საკვები პროდუქტების წარმოების მაღალი შესაძლებლობები.

მოსახლეობას ცოდნის მიწოდება და პრაქტიკული დახმარება სჭირდება. წიგნის შექმნაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება: მასში გაშუქებულია კერძო მეწარმეობის დანერგვისა და მისთვის გზის გაკაფვის, თითოეული ოჯახის მიზნობრივი დასაქმების და ცოდნის შეტანის, აუთვისებელი საკვების გამოყენების საკითხები.

ნაშრომი დაეხმარება დაინტერესებულ პირთ გაეცნონ ნუტრიისა და ბოცერის ხასიათს, შეისწავლონ მათი გამოზრდისა და გამრავლების წესები, პროდუქტის მიღებისა და დამუშავების ტექნოლოგია.

ოჯახურ პირობებში ნუტრიისა და ბოცერის პროდუქტიულობა უფრო მაღალაა, ვიდრე ბუნებრივ პირობებში ცხოვრების დროს. მატულობს როგორც ფიზიკური წონა, ბეწვის ხარისხი, ასევე შობადობა. იცვლის ხასიათს ადამიანთან დამოკიდებულებაში, ჰკარგავს აგრესიულობას.

საერთოდ, ტყის ბინადართ ახასიათებთ ნივთიერებათა ცვლის დაქვეითება შემოდგომა-ზამთარში, რასაც გალიის პირობებში გამოზრდის დროსაც ინარჩუნებენ, როგორც ბუნებრივ პირობებში ცხოვრების თვისებას.

ნუტრიას და ბოცერს ნივთიერებათა ცვლის დაქვეითება ძალიან მცირე რაოდენობით აღენიშნებათ თავისუფლად ყოფნის დროს. ისინი სამხრეთ ამერიკის ბინადარნი არიან და ცხოვრება უხდებოდათ ტროპიკულ ზონაში, მათ ეს თვისება მაშინაც შეინარჩუნეს, როდესაც

სხვადასხვა ქვეყანაში მოხვდნენ. აქედან გამომდინარეობს ამ ცხოველთა წლის ნებისმიერ პერიოდში გამრავლება, რაც სხვა ტყის მობინადრისათვის არ არის დამახასიათებელი. ამ თვისებას უნდა ვუმაღლოდეთ ნუტრიისა და ბოცვის სწრაფ გამრავლებას და დიდ პროდუქტიულობას.

ამრიგად, კერძო მეურნეობებისა და გამსხვილებული ფერმების შექმნის გზით უნდა გავამრავლოთ ნუტრია და ბოცვერი, ამით ხელი შევუწყოთ საქართველოში ძვირფასი ბეწვეულის წარმოებას.

ნუტრიის ბიოლოგია

ნუტრია საკმაოდ მოზრდილი ცხოველია და მიეკუთვნება ძუძუ-მწოვარა მღრღნელთა ჯგუფს. გარეგნობით თახვს მოგვაგონებს. ზოგჯერ მას ჭაობის თახვსაც უწოდებენ. ნუტრია ძირითადად ცხოვრობს ჭაობში. გვხვდება ნაკლებად გამდინარე ან ზოგჯერ მდგარ წყალშიც. მისი სამშობლო სამხრეთ ამერიკაა, ამიტომ ის კარგადაა შეგუებული ტროპიკულ — ცხელ ჰავას, ასევე მის ჩრდილოეთ ცივ ადგილებსაც. ძირითადი საკვებია წყლისა და სანაპიროს მცენარეები.

ნუტრიის ტყავი სასიამოვნო შესახედავია ორიგინალური შეფერილობითა და მოქნილობით, რითაც წავას უახლოვდება და ბოცერის ტყავზე უკეთესია.

გარდა ბეწვისა, ნუტრიისაგან ვღებულობთ მაღალხარისხოვან სამკურნალო თვისებების დიეტურ ხორცს. ნუტრიას შეუძლია წლის განმავლობაში ბევრჯერ მოგვეცეს შთამომავლობა.

ნუტრია მშვენივრად ცურავს წყალში, თხრის მიწას. შეუძლია წყალქვეშ ისე გასუროს 100 მეტრამდე, რომ თავი არ ამოყოს. ამტვრევს ყინულს, თუმცა ყინულში ცურვის ორიენტაციას ვერ ახდენს და შიგ იღუპება. სიცოცხეს არ გაუტრბის. თახვივით ჩუმად არ ინახავს საკვებს. ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებში ცხოველი მისდევს ღამის ცხოვრებას, დღისით სოროებში იმყოფება ან ფარულს ეფარება.

გალიის პირობებში ნუტრიას დღის საათებში კვებავენ, მათი გადაყვანაც დღისით ხდება, ამიტომ ადვილად ეგუებიან დღის სინათლეს და ნორმალურად გრძნობენ თავს.

ნუტრიის ცოცხალი წონა 5-დან 7 კგ-მდე მერყეობს. ზოგ შემთხვევაში ერთეული ცხოველები 9—15—17 კგ-ს აღწევენ. ტანის სიგრძე ცხვირის ბოლოდან კუდის ძირამდე 45—70 სმ-ია. მამალი ნუტრია ყოველთვის 10—15 პროცენტით მეტი წონისაა დედალზე და ტანის სიგრძემ შეიძლება 90 სმ-საც მიაღწიოს. ნუტრიის კუდა მრგვალია, 30—35 სმ-ის, დაფარულია მუქი თხელი ბუსუსებით.

ნუტრიას აქვს 16 ძირითადი და 4 საჭრელი კბილი, რომელიც

ლია-ნარინჯისფერია. საჭრელი კბილები ცხოველის სიცოცხლის მთელ პერიოდში იზრდება. გალის პირობებში ცხოველი შეუჩერებლივ ამოძრავებს ყბებს — უხახუნებს ერთმანეთზე ზემო და ქვემო საჭრელ კბილებს და ამით ლესავს მათ. აღსანიშნავია, რომ საჭრელი კბილის ფერით შეიძლება ცხოველის ჯანმრთელობის დადგენა. ღია კაშკაშა ნარინჯისფერი მეტყველებს ცხოველის სიჯანსაღეზე. მოზარდებსა და უფროსებს ღია ფერის კბილები აქვთ. ყვითლად შეფერილი, მუქი ლაქებიანი საჭრელი კბილები გვიჩვენებენ ცხოველის დაუძლურებას.

ნუტრიას მთელი რიგი ანატომიური თვისებები ახასიათებს, მისი ცხოვრება ნახევრად წყალშია შეპირობებული.

ცხოველის მუცლის არე დაფარულია უფრო ხშირი და სქელი ბეწვით, ვიდრე ტანის სხვა ადგილები. ეს და სხვა თვისებები ადასტურებენ, რომ ნუტრიის სიცოცხლე აშუცილებლად წყალს ითხოვს. მისი დიდი თავი აწეულია მაღლა, როგორც ეს დამახასიათებელია ნახევრად წყლის ცხოველებისათვის. თავი თითქმის უკისროდ ებმის ტანს, ტანი მაგარი, რამდენადმე წაგრძელებულია. თვალის გუგები განლაგებულია შუბლზე, რომელიც არეგულირებს მოცურავე ცხოველის ორიენტაციას. მხედველობა არც ისე ძლიერი აქვს. ყურები მოკლეა, ოდნავ ჩამოშვებული. ნიჟარები დაფარულია ბუსუსოვანი ბეწვით, რომელიც წყალს არ უშვებს სმენის ორგანოში. აღენიშნება კარგი სმენა. თავის ქალა ტიპიურია მღრღნელთათვის, სიგრძე 11—13 სმ-ია, სიგანე 7—8 სმ. ქვედა ყბა საგრძნობლად განვითარებულია, უკანა ფეხები მოკლეა წინა ფეხებთან შედარებით, რომლის ოთხივე თითი ერთმანეთზე აპკითაა გადაბმული, ბატისებურად, რაც ცურვაში ეხმარება. წინა თათებზე კარგადაა განვითარებული 5—5 თითი, რაც მაიმუნის ხელებს გვაგონებს. მათი დახმარებით ცხოველი იღებს საკვებს, რეცხავს და ჭამს. ასევე ამ თათებით ივარცხნის და ისუფთავებს ბეწვს. თითებზე კარგადაა განვითარებული ბასრი ბრჭყალები, რასაც თავდაცვის საშუალებად იყენებს.

ზედა ტუჩზე კარგად აქვს განვითარებული გრძელი და მაგარი უღვაში. ისინი ასრულებენ შეხების შემგრძნობ ფუნქციას.

მიწაზე ნუტრია მოძრაობს ნელა, მოქნილად ან შეკუმშულად. სწრაფად და დიდხანს სიარბილი არ შეუძლია. მოძრაობისას მუცელი თითქმის მიწას ეხება.

ნორმალური კვების დროს მოზრდილ ნუტრიას აღენიშნება ცხი-

მის დაგროვება მუცელზე და კუდის ძირში. ცალი ჭირკვალი მოთავსებულია განავლის გამომყოფ ხერელის ქვეშ, საიდანაც გამოიყოფა ცხიზი ბეწვის გასაპოხად.

ნუტრიის ხერხემალი შედგება 56 მალისაგან: 7 კისრის, 13 გულმკერდის, 6 წელის, 4 გავის არეში და 26—27 კუდის. ხერხემლის ღრუ მთავრდება კუდის ღრუთი. აქვს 13 წყვილი ნეკნი, მათ შორის 8 — მარტივი და 5 — რთული. მხრების ძირში გარდა თათისა ხრტილია, რომელიც თათს ამავრებს პირველ ხერხემალთან. ეს არეგულირებს წინა თათის სწრაფ მოძრაობას მხართან ერთად.

მუცლის არე და კუნთები, ძირითადად, კუდი კარგად აქვს განვითარებული. კუჭი მუცლის გასწვრივ მარცხენა მხარესაა მოთავსებული, რომელიც ერთპარკუჭიანია. მოზარდი ნუტრიის კუჭის მოცულობა 500 მმ-ია. ნაწლავების საერთო სიგრძე 6—7 მ-ია ან ნუტრიის ტანზე 10—12-ჯერ გრძელი. საკვები კუჭ-ნაწლავის ღრუში ჩერდება მოზარდებში 24—30, ხოლო მოზრდილებში 60—70 სთ-ს. ზურგი მეტად მგრძნობიარეა. ცურვისას ზურგით თითქმის არ ჩადის წყალში. ზურგი თავდაცვის ფუნქციასაც ასრულებს.

ნუტრიას ისევე როგორც ბოცვერს აქვს დიდი ბრმა ნაწლავი — დაახლოებით 50 სმ-ის, რომელშიც ფერმენტების მოქმედებით, გამომუშავებული ბაქტერიებისაგან მიჰდინარეობს ცოცხალი უჯრედის დაყოფა. ბრმა ნაწლავის მოცულობა თანაბარია დაახლოებით 45 პროცენტის სხვა ყველა ნაწლავის ტევადობისა. ერთია, რომ ბოცვრისაგან განსხვავებით, ნუტრიის ბრმა ნაწლავში ბაქტერიები შედარებით ცოტაა, რაც განპირობებს ნუტრიის ნედლი — უმი უჯრედების გადახარშვის ნაკლებ უნარიანობას. უმი უჯრედოვანი საკმლის გადამუშავებით ნუტრია ღორთან უფრო ახლო დგას, ვიდრე ბოცვერთან.

მოზრდილი ნუტრია გამოყოფს 150-დან 250-მდე განავალს და 300-დან 600 გ-მდე შარდს. ბოცვრისაგან განსხვავებით დღისა და ღამის განავალი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არ შეიმჩნევა კაპროფაგია.

ცხოველის სქესი მეტად ადვილად განისაზღვრება თვალით. დედა ნუტრიის სასქესო ორგანო განავლის გამომყოფ ორგანოსთან ახლოსაა. მამალი ნუტრიასი კი განავლის გამომყოფი ორგანოდან 3—4 სმ-ითაა დაცილებული. მამალ ნუტრიას ორი სათესლე ჭირკვალი აქვს, სადაც სპერმატოზოიდებია მოთავსებული. სათესლე ჭირკვალი

ამ უკანასკნელს შეიძლება ჰქონდეს ტანზე ზოლად ან კანქვეშ, საზარდული ჭირკვლებას საშუალებით ჩაშვებული. აღსანიშნავია, რომ ცხოველს წყალში ხშირად ყოფნით უგრილდება სპერმა. აქვს შარდ-გამომყოფი ორგანო. სარძევე ჭირკვლები მუცლის ქვეშ კი არა, გვერდებზეა განლაგებული, დაახლოებით $\frac{1}{3}$ ნაწილის ზევით, რაც საშუალებას აძლევს ლეკვებს ძუძუ მოწოვონ მაშინაც კი, როცა დედა ნუტრია წყალში იმყოფება. დედალ ნუტრიას აქვს ორი საკვერცხე, მოკლე საკვერცხე, ორყურიანა საშვილოსნო და ბუდე. საკვერცხეებში მწიფდება ფოლიკული, რომელიც ვითარდება სასქესო ორგანოში — კვერცხუჭრედებში. ბუდის სიგრძე 12 სმ-ია. საშარდე ბუშტი ცალკე ბოლოვდება. ფოლიკულის ზრდა-განვითარება დედა-ნუტრიაში მრმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ რამდენადმე ინტენსიურია მძუნეარების დროს. მაკეობისას ფოლიკულის მოქმედება მცირდება და მშობიარობს წუთებში ზოგაერთი დედალი ნუტრიის ფოლიკული არ მონაწილეობს. ეს არის ერთადერთი მიზეზი დედა ნუტრიის დაბალი ნაყოფიერებისა. რომელიც დაგრილებულია მშობიარობის პირველსავე შემთხვევაში. დალეკვიანების შემდეგ ფოლიკულის მოქმედება აღსდგება და გვაძლევს ნაყოფიერების გაზრდის საშუალებას.

ნუტრია საგრძნობლად შობადია და აქვს უნარი გამრავლდეს წლის ნებისმიერ დროს. მამლები მუდმივად აქტიურია. დედა ნუტრიას შეწყვილებაზე მოთხოვნილება უმეორდება ყოველი 25—30 დღის შემდეგ, ზოგჯერ 14—16 ან 30—40 დღეში. მშობიარობის შემდეგ 1—3 დღეს დედა ნუტრია უკვე შეწყვილებაზე მუდის. ნორმალურ პირობებში წლის განმავლობაში შეიძლება მივიღოთ 2—2,5 შობადობა. 127—137 მაკეობის დღის შემდეგ დედა ნუტრია შობს 4—5 ლეკვს, ზოგჯერ მათი რიცხვი 10-ს და მეტსაც აღწევს.

ახლად დაბადებული ლეკვები კარგადაა განვითარებული და ბევრითაა დაფარული, აქვთ მხედველობა, მჭრელი კბილები, შეუძლიათ ცურვა. დედა ნუტრია არ ამზადებს თბილ ბუდეს ლეკვებისათვის და თავისი ბევრით არ ფარავს მათ, როგორც ეს ბოცვერს ახასიათებს. ახლად დაბადებული ლეკვის საშუალო წონა 175—200 გ-ია. მაღალ მშობიარობის დროს ისინი უფრო პატარები არიან.

ბოცვერთან შედარებით ნუტრია ნელა იზრდება. მისი დღე-ღამური მატება 20—25 გ-ს ითვისს პირველი 4 თვის განმავლობაში. ერთი წლისა 4—6 კგ-მდე იწონის. ცხოველის ზრდა 1,5—2 წლამდე

გრძელდება. სქესობრივი მომწიფება აღინიშნება 3—4 თვის ასაკში. ცოცხლობს 6—7 წელს. სამი წლის შემდეგ მისი მწარმოებლობა მცირდება.

პირველად ბეწვის დაფარვის სიგრძე ახალგაზრდა ლეკვებს 40 დღეში უმთავრდებათ, ხოლო შემდეგი 10 დღის განმავლობაში ეწყებათ პირველი ბეწვის ცვლა, რომელიც 4—5 თვის ასაკში მთავრდება. 7—7,5 თვის ნუტრიის ბეწვი მომწიფებით ისეთავეა, როგორც მოზრდილი ნუტრიისა. მოზრდილ ნუტრიებს ბეწვის ცვლა მცირე რაოდენობით ახასიათებთ წელიწადის ნებისმიერ დროს. ოდნავ მცირდება ივლის-აგვისტოში და ნოემბერ-დეკემბერში. ყველაზე უკეთესი მომწიფებული ბეწვი აქვს ნოემბრიდან-მარტამდე. ბეწვის ხარისხი დამოკიდებულია ცხოველის კვებისა და შენახვის პირობებზე. აღსანიშნავია, რომ ზაფხულის პერიოდში წყლას უკმარისობა იწვევს ბეწვის ხარისხის გაუარესებას, მაშინ როდესაც ზამთარში წყლის უკმარისობა გავლენას არ ახდენს ხარისხზე.

ბეწვის საფარველი მკიდროა, შედგება გრძელი ფხისებრი ბრწყინვალე ბეწვისაგან, მის ქვეშ კი მკიდროდ განლაგებული ნაზი თივთიკისაგან. ნუტრიის ტანზე ბეწვის სისქე და სიგრძე სხვადასხვაა. მუცლის არეში ბეწვის საფარველი უფრო ხშირი და მოკლეა, ზურგზე კი გრძელი და შედარებით თხელი. ეს იმით აიხსნება, რომ ცხოველის წყალში ყოფნისას მუცლის არის გაცივებას აფერხებს ხშირი და მოკლე ბეწვი, გრძელი კი იცავს ნაზ თივთიკს წყლისა და საფრთხისაგან.

გარეული ნუტრიის სტანდარტული ფერი მუქი-ყავისფერია, მუცლის არეში უფრო ღია.

ამჟამად სასელექციო მეთოდებით გამოჰყავთ სხვადასხვა ფერის ნუტრიები: თეთრი, სადაფისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, შავი და სხვ.

ოჯახური მეურნეობის განვითარების პირობებში აუცილებელია ვიცოდეთ ამ ცხოველის ზოგიერთი ბიოლოგიური თვისება: ნუტრიის ორგანიზმის ნორმალური ტემპერატურა 37—38 გრადუსია. მშიშარა ცხოველია. დაჭერის დროს გულის სიჩქარე წუთში 70—80-მდე დარტყმას უჩვენებს. ცურვისას ორგანიზმის სითბო ინახება კუნთებიდან გამოსული სითბოს. ხარჯზე, ამის გამო, მიუხედავად მისი ხშირი მოძრაობისა, ნივთიერებათა ცვლა არ იზრდება, ამ დროს გულას სიჩქარე საშუალოდ 4-ჯერ, ზოგჯერ კი 10—20-ჯერ მცირდება.

ნუტრიის აქტიურობა განპირობებულია მის გარშემო არსებული სიტბოთი. ყველაზე ნორმალურ ტემპერატურად ითვლება 15—20 გრადუსი. ცურვის პირობებში ასევე კარგად იტანს 35—40 გრადუსამდე სიცხეს, თუ მათი სამყოფელი დაჩრდილულია.

უწყლოდ, დიდი სიცხეების დროს, ნუტრიას ერღვევა სიტბოს რეგულაცია, ორგანიზმის ტემპერატურის 3—5 გრადუსით გაზრდის დროს შეიძლება ცხოველმა მზის დარტყმა მიიღოს.

ძლიერ ყინვებში (—15—20°), განსაკუთრებით ქარიან ამინდში, ნუტრიის აქტივობა კლებულობს. ცხოველი ნაკლებად შობრაობს, ცოტას ჭამს წვნიან საკვებს, ორგანიზმის ტემპერატურა 2—5 გრადუსით ეცემა. ამ პერიოდში ისინი იწყობებიან თბილ სადგომებში, სადაც დაგებულია ფიცარი და ჩალა. ერთგვაროვანი კვების დროს ნუტრიის ცოცხალი წონა 10—20 პროცენტით მცირდება, ვიღრე ზაფხულში.

ახალგაზრდა და მოზარდი ნუტრია იშვიათად ემორჩილება ავადმყოფობას.

მუქი ყავისფერი ნუტრია შემოიყვანეს 1930 წელს რუსეთში არგენტინიდან და გერმანიიდან. პირველ ხანებში მას სამხეცეებში ამრავლებდნენ. გამსხვილებულ ფერმებში და ოჯახურ პირობებში მათი მოშენების შემდეგ დაიწყო ამ ცხოველის მასობრივი მოშენების ორგანიზაცია. ნაკლები მცენარეული საკვების დანახარჯებით ხდება საკმაოდ დიდი მოგების მიღება. ნუტრიის გამრავლებამ კერძო მეურნეობებში ფართო ხასიათი მიიღო კრასნოდარის მხარეში. აქ ტყავის დამუშავება და მზა ნაწარმის შექმნა საკმაოდ მაღალ დონეზეა.

ნუტრიასთან მუშაობის წესი

ნუტრია სისუფთავის მოყვარული და უწყინარი ცხოველია. თბილი მოპყრობით ის შეიძლება აღვზარდოთ როგორც შინაური, ხელის ცხოველი. ისინი იმახსოვრებენ საკუთარ სახელებს და სურვილით მიჰყვებიან პატრონს, რომელსაც სუნითა და ხმით სცნობენ.

ნუტრიის მოშენებაში დადებითი შედეგი შეიძლება მივიღოთ მასთან მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულებით. უხეში მიმართვა ცხოველში აღძრავს არასასურველ გამოვლინებებს, მცირდება მისი პროდუქტიულობა. აუცილებელია მიჩვევა, ცხოველს არ უნდა ეშიროდეს ადამიანის. შეშინებულს ხშირად უჩნდება დანაჟეჯი და ემარ-

თება აბორტი. ნუტრიის დაქვერა გადასმის ან გასინჯვისათვის ისე უნდა მოხდეს, რომ ტკივილი არ მივაყენოთ და არ გავალიზიანოთ. მიზანშეწონილი არ არის დედა ნუტრიის შეწუხება მაკეობის მეორე ნახევარში. უმჯობესია შევეძინოთ მოზარდი ცხოველი. ისინი ადვილად ეგუებიან ახალ პირობებს და ნაკლებად წუხდებიან.

ნუტრიის კბენა საზიანოა, მაგარი საჭრელი კბილებით მას შეუძლია თითის მოჭრა. ამიტომ მიზანშეწონილი არ არის ცხოველის ხშირი შეწუხება და გალიასთან ზედმეტად ყოფნა. ნუტრია რომ დაიჭიროთ, ხელი უნდა მოჰკიდოთ კუდის შუა ნაწილში, ასწიოთ სწრაფად მალლა და ცხოველს მისცეთ საშუალება წინა თათებით მოეკიდოს გალიის ან სადგომის კედელს. ამ დროს მეორე ხელი ფრთხილად უნდა შევეუტუროთ მკერდთან. წინა თათებთან და მოაცილოთ საკედს. ასე შეიძლება ცხოველის გადაყვანა სხვა გალიაში ან მისი მაკეობის გასინჯვა. თუ ნუტრია ბრაზიანია, შეიძლება მისი აყვანა კუდის ბოლოთი და ისე გადასმა.

რეკომენდებული არ არის წელზე შეხება, ვინაიდან მას ეს ადგილი მეტად მგრძობიარე აქვს და ერთგვარი თავდაცვის სიგნალსაც აძლევს. შეხებას დროს ცხოველი ღიზიანდება. ნუტრია სულ უწყინარი გახდება თუკი მას მუცლის არეში მოეფერებთ. მუცლის დასათვალიერებლად იგი სწრაფად გადმოაბრუნეთ ზურგზე და საბურავით დაიჭიროთ.

დიდ მანძილზე გადაყვანისას აუცილებელია წესების დაცვა. გადაყვანა უკეთესია 40—45 მმ სიდიდის ბადის საშუალებით. ასევე შეიძლება მათი გადაყვანა ტომრით, სადაც ისინი წყნარად სხედან.

ნუტრიის სადგომი


ნუტრიის მოშენების მრავალი წლის გამოცდილებამ განაპირობა ცხოველის სადგომის სხვადასხვა ფორმის შექმნა. სადგომის გაკეთებისას უნდა გავითვალისწინოთ მისი ბიოლოგიური თვისებები და თავისებურება. უპირველესად ის, რომ ნუტრია არის ტროპიკულა ზონის ცხოველი, ე. ი. უყვარს სითბო და სიცივეს ცუდად იტანს. თუმცა ეს არ უშლის ხელს მის მოშენებას ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც მას ადამიანი ხელოვნურად უქმნის ამ პირობებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნუტრია ჰაობის ცხოველია და სიცოცხლის ნახევარზე მეტს წყალში ატარებს. მისი სადგომის გაკეთე-

ბისას ეს პირობაც უნდა ვვანსოვდეს. აგრეთვე ისიც, რომ წყალი აუშვებებს ბეწვის ხარისხს და ცხოველის პროდუქტიულობას ზრდის. ნუტრიას უყვარს თხრა და გაპარვაც. ცხოვრობს ოჯახებით და სხვადასხვა ოჯახის წევრები ურთიერთმეუფეებლბა არიან. ბასრი ბრჭყალებით ერთიმეორის დასისხლიანება და ტყავის გაფუჭებაც შეუძლიათ. აღნიშნულის გამო, გალიების კონსტრუქცია შეიძლება იყოს როგორც რთული, ასევე მარტივი. გვერდზე გადაბრუნებულ კასრშიც კი შეუძლია ამ ცხოველს შეინარჩუნოს გამრავლების უნარი თუკი მას წყალი ექნება.

ნუტრიის სადგომის კონსტრუქცია ბუნებრივ პირობებზეცაა დამოკიდებული. ზამთარი, სადაც თბილია და არ იცის ძლიერი ყინვება, შეიძლება შევქმნათ ერთი ტიპის გალია, ხოლო იქ, სადაც მკაცრი ზამთარი იცის და წყალი იყინება აუცილებელია გამოვიყენოთ კომპონირებული ან დახურული სისტემის სადგომი.

საერთოდ, გალია სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ნუტრიის ბუდე, სასეირნოსაკეები ადგილი და საბანაო აუზი. ნუტრიის ბუდე იმ რაიონებში, სადაც ზამთარი თბილია, კეთდება 25 მმ-იანი სისქის ფიცრისაგან. შეიკვრება ჩვეულებრივი ყუთი, რომლის სიგრძე 100 სმ-ია და სიგანე — 80, უკანა კედლის სიმაღლე 40, წინასი — 60 სმ. შიგნით გამოიკვრება წვრილუჯრედებიანი უქანგავი ბაღე, რათა ცხოველმა ხე არ დაღრღნას. წინა კედელთან შესასვლელი ადგილია დატოვებული. სახურავის მცირე ნაწილი უნდა იხდებოდეს სადგომის გამოსასუფთავებლად. იქ, სადაც სიცივეა, შეიძლება ბეტონის ან წითელი აგურის ბუდის გაკეთება, რაც შემდეგ უნდა გაილესოს ორივე მხრიდან, დაბლა დაესხას ცემენტი ან დაიგოს ქვის ფილაქანი, რაზედაც შემდეგ გაიდება ფიცარი, რათა ცხოველს სიცივეში ფილაქანზე თათები და სასქესო ორგანო არ გაეყინოს.



სურ. 1.

ნუტრიის გალიის სქემა ბადითა და ხის სადგომით.

ბუდის გვერდების ორივე მხარეს გაკვიმავთ უქანგავ ბაღეს, რომ-


ლის ქვედა ნაწილი უნდა ჩაბეტონდეს. ბადის სიგრძე ტოლია უნდა იყოს 1,2 მ-ისა, რომელიც ორად გაიყოფა. მისი ბოლო ნაწილი (40 სმ სიგანისა) დახრილი მდებარეობით უნდა ჩაბეტონდეს 180 გრადუსით. სიღრმე ჰქონდეს არა ნაკლები 40 სმ-ისა. ეს იქნება ცხოველი საბანაო აუზი, სადაც გაედინება ოდნავ გამღინარე სუფთა წყალი.

საბანაო აუზი და სასეირნო-საკვების ადგილი უნდა იყოს მთლიანად დაბეტონებული. ბადის სიმაღლე ერთ მეტრს უნდა აღწევდეს. ასეთი ბინა შეგვიძლია გავაკეთოთ გვერდიგვერდ — ორ-ორი ცალი როგორც მასალის ეკონომიისათვის, ასევე მოვლის გასაუმჯობესებლად სამეზობლო კედელი ზედმიწევნით წმინდა უჯრედებიანი ბადისა უნდა იყოს, რათა ცხოველმა ვერ შეძლოს ერთმანეთთან თათებით ჩხუბი.

გალიის გასაკეთებლად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ უქანგავი ბადე, ვინაიდან ცხოველი ხშირად ილესავს ბადეზე კბილებს და დაუანგვის შემთხვევაში იწამლება. ასეთი ბინა ცხოველის გამოწვრილსათვის და მაღალი პროდუქტულობის მძღებსათვის მეტად პრაქტიკულია. ამ სქემის ბინა შეიძლება მოეწყოს როგორც მიწაზე, ასევე მიწიდან დაცილებით.

მკაცრ ზამთარში, როდესაც წყალი იყინება, გალია უნდა მოვათავსოთ გამოსაზამთრებელ ფარდულში. გალია უნდა იყოს მოძრავი. მას ნუტრიის ბუდე უნდა ჰქონდეს ხის, საკვები და დასასვენებელი ადგილს იატაკი — ბადის, რომელიც ჩახსნილი იქნება წყლის განყოფილებასთან, ისე რომ ბადის ბოლო ნაწილი იკვრებოდეს. ამრიგად, გამოსაზამთრებელ ფარდულში შეგვაქვს გალიის მხოლოდ ორი ნაწილი — ნუტრიის ბუდე და საკვები-სასეირნო ადგილი. მას ედგამთ მიწის ზევით 40 სმ-ის სიმაღლეზე. ბუდეს მივადგამთ ფარდულის კედელს ისე, რომ მათ შორის სათბობის, კერძოდ, ჩალის ჩატენვა შეგვეძლოს. ასეთი გალიები უნდა დავდგათ ორ-ორი ერთად. ჩალა და ნახერხი დავაფინოთ ბუდის შიგნით. გალიის მეორე განყოფილებაში დავდგამთ სარწყულებელ აბაზანას. გამოსაზამთრებელი ფარდული ისე უნდა შეიკრას, რომ ქარი არსაიდან შედიოდეს. მეტად მკაცრ ზამთარში ღუმელი რამდენჯერმე უნდა დაინთოს.

ნუტრიის ბინა მკაცრი ზამთრის მქონე რაიონში სხვა სახითაც შეიძლება მოეწყოს. დამთბარ შენობაში გალიები გამწვკრივდეს ორ ან სამ რიგად. შენობაში თავიდან ბოლომდე ამდენივე რიგად გაიყვანება საბანაო არხი მთელ სიგრძეზე, სადაც ჩაწყობილია გალიის



სურ. 2. ნუტრიის ორსართულიანი გალია.

მესამე ნაწილი და გაედინება გამდინარე წყალი. ამ შემთხვევაში ცხოველი არ განიცდის წყლის ნაკლებობას და ასეთ შენობაში სითბოს რეგულირებაც შესაძლებელია 15 გრადუსამდე, რომლის დროსაც ცხოველი კარგად გრძნობს თავს.

ნუტრიის მოშენების მიმდევრები იყენებენ აგრეთვე უაუზო მეთოდს, იმ შემთხვევაში, თუ გამდინარე წყლის ნაკლებობა და ამავე დროს ადგილის სიმცირეა, გალიას ამზადებენ მთლიანად ბადით, სადაც დგამენ ნუტრიის ბუდეს, ხოლო ბოლოში ღრმა აბაზანას. ასეთ

გალიებს ორსართულიანს აკეთებენ (იხ. სურ. 2). აბზანაში წყალს უშვებენ რეზინის მილით. წყალს უცვლიან დღეში ორჯერ—დღლა-სა-ლამოს. დიდ ფერმებში გამოყენებულა ბუდეჩაუდგმელი ორსართულიანი გალიები, სადაც მოწყობილია სპეციალური სარწყულელები. შენობა თბება. ასეთი მეთოდი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და შედეგიც არასაკმარისია.

ამრიგად, როდესაც ნუტრიისათვის გალიის კეთებას ვიწყებთ, პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ თბილი სადგომის მოწყობაზე, რომელიც მას მკაცრ ზამთარს გადაატანინებს. ხშირმა ბეწვმა შეიძლება დაიკვას ყინვისაგან, მაგრამ კუდი და თათები მაინც გაეყინება. ფილაქან დაგებულ სადგომში უნდა დაიფინოს ფიცარი, დაიყაროს ნახერხი ან ჩალა. მომვლელმა უნდა იცოდეს: დედა ნუტრას ცივ ფილაქანზე მალე უცივდება საშვილოსნო, რაც იწვევს აბორტს. ხოლო მამალი ნუტრიის სათესლე ჯირკვლების გაცივება—უნაყოფობას. ძლიერი გაცივება შეიძლება ნუტრიის სიკვდილიანობის მწვერულს განდეს.

ცხოველს ბუდე ყოველთვის მშრალი და თბილი უნდა ჰქონდეს: აშიტომ აუცილებელია მისი ხშირი გასუფთავება.

ზაფხულის პერიოდში ნუტრიას უნდა ჰქონდეს სუფთა ჰაერი, მზე და წყალი. სისუფთავე და ხარისხიანი კვება ჯანმრთელობის აუცილებელი მოთხოვნილებაა. საჭიროა დეზინფექციის ჩატარება ცხელი წყლით, ანდა 3—5-პროცენტის კრეოლინის ხსნარით. სადგომში უნდა მოვსპოთ თაგვები—სხვადასხვა ინფექციური დაავადების მატარებლები.

ნუტრიის ბინა აუცილებლად მყუდრო ადგილზე უნდა განლაგდეს. იყოს მოხერხებული და კარგად მოწყობილი, ბუდე — მშრალი, ქარისა და სიცხისაგან დაცული.

ნუტრიას ყინვებამდე უნდა ჰქონდეს ოდნავ გამდინარე სუფთა წყალი. ცხოველი იზრდება სწრაფად, ემატება კვებისადმი მოთხოვნილება, უშეზღვევებლად ბეწვის ხარისხი. იგი წყალში ისუფთავებდა კუჭს.

ნუტრიისაგან მაღალი პროდუქტიულობის მისაღებად სამი პირობაა საჭირო: ზამთრისათვის კარგი თბილი ბინა, სუფთა წყალი დღე-ღამის განმავლობაში და მაღალი ხარისხის საკვები.

კრასნოდარის მხარეში ეს სამივე პირობა ოჯახურ მეურნეობებში მაღალ დონეზეა გადაჭრილი. თითოეული ოჯახი დახელოვნებულია

ნუტრიის მოვლა-მოშენების საქმეში. შედეგაც კარგია, მათი საოჯახო ბიუჯეტის 80 პროცენტს მხოლოდ ნუტრიის შემოსავალი შეადგენს.

ნუტრიის მოშენება

ნუტრიას არ ახასიათებს სეზონური გამრავლება და ამის გამო მათი შეწყველება წლის ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი მომწიფება მოზარდებს ეწყებათ 4—5 თვის ასაკში, პირველი შეწყველება დედალი ნუტრიისათვის დასაშვებია 6—8, ხოლო მამალი ნუტრიისათვის 7—9 თვის ასაკში, როდესაც ისინი 4—5 კგ-მდე ცოცხალ წონას მალწევენ. ადრეულა შეწყველებისას დაბადებულ ლეკვებს ნაკლებად სიცოცხლის უნარიათ. გამრავლების კარგი შედეგის მისაღებად საჭიროა მოზარდებს სრულფასოვნად კვება. თემცა დაუშვებელია მათი გადასუქება. ამიტომ შეწყველების წინ 20—30 დღით ადრე უნდა შეირჩიეს ჯანმრთელი და გამოკვებილი წყვილები. დაავადებული ნუტრიის შეწყველებაზე გაშვება დაუშვებელია. ჯანმრთელი ნუტრიები, რომლებსაც არ ჰქონდათ კარგი კვება, შეწყვილებამდე გადაჰყავთ გაძლიერებულ კვებაზე. საკვებ რაციონში შეაქვთ ვიტამინები და სრულფასოვანი საკვები.

შეწყვილების კალენდარულ დროს ადგენენ ცხოველის სქესობრივი მომწიფების მიხედვით. დედალი ნუტრიის შეწყვილების ხანგრძლივობა 30—40 საათია. შეწყვილება ემუორდებათ ყოველი 25—30 დღის შემდეგ. მისი დადგენა თვალთაც შეიძლება — როდესაც დედალი ნუტრია მამალს არ გაუბზის, სასქესო ორგანო წამოსიებული და დანესტიანებული აქვს. რაც შეეხება მამალ ნუტრიას, მას შეწყვილების უნარი ყოველთვის გააჩნია 5 თვის ასაკის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ნუტრია წლის ნებისმიერ დროს მრავლდება, აუცილებელია მათი შეწყველებისა და დაღეკვანების პერიოდის გრაფიკის შედგენა, რათა ლეკვების ძირითადი რაოდენობა ჯამოიზარდოს წლის საუკეთესო დროს — ზაფხულში და ადგილი არა ჰქონდეს დანაკარგს.

თუ ახალგაზრდა დედებს გამოვიყენებთ მხოლოდ ერთი დაღეკვანებისათვის, მაშინ ისინი უნდა შეწყვილდნენ შემოდგომით ან გა-

ნუტრიის დაგრილებისა და დალექვიანების გრაფიკი

ცაკლი	დაგრილება	დალექვიანება	მოზარდის გადასხმა	მოზარდთა დაქვლა	
				დრო	ასაკი
I ცაკლი	20.08— 20.11	1.01— 30.03	10.02— 10.05	1.11— 1.01	10—11
II ცაკლი	10.02— 1.05	1.07— 10.09	10.08 20.10	1.03 30.04	8—10

ზაფხულზე. დალექვიანების 1,5 თვის შემდეგ, როდესაც ლექვებს მოვაცილებთ, ისინი დაიკვლებიან ბუნვისათვის.

შეწყვილება შეიძლება სხვადასხვა ხერხით. მცირე მოცულობის ფერმაში და საოჯახო მუურნეობაში მიღებულია დაგრილების ჩასმის მეთოდი. ამისათვის იჭერენ დედალ ნუტრიას და ჩასვამენ მამალთან გალიაში. დედას ჩასმა შეიძლება დალექვიანების შემდეგ პირველ სამ დღეს. ამას მოჰყვება დალექვიანებიდან 24-დღიანი შესვენება, შემდეგ მთელი კვირით ხელახლა ჩასვამენ დედალ ნუტრიას მამალთან. თუ რომელიმე ჩასმის დროს დედალი დაგრილდა, მას ხელახლა ჩაუსვამენ მომდევნო დღესაც. ასე რომ, სასურველია მისი განმეორებით დაგრილება. ასეთი მეთოდით დედა ნუტრია განაყოფიერდება პირველი ან მეორე დაგრილების დროს. შესაძენ ჩასმა შეიძლება იმ დედებისათვის, რომლებიც ვერ განაყოფიერდნენ პირველი ორი ჩასმის დროს და აგრეთვე იმ დედა ნუტრიებისათვის, რომლებიც დაგრილებიდან 50 დღის შემდეგ გაუნაყოფიერებელნი აღმოჩნდნენ. ჩასმის მეთოდით შეწყვილებისას ერთი მოზარდული მამალი შეიძლება მოემსახუროს 6 დედალ ნუტრიას. ხოლო ახალგაზრდა 5—6 დედალს. ჯიშობრივი მუშაობისათვის ჩასმის მეთოდი მართალია შედეგიანია, მაგრამ აქვს ნაკლიც, შრომატევადია და თხოუ-

ლობს გალიების დიდ რაოდენობას, რამდენადაც ყველა ცხოველი ცალკეა მოთავსებული.

აღნიშნულ მეთოდს თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ყოველთვის დედალი ნუტრია შეგვყავს დაგრილებასზე მამალი ნუტრიის გალიაში. თუ ამას პირიქით გვაკეთებთ, დედალი გამოიჩენს აგრესიულობას მამლის მიმართ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ დედალი ნუტრია თავის გალიაში თავს გრძნობს როგორც გალიის ბატონ-პატრონი, ოჯახის უფროსი და მასთან სხვა ნუტრიის ჩასმა იწვევს აგრესიულობას.

არსებობს დაგრილებას სხვა მეთოდებიც: ჯგუფური შერევათ, ინდივიდუალურად, ჯვარედანი შეწყვილება და სხვ.

იმისათვის, რომ ნუტრია მოვამრავლოთ შრომის ნაკლები დანახარჯებით, გალიების ეკონომიურად გამოყენებით და პროდუქტიულობაც მაღალი მივიღოთ, შემოღებულია „ოჯახური მოშენების“ მეთოდი, რაც შედეგადაა და ყველაზე ხელსაყრელია ოჯახურ მეურნეობებში. მას საფუძველად უდევს შემდეგი:

1. ნუტრიებს შორის არ შეიძლება ნათესაური კავშირი, ვინაიდან ლეკვები იზადებიან უსუსურნი, დეფექტიანნი და ნაკლებ პროდუქტიულნი. ზოგჯერ ამ მიზეზით დედები საკუთარ ლეკვებს ქაშენ. ამრიგად, ოჯახური მეურნეობის მეთოდით თავიდან ვაცილებთ ცხოველის ნათესაურ კავშირს.

2. „ოჯახური მოშენება“ საუკეთესო საშუალებაა ცხოველთან სასელექციო მუშაობისათვის.

3. „ოჯახური მოშენების“ მეთოდი საფუძველს გვაძლევს შევუნარჩუნოთ ცხოველს მისი მემკვიდრეობითი თვისებები.

ამ მეთოდის დროს ერთ გალიაში ათავსებენ 2—4 დედალს და ერთ მამალს. გალიაში დგამენ რამდენიმე ბუდეს და მკაცრ ნუტრიასაც შიგ ამყოფებენ. აუცლებელია შეირჩეს ერთმანეთის მიმართ შეგუებული ცხოველები. სასურველია დედლები იყვნენ დებო, ხოლო მამალს აირჩევენ სხვა გვარიდან, არანათესაურს. ასეთი ოჯახის წევრებს მთელი წლის განმავლობაში ერთად ამყოფებენ.

არსებობს აგრეთვე ცხოველთა დაგრილების ირიბი მეთოდი, რომელსაც გამოიყენებენ დიდ, გამსხვილებულ ფერმებში. სასაქონლო მოზარდების მისაღებად, ე. ი. ბეწვის საწარმოებლად. ამ მეთოდის დროს 25—30 კვ მ-ის ფართობის შენობაში მოათავსებენ 10—15

დედალს და ერთ მწარმოებლობაზე შემოწმებულ მამალს. ჩვეულებრივ გამოიყენებენ მოზარდს, ჭერ კიდე დაულეკვანებელ დედალს. რომლის შთამომავლობა საჯიშე მუშაობისათვის არ გამოიყენება. ასეთი მეთოდით მამალი თვითონვე არჩევს და ახდენს შეწყვილებას დედალთან. 50 დღის შემდეგ დედალს გასინჯავენ და მაკეობის დადგენის შემთხვევაში მაშინვე გადასაემენ ცალკე გალიაში. მათი გაჩერება დანარჩენებთან არ შეიძლება, რადგან ისინი გაუნაყოფიერებელ დედლებს უწყებენ ცემას. გამოკყავთ აგრეთვე სხვა მოჩხუბარი დედლებიც. არ შეიძლება შეშვება სხვა დედლისა ამოყვანილოს სანაცვლოდ, ვინაიდან შენობაში დარჩენილები ახალს მტრულად ლებულობენ.

ზოგიერთ მეურნეობაში ირიბი შეწყვილებისას უშვებენ 30—40 დედალს და 3—4 მამალს. თუკი რომელიმე მამალი აღმოჩნდება ნაკლებ აქტიური, დედლები სხვა მამლებისაგან განაყოფიერდებიან. ამ მეთოდის ნაკლი ის არის, რომ ვერ განესაზღვრავთ ლეკვების მამას და ამიტომ შეუძლებელია მათთან საჯიშე მუშაობა.

ირიბი და თავისუფალი დაგრილების მეთოდი უფრო მეტად გამოიყენება მოზარდ დედალ ნუტრიაში. მოზარდილი, ადრე დალეკვიანებული ნუტრები ხშირად აგრესიულებია და ერთმანეთს აყენებენ ტრავმას.

დაგრილების ყველა მეთოდს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, ამიტომ თითოეული მათგანი გამოიყენება მიზნობრივად. მაგალითად, სასაქონლო მოზარდების მისაღებად შეიძლება ვიხმაროთ დაგრილების ირიბი მეთოდი, საჯიშე მუშაობისათვის კი ხელის, ანუ „ოჯახური გამრავლების“ მეთოდი.

ნუტრიის მაკეობა ადვილად შეიძლება მოისინჯოს დაგრილებიდან 50 დღის შემდეგ, მეცლის არეში ხელის ნაზი მოსმით, ანდა გარედან სარძევე ჭირკვლების შეხედვით. გამოცდილ მომვლელს მოსინჯვით 30 დღის ასაკში შეუძლია დაადგინოს ცხოველის მაკეობა. ისე კი, გასინჯვა რეკომენდებულია 50 დღის შემდეგ, როდესაც ჩანასახი მიაღწევს მიახლოებით 2 სმ-ს და მოისინჯება როგორც რბილი ბურთულები. ამ პერიოდისათვის ნუტრიას შესაძინებლად ეზრდება სარძევე ჭირკვლები, რომლებიც გაუნაყოფიერებელ ნუტრიას ფეტვის მარცვლის ზომისა აქვს და ამიტომ შეუშინებელია.

ცუდმა მოვლამ, საკვების უხარისხობამ და უკმარისობამ შეიძლება ნუტრიის ჩასახვის ემბრიონული სიკვდილი გამოიწვიოს.

დალექვიანების წინ უნდა გამოსუფთავდეს სადგომი და ბუდეში დაიგოს რბილი ჩალა.

ნუტრია ჩვეულებრივ ღამე ან ადრე დილით მშობიარობს, ზოგჯერ საბანაო აუზშიც კი, რის გამოც ლექვები ცივდებიან და იღუპებიან. ამიტომ მომვლელმა დაყრის დროს უნდა გამოიჩინოს დიდი ყურადღება, ღამე აბაზანაში წყალი არ უნდა გააჩეროს. ნუტრიის მკეობა 128—137 დღეზე გრძელდება.

სანაშენე მუშაობა

ნუტრიის გამრავლებისას ყველა მოყვარული ცდლობს მიიღოს დიდი ზომის მაღალნაყოფიერი, საუკეთესო ბეწვის და ქარგი სიცოცხლის უნარიანი შთამომავლობის ცხოველი.

მოყვარულს აგრეთვე უჩნდება დაინტერესება, აწარმოოს სხვადასხვა ფერის შეფერილობის ცხოველი. ამიტომ სანაშენე მუშაობისათვის საჭიროა სათანადო ცოდნა, რომლის დროსაც აუცილებელია ზოგიერთი ძირითადი პირობის დაცვა.

სანაშენე მუშაობა ეს არის ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია ცხოველის პროდუქტულობის გაუმჯობესებისათვის, მათი ზომის, ბეწვის შეფერილობის, ხარისხის, ასევე ახალაჭიშის და შეფერილობის მქონე გვარის შექმნისათვის.

სანაშენე მუშაობა უფრო შედეგიანია მაშინ, როდესაც გვაქვს მონაცემები ცხოველთა გენეტიკურობაზე.

გენები და მემკვიდრეობა. ცხოველში ცალკეული თვისებების განვითარება დამოკიდებულია შთამომავლობით გადმოცემულ გენზე და გარემო პირობებზე.

მემკვიდრეობის ყველა მონაცემის ერთობლიობას გენოტიპი ეწოდება. საბოლოოდ გენოტიპისა და გარემო პირობების ურთიერთმოქმედებით ფორმირდება განსაკუთრებული ფენოტიპი.

გენეტიკა სწავლობს მემკვიდრეობითი ჩვევების გამოვლენებას და მათ ცვლილებებს.

მემკვიდრეობა ეს არის მშობლების თვისებების შენარჩუნების და მისი შთამომავლობაზე გადაცემის უნარი.

გენები მშობლებიდან შთამომავლობას გადაეცემა. მემკვიდრეობითი მონაცემები (გენები) „კარანახობენ“, თუ როგორი გახდება წარმომობილი ორგანიზმი.

თვისებების ცვალებადობა შთამომავლობის საწინააღმდეგოა. შთამომავლობის მონაცემები იცვლება გარემო პირობების ზემოქმედებით. ცნობილია სამი სახის ცვლილება:

1. მუტაცია — მოულოდნელი ცვლილება შთამომავლობის თვისებებში (გენში). ის თავისკენ გადახრის გარეგანი სახის თვისებების ცვლილებას. მაგალითად, სტანდარტულ ნუტრიაში შთამომავლობითი მონაცემების ცვლილება იწვევს მისთვის უჩვეულო თეთრი ან სხვა სახის შეფერილობის წარმოშობას. ახალი შეფერილობა შემდგომში კარგად გადაეცემა შთამომავლობას.

2. კომბინაცია — შეხამება, განაწილებული მემკვიდრეობითი მონაცემებიდან. მაგალითად, სტანდარტული დედალი ნუტრიის შეერთება ჩალისფერ მამალთან გვაძლევს ვერცხლისფერ ლეკვებს. ერთი ცხოველის ორგანიზმში შეიძლება შეიქმნას ორი შეხამება. ეს ცვლილებები მემკვიდრეობითია.

3. მოდიფიკაცია — ეს არის ცხოვერების პირობებით გამოწვეული გარეგანი გამოხატული თვისებების ცვლილება. მაგალითად, ტანით დიდი, მსხვილი ნუტრიის მემკვიდრეობითი თვისება ნორმალურა კვების დროს იქნება უცვლელი — ცხოველი ისევე მსხვილი დარჩება. ცუდი კვების დროს კი ნუტრიის სასურველ ზომას ვერ მივიღებთ. ცხოველი იქნება წვრილი. ეს ცვლილება არამემკვიდრეობითია. ის დაკავშირებული არ არის მემკვიდრეობით გენებთან.

მოდიფიკაცია გენზე რომ არ არის დამოკიდებული, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მცირე ტანის ცხოველი, რაც არ უნდა კარგად ვკვებოთ, ისევე თავისი აგებულების შესაფერისი რჩება. მაშასადამე, ცვალებადობა ქმნის ახალ თვისებებს, მემკვიდრეობა კი მათ ინახავს. თუმცა მემკვიდრეობისას ყველა ცვლილება არ იქნება შენარჩუნებული. მოდიფიკაციის სახის ცვლილებები არ გადაიცემა, ხოლო მუტაციით მიღებული ყოველთვის ინახება, ვინაიდან ცვლილებები ხდება თვითონ მემკვიდრეობით ნივთიერებებში.

სხვადასხვა ფერის ნუტრია ხასიათდება სხვადასხვა მემკვიდრეობითი თვისებებით, რომელიც ექვემდებარება მონაწილე ცხოველთა გენეტიკურ თვისებებს.

ყველა ორგანიზმი შედგება უჯრედებისაგან, რომელსაც აქვს გული, გულში განლაგებულია ქრომოსომა — მემკვიდრეობის მატარებელი. თითოეულ უჯრედში არის ორმაგი წგუფის ქრომოსომა, სასქესო ორგანოში — თითო-თითო. მისი ერთმაგი ნაკრები ხასიათდე-

ბა გაუნაყოფიერებლობით. განაყოფიერების შემთხვევაში მონაწილეობს ქრომოსომის ორგვარი ნაკრები. ერთნაირი გენების შემთხვევაში ლეკვები ისეთივე ფერისაა, როგორც მშობელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ერთნაირი გენოტიპი აქვთ.

მუტაციის გზით, სხვადასხვა ფერის ნუტრიის შეკვარებით, შეიძლება მივიღოთ კომბინირებული სახის ცხოველი.

მიღებული ლეკვები ძირითადად მშობლების ფერისა რომ იყოს, რეკომენდებულია ვიყოლიოთ სხვადასხვა ფერის ცხოველი: ჩალისფერი, იტალიური თეთრი, შავი, ოქროსფერი, აზერბაიჯანული თეთრი, რომლის შეკვარება შეიძლება სტანდარტულთან, იტალიური თეთრის—სადაფისფერთან, სტანდარტულისა—ჩალისფერთან, ოქროსფერის ან ლიმონისფერის—ჩალისფერთან ან იტალიურ თეთრთან.

ნუტრიის გამრავლებისას მოყვანილი მეთოდების შერჩევის სწორი ორგანიზაცია გვიქმნის პირობებს ჩავატაროთ სასელექციო სამუშაო ცხოველის გამსხვილების, სწრაფი მომწიფების, ბეწვის საფარვლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ნუტრიის გამორჩევა. გამორჩევისას სანაშენოდ უნდა შეირჩეს უკეთესი ცხოველი და ცუდი გამოწუნებულ იქნეს. ნუტრიის შეფასებისას გამოიყენება ბონიტარების მონაცემები. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე დაღვევიანებულა დედლისა და გამოყენებული მოზრდილი მამლის მწარმოებლური შესაძლებლობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და შთამომავლობიდან მიღებული ხარისხი.

ძირითადი ნაკადის დასაკომპლექტებლად პირველ რიგში არჩევენ ელიტის ჯგუფის ნუტრიას. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეავსებენ მაღალი კლასის ცხოველით. ყოველდღიური გამოწუნების სიდიდე სხვადასხვა მიზეზზეა დამოკიდებული.

გამოწუნებას ექვემდებარება უხარისხო ბეწვის საფარვლის მქონე ავადმყოფი ცხოველი. შემდეგ უნდა გაისინჯოს ნუტრიის წლოვანება და სამ წელზე ზევით უნდა გამოვიწუნოთ, მაგრამ, თუკი ჯანმრთელი და მაღალპროდუქტიულია, მისი დატოვება კიდევ ერთი წლით შეიძლება. გამოსაწუნებელია ნაკლებრძიანი დედა, ასევე, რომლებსაც ჰქონდათ უნაყოფო წელი, აბორტი, ანდა ცუდი დაღვევიანება. გამოიწუნება ნაკლებპროდუქტიული მოზრდილი მამლები ან მათთან შეწყვილებისას დედალი ნუტრია თუ გაუნაყოფიერებელი რჩება, ან იძლევა მცირე რაოდენობის შთამომავლობას. არ არის სასურველი ძალიან აგრესიული ცხოველის დატოვება.

ნუტრიის შერჩევა. საჯიშე მუშაობისათვის აუცილებელია წყვილის შერჩევა, რაც უზრუნველყოფს მათ ხარისხს და მიღებული შთამომავლობის გამრავლებას. ამიტომ აუცილებელია შეირჩეს საუკეთესო დედლისათვის საუკეთესო მამალი. ამ დროს მხედველობაში მისაღები ცხოველის ასაკი. დედალი ნუტრიისათვის არჩევენ მასზე ერთი თვით ან მეტით უფროს მამალ ნუტრიას. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე დედალი უკვე შეწყვილდა რომელიმე მამალთან და მოგვცა კარგი შთამომავლობა, მაშინ ხელშეორედ ისევ იმ მამალს მივამაგრებთ. ამრიგად, შერჩევას მთავარი მიზანია მივამაგროთ შთამომავლობას მაღალი ხარისხის მშობლები მაღალი პროდუქტიულობისა და მაღალხარისხიანი მოზარდების მისაღებად.

შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ ცხოველის რა თვისებაა გასაუმჯობესებელი (ფერი, ზომა, ბეწვის ხარისხი).

არსებობს წყვილების შერჩევის რამდენიმე მეთოდი: ერთგვაროვანი—ერთნაირი ჯიშის წყვილის შერჩევისას შეაწყვილებენ მამალს დედალთან, ეს არის ყველაზე საუკეთესო ვარიანტი შეწყვილებისა, რომლის დროსაც უკვე განსაზღვრულია ცხოველის სასარგებლო თვისებები და ამავე დროს ერთგვაროვანი ცხოველი იმყოფება განუსაზღვრელი რაოდენობით.

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება სხვადასხვა გვარის შერჩევაც. ამ დროს, როგორც წესი, მამალი უკეთესი უნდა იყოს დედალზე.

სხვადასხვა გვარის ცხოველის შეჯვარების დროს მათ აქვთ სხვადასხვა თვისება. მაგალითად, დედალი ლამაზი შეფერილობისაა, მაგრამ არასაკმარისია მისი ბეწვის ხარისხი. მას შეაჯვარებენ საუკეთესო ბეწვის ხარისხის მქონე, მაგრამ ნაკლებად ვარგისიანი შეფერილობის მამალთან. ამ შემთხვევაში ორივე მშობელი კარგ შთამომავლობას იძლევა.

ერთპიროვნული შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება მშობლების კლასი და მათი სხვა განსაკუთრებული დამატებითი მაჩვენებლები. ამის გამო დედალს მიამაგრებენ თანაბარფასიან სარეზერვო მამალთან.

ჯგუფური შერჩევის დროს ითვალისწინებენ კლასის შეფასებას, ჯგუფი შეირჩევა თანაბარღირებულნიან დედლებისაგან. მათ მიამაგრებენ უფრო მაღალი, ანდა ასეთივე კლასის მამლებს. თითოეულ დედალი შეიძლება განაყოფიერდეს ნებისმიერი მიამაგრებული მამალი ნუტრიისაგან. მაგალითად, ბეწვის ხარისხის გასაუმჯობესებლად

დედალ ნუტრიას შეაწყვილებენ საუკეთესო ბეწვის მქონე მამალ ნუტრიასთან. აქედან გამოძინარე ფორმირდება მიღებული ლეკვების ბეწვის მაღალი ხარისხი.

ვეხებით რა წყვლების შერჩევას, აუცილებლად ანალიზი უნდა გავუკეთოთ ცხოველთა გასული წლის მონაცემებს. კარგი შეწყვილებით მიღებული სრულყოფილი მოზარდები გამოვრებას იმსახურებენ.

შერჩევის შედეგიანობა ბევრად არის დამოკიდებული ცხოველის ბუნებრივ თვისებებზე — დაბალია თუ მაღალია მისი მემკვიდრეობა.

ზოგჯერ წყვილის შერჩევისას ნაკლებად ეფექტიანა ნაყოფიერება. ნაყოფიერება ძირითადად დამოკიდებულია ცხოველის მოვლასა და კვების ხარისხზე და სხვა გარეგან ფაქტორებზე. ნუტრია მემკვიდრეობით ღებულობს ბეწვის სიგრძეს და ბეწვის დაწოლის ხარისხს. სელექციის შედეგი გაუმჯობესდება იმ შემთხვევაში, თუკი განვსაზღვრავთ ცხოველის წარმოშობის ფენოტიპს. ხშირი ბეწვიანობის ცხოველი წარმოშობილი კარგი ბეწვიდან მოგვცემს ლეკვებს საშუალოდ ხშირი ბეწვიანობით, ვიდრე ისეთი მშობლებისაგან, რომლებიც წარმოიშვნენ საშუალო ბეწვის სიხშირიდან.

ნუტრიის ტანის სიგრძე და ცოცხალი წონა რამდენადმე ნაკლებად ექვემდებარება მემკვიდრეობას, ვიდრე ბეწვის სიგრძე და დაცემის ხარისხი. სელექცია ამ ნიშნით გვაძლევს შედეგს. აღსანიშნავია ის, რომ საჭიშე მუშაობა ნუტრიასთან რამდენადმე რთულია, ვიდრე სხვა სახის ცხოველთან. მხედველობაში გვაქვს მისი ბოლოგიური განსაკუთრებულობა.

ინდივიდუალური ბონიტირების დროს აღინიშნება ყველა მთავარი ნიშანი: ბეწვის ხარისხი, ბეწვის დაშვება, ტანის მოქნილობა, ცხოველის წონა და ამ ნიშნების საფუძველზე დგინდება ცხოველის კლასი. ბონიტირების სწორად ჩატარებას ძირითადი მნიშვნელობა აქვს სასელექციო და სანაშენე მუშაობისათვის.

ცხოველის რამდენიმე ჯგუფის შექმნისას დედლების ცალკეული ჯგუფები ფორმირდებიან მემკვიდრეობითი შეფერილობის გათვალისწინებით. თუ ძნელია ერთნაირი ფერის ნუტრიის ტანის ფორმირება, მაშინ ჯგუფი ისე უნდა დაკომპლექტდეს, რომ მცილობთ ლეკვთა მაქსიმალურად მაღალი რაოდენობა, სასურველი შეფერილობით დედლის შეჯვარებით ერთ მამალთან. თუკი დადგება საკითხი, რომ უნდა

მივიღოთ დიდი რაოდენობის ჩალისფერი ლეკვები არსებული მოთვთრო ვერცხლისფერიდან, სტანდარტულიდან, ჩალისფერიდან, იტალიური თეთრი დედლებიდან, ხოლო მამლები ჩალისფერი, თეთრი იტალიური, მაშინ მიზანშეწონილია დაეკომპლექტოთ ერთი ან რამდენიმე ჯგუფი ჩალისფერი, ვერცხლისა და სტანდარტული ფერის დედლებისაგან, სადაც ჩალისფერი მამლები ჩააღმება. საბოლოოდ ფერადი დედლები გვაძლევენ ჩალისფერ ლეკვებს, სტანდარტულები კი ვერცხლისფერებს. შეგვიძლია ვერცხლისფერი შეფერილობის მოზარდები შევაჯვაროთ ჩალისფერ მამლებთან.

სასურველი შეფერილობის ნუტრიის არჩევის დროს ბეწვის კარგი დაწოლით და ფერის სისუფთავეთ უპირატესობა ეძლევა განსაკუთრებულ ჯიშს, რომელიც იზრდება და ვითარდება სხვა უკეთეს ჯგუფში. ასეთ ნუტრიას ნაადრევ ასაკში დიდი ზომის ტყავი ექნება. გამოწუნება უკეთესია მოზარდილთა ჯგუფში, რათა გაუმჯობესდეს მათი ხარისხი.

ამრავად, ვიცით რა ნუტრიის შერჩევისა და გადარჩევის მეთოდი, მათი ბუნებრივი მემკვიდრეობითი თვისებები, ნუტრიის მოყვარულს შეჯვარებით შეუძლია სასურველი შეფერილობის ცხოველის მიღება.

მოზარდები გამოიზრდებიან ჯგუფების მიხედვით, რომელიც ფორმირდება 2—3-თვიანი ასაკის ლეკვებით. ჯერ არ შეგვიძლია მათი ბეწვიანობის სწორად შეფასება. ბონიტირებას ეს ცხოველები 7—10 თვის ასაკში ექვემდებარებიან. ამ პერიოდში მათი დაკომპლექტება არ შეიძლება, ვინაიდან ნუტრია გაზრდილია სხვადასხვა ჯგუფში, დაკომპლექტების დროს საერთო შერევით, როგორც წესი, შეუფუებლები არიან. აქედან გამოზდინარე ჯგუფის ფორმირება უკეთესია 2—3 თვის ასაკის დედლებისაგან, უკვე ცნობილი, უკეთესი მშობლებიდან, რომლებსაც აქვთ შთამომავლობით გადაცემული მყარი სამეურნეო-სასარგებლო თვისებები. ასეთი ჯგუფისათვის მაკლეს შეარჩევენ დედლების ხარისხის გათვალისწინებით.

ცხოველის ბეწვის ხარისხის, ტანის მოქნილობისა და განვითარების შეფასების პროცესს ბონიტირება ეწოდება.

დედლების შეწყვილება. დედლების შეწყვილება აუცილებლად სწორად და მიზნობრივად უნდა ჩატარდეს. ამიტომ ამ საკითხს განსაკუთრებულად გამოვეყოფთ.

ვიცით, რომ ნორმალური კვებისა და შენახვის პირობებში ნუტრია მთელი წლის განმავლობაში მრავლდება, რის გამოც წელიწად-

ში ორჯერ ასწრებს დალეკვიანებას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ცხოველის გამრავლება უნდა ვარეგულიროთ ისე, რომ გამრავლების ძირითადი რაოდენობა მოდიოდეს ზაფხულის თვეებზე, როდესაც გამოზრდისათვის გვაქვს უკეთესი პირობები, სითბო და მწვანე მცენარეულობა. არასეზონურობის დროს მათ მოვლას იძულებული ვართ დავუთმოთ მეტი ყურადღება და ენერგია.

მაღალი პროდუქტიულობისათვის დედლების შეწყვილება შეიძლება 6—7 თვის ასაკში. სასქესო ორგანოების ცვლილება (შეწოლება, შეშუბება, დედლების მოუსვენარი საქციელი, უმადობა) მოწმობს მძუნვარების დაწყებას, თუმცა ეს გამოხატულება ხშირად სუსტია. ამიტომ ყოველი შემთხვევისათვის მათ ჩასვამენ მამლებთან შესამოწმებლად. ჯანმრთელი მამლა ყოველთვის ცდილობს მის დაგრილებას.

უკუშემთხვევაში დედალი გაუბრბის, ყვორის, ცდილობს დაიძლოს სადგომში და ზოგჯერ თავსაც იცავს. ამ შემთხვევაში დედალი უნდა ამოვიყვანოთ. მძუნვარობის დროს დედალი არ უწევს წინააღმდეგობას. მრავალგზის შეწყვილებისას, შესვენებების გავლით, ბეწვის დავარცხნის დაწყების პერიოდში, დედალს გადასვამენ მამლისაგან. თუ მამალი თავისუფალია და დედალს არა ჰყავს ლეკვები. შეწყვილების შემდეგ ცხოველები მეგობრულად არიან ერთმანეთთან, დედალი შეიძლება დავტოვოთ მამალთან კიდევ რამდენიმე საათით, ზოგჯერ კი მთელი ღამითაც. განმეორებული შეწყვილების შემდეგ დედალს გადასვამენ თავის გალიაში და მოასვენებენ. შეწყვილების რიცხვს ჩაიწერენ რვეულში და ტარფარეტზეც მიაწი-რენ.

მოზარდი დედალი ნუტრიის მომზადება დაგრძობისათვის იწყება მათი დედიდან გადასმის დღიდანვე 50—60 დღის ასაკში.

ყურადღებას იმსახურებს ცხოველის კვება. შეწყვილების დროს კარგად ნაკვები დედალი თავისუფლად ნაყოფიერდება. თუმცა არ შეიძლება დავუშვათ მისი გადასუქება, რის გამოც ნაკლებად ლეკვიანდებიან და არ ამკლავებენ უხვ რძიანობას.

სრულფასოვანია დაკომპლექტება ერთი ჯიშის დედლებისაგან, რაც აადვილებს შეირჩეს მათთვის საუკეთესო მწარმოებელი, რომელიც არ უნდა იყოს 8—9 თვის ასაკზე ნაკლები.

მომზობიარებული დედლის შეწყვილება ტარდება პირველ სამ დღეში. დედა, ამოყვანილი პატარა ლეკვებიდან, დიდხანს არ უნდა

გავაჩეროთ მამალთან, ვინაიდან შეიძლება მას გაუმავრდეს სარძევე ჯირკვლი, რაც ხშირად მასტიტს იწვევს.

მეორე შეწყვილებისას დედალი უკეთესად ნაყოფიერდება, რომელიც არ შეწყვილდება მშობიარობის შემდეგ, 22—25 დღის მერე ჩასვამენ მამალთან 5—6 დღის განმავლობაში. შეწყვილების შემთხვევაში მამალთან ტოვებენ 1—2 საათს, შემდეგ კი გადასვამენ გალიაში. მეორე დღისათვის რეკომენდებულია მათი ხელახალი შეწყვილება, ვინაიდან არის მეორე დღესაც შეწყვილების შემთხვევები.

თუკი დედალი მეორე დღესაც შეწყვილდება, მაშინ ის 24 დღის შემდეგ კვლავ უნდა ჩაუუსვათ მამალს შემოწმებისათვის. სქესობრივი მოთხოვნილება დედალს 36—40 საათს უხანგრძლივდება. შეწყვილება მიჰდინარეობს 4—6-ჯერ, მცირე ინტერვალებით. თითოეული შეწყვილების ხანგრძლივობა 20—40 წამია.

იმ შემთხვევაში თუ დედალი ნუტრია მაკეა, შემოწმების განმეორების დროს იგი მამალს არ მიუშვებს, იჩენს აგრესიულობას.

არის მეურნეობები, სადაც მშობიარობის შემდეგ დედალს პირველ სამ დღეს ჩასვამენ მამალთან 20—40 წუთს, ხოლო მეორეჯერ და აგრილებენ 19—29 დღის შემდეგ. ამ შემთხვევაში დედალს მოზარდებს მოაცილებენ 40—50 დღის ასაკში. ძალიან მოსახერხებელია დედლების დაგრილება სპეციალური გრაფიკით. მასში ჩაინიშნება დედლის ნომერი და მშობიარობის რიცხვი, შემდეგ აღინიშნება რიცხვი, რომელიც შეესაბამება მშობიარობის შემდეგ 25, 50 და 75 დღეს. მაგალითად, დედალმა იმშობიარა ღამით 1-დან 2 თებერვლამდე — პირველი ჩასმა უნდა მოხდეს 2—3 თებერვალს, მეორე ჩასმა—26 თებერვიდან 3 მარტამდე, შემდეგ კი 27 მარტიდან 4 აპრილამდე.

მომვლელის ჩანაწერი გვამცნობს, თუ რომელი დედლები ექვემდებარებიან მამალთან ჩასმას. აუცილებელია შედგეს კალენდარულ გრაფიკი და განისაზღვროს მოზარდების დედლისგან მოცილების დღე. ასევე უნდა დადგინდეს მშობიარობის დღეც, რათა სრულყოფილად გავიგოთ ლეკვთა რაოდენობა.

ზოგიერთი მოყვარული ამოარჩევს ერთგვაროვანი წონის, ასაკის, ხასიათის ცხოველს და ქმნის ოჯახს ერთი მამლისა და 3—4 დედლისაგან. ასეთი შემადგენლობა შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველები არიან ერთიმეორესთან შეგუებულ-შეთვისებულნი.

ოჯახის შედგენის დროს არ არის აუცილებელი დედლის დაქვრა და მამალთან ჩასმა. მიმდინარეობს დაკვირვება დედალთა მკაცობაზე. თუკი დედლები არ განაყოფიერდებიან, მაშინ მამალი უნდა გამოიცვალოს. არის შემთხვევები, როდესაც მამალს სსსკესო ორგანოზე ფიქთაზდება შმის წრე, რომელიც უნდა მოვაცილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მამალი შეწყვეტს დედლის დაგრილებას.

ოჯახის შემთხვევაში მთავარია შეირჩეს მამალი, რომელიც შეეთვისება მოზარდ დედლებს და არ იქნება მოჩხუბარი. ოჯახური გამრავლების დროს სასურველია დედლები იყვნენ დები, ისინი ღვკვებს ერთდროულად მოგვცემენ.

თუ დედლები დაგრილდება საერთო ფარეშო, სადაც 12—15 დედალი ნუტრიაა მოთავსებული, მასში დგამენ პატარა გალიას მამლის დასასვენებლად.

დედლის მკაცობა უნდა შევამოწმოთ რეგულარულად, განსაკუთრებით, ცხოველთა ახალგაზრდა ჯგუფისა. არის შემთხვევები, როცა დედალს ვთვლით მკაცდ, მაგრამ უნაყოფო აღმოჩნდება.

ერთხელ კიდევ გამოვკვეთავთ მკაცობის შემოწმების წესს: მარცხენა ხელის საშუალებით კუდით ავიყვანთ მკაც ნუტრიას და მაშინვე ვაძლევთ საშუალებას წინა თათებით მოეკიდოს რაიმეს, ე. ი. მან მიიღოს პორიზონტალური მდგომარეობა. უნდა გვახსოვდეს, რომ დამაკებული ნუტრიის თავდაყირა, ე. ი. პერპენდიკულარულად დაქვრა არ შეიძლება. პორიზონტალურად მყოფ ნუტრიას მარჯვენა ხელს შევუტურებთ გულმკერდის არეში და ფრთხილად მოვსინჯავთ ხელის ჩამოყოლებით მუცლის ღრუში. 45—50 დღის დამაკებულ ნუტრიას გასინჯვის დროს აქვს ბერძნული კაკლის ზომის რბილი ბურთულების მსგავსი ჩანასახები. მაშინვე უნდა შევამოწმოთ სარძევე ჯირკვლების მდგომარეობა, რაც ამ პერიოდისათვის დედალ ნუტრიას კარგად ემჩნევა. ასეთი ფრთხილი მოსინჯვით ცხოველის მკაცობის დადგენას ზიანი არ მოაქვს დედალი ნუტრიისათვის, თუნდაც მკაცობის ბოლო თვეში, თუკი ეს სიფრთხილით, არამკვეთრი მოძრაობით გაკეთდა.

მკაცობის დროს დედა ნუტრიის წონა ნაყოფის ზრდასთან დაკავშირებით მატულობს. მოზარდული დედლების წონა ბოლო ორი თვის განმავლობაში 1—1,5 კგ-ით დიდდება. ბოლო 3—4 თვის მკაცობა განსაკუთრებით მრავალნაყოფიერი დედისა, ადვილად განისაზღვრება გარეგანი ნიშნებით.

საკვების მიცემისა და დასუფთავების დროს მაკე უცხოველს წყნარად უნდა მოვეყაროთ. რეკომენდებული არ არის გალიასთან ხშირი ყოფნა და ხმაურიანი მოქმედებები. ცხოველი მშისარაა და შეიძლება შიშმა აბორტი გამოიწვიოს. დედალი ნუტრიის გალია ყოველთვის მწრალი და სუფთა უნდა იყოს.

მაკე დედლებს კვებავენ ხარისხიანი საკვებით. თბილ ამ-ნდში აუცლებელია მათი სასპელი წყლით მომარაგება, სიცოვეში კი კარგა სარისხის ძირხვენებით. ძირხვენებიდან რეკომენდებული არ არია წითელი ჰარხალი, ვინაიდან ის დამასუსტებლად მოქმედებს, მას შეუძლია კუკის გაძლეგრებული გახსნა, რამაც შეიძლება აბორტი გამოიწვიოს.

ზოგჯერ კვების რაციონს დარღვევამ და ცუდმა მოვლამ შეიძლება გამოიწვიოს აბორტი, რაც ხშირად ზამთრისა და შემოდგომია დასაწყისში ხდება. ამის ერთადერთი მიზეზია რაციონში წვნიანი, ცილოვანი და საკვები ვიტამინების უკმარისობა. აბორტი ხშირად გარეგნულად არ ჩანს და ძნელია მისი გარკვევა, რადგან ნუტრიამ შეიძლება ემბრიონი შეიწოვოს, ანდა ჩვეულებრივ შეჭამოს ნაყოფი. ამიტომ მაკე დედალს ყოველთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ.

დედლის მწარმოებლობის შეფასება დამოკიდებულია მის ნაყოფიერებაზე, ე. ი. ერთ შობადობაზე დაბადებული ცოცხალი და მკვდარი ლეკვების რაოდენობაზე.

გვხვდებიან ბერწი დედლებიც, რომლებიც ვერ განაყოფიერდნენ მთელი წლის განმავლობაში, აგრეთვე აბორტარებულნი, არის ცუდი მშობიარობის შემთხვევებიც. ყოველივე ეს ამცირებს წარმოების საერთო რაოდენობას. ასეთები უშვილო-უნაყოფო დედლებად ითვლებიან და გამოწუნებას ექვემდებარებიან.

ლეკვთა რაოდენობა თითოეულ დედალზე დამოკიდებულია ცხოველის მზადებაზე და შეწყვილების კალენდარზე. მაგალითად, თუ დედალი დალეკვიანდა პირველად იანვარ-აპრილში, მაშინ მას შეუძლია მოგვიტანოს მეორე ნაყოფიერება წლის ბოლომდე.

მოზარდთა გამოზარდა. დალეკვიანების წინ ბუდეს ვასუფთავებთ და გასათბობად ვაგებთ წმინდა ჩალას. მშობიარობა უმეტეს შემთხვევაში მიმდინარეობს დამის პერიოდში 1—2 საათის განმავლობაში, მაგრამ ნაყოფის არასწორი მდგომარეობის დროს, შეიძლება მეტხანსაც გასტანოს.

ყინვიან ამინდში ახალშობილი შეიძლება გაიყინოს, ეს რომ არ

მოხდეს, სადგომი კარგად უნდა დაეაბოთ ან დედალი ფრთხილად გადავიყვანოთ თბილ ადგილზე. მშობიარე დედლის ხშირი შეწუხება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ცხოველი ღიზიანდება. მშობიარობის დამთავრების შემდეგ მომყოლი გააქვთ ბუდიდან. დედები ბალებენ 1-დან 14 ლეკვს. ასალგაზრდა დედები პირველ მშობიარობაზე გვაძლევენ ნაკლები რაოდენობის ლეკვებს, ვიდრე მეორე და შემდგომ მშობიარობაზე. ახლად დაბადებული ლეკვების წონა დამოკიდებულია მამკობის დროს დედის კვებაზე და დაბადებულ ლეკვთ რიცხვზე. რაც მეტია დაბადებული ლეკვების რაოდენობა, მით ნაკლებია მათი წონაც. ყოფილა შემთხვევა, როცა დაბადებულა 1 ან 2 ლეკვი და თითოეულის წონა 420 გ-ს აღწევდა.

მკვდარი ლეკვების დაყრა შეიმჩნევა პირველი დალეკვიანება დროს და ლეკვების მცირე რიცხვიანობისას, როდესაც ისინი უზომოდ დიდები არიან. ამ შემთხვევაში დედალს უჭირს მშობიარობიგი თითქოს ეხმარება ლეკვებს და გლეჩს მათ კბილებით. მკვდარი ლეკვების მიღებისას სასურველია დავადგინოთ ნუტრია მკვდარი დაიბადა, თუ დაბადების პროცესში ან შემდეგ მოკვდა. ამისთვის მას გაჭრიან, ამოაცლიან ფილტვის ნაწილს, თუ ფილტვი წყალში ცურავს, ლეკვი დაბადების პროცესში ან შემდეგაა მკვდარი, ვინაიდან ფილტვში მყოფი ჰაერი ჩაძირვის საშუალებას არ იძლევა. ლეკვი სკვედილიანობა შეიძლება მეორე საშუალებითაც დადგინდეს: მოწოვა თუ არა დედა, დედის სარძევე ჭირკვლის შემოწმებით.

მაკე ნუტრიის კვების არასრულფასოვნებამ შეიძლება ლეკვების სკვედილიანობა გამოიწვიოს, რაცინში სრულფასოვანი ცილის მინერალური ან ვიტამინიზებული საკვების უკმარისობით და ცუდი მოვლით შეიძლება ლეკვები დასუსტდნენ და პირველივე საათშივე დაიხოცონ. ვიტამინის ნაკლებობისას ლეკვები რამდენიმე დღეში კარგავენ მხედველობას, ასეთ შემთხვევაში მაკე ნუტრიას უნდა გავუზარდოთ მინერალური ნივთიერებებითა და პროტეინით მდიდარი საკვების რაოდენობა. აუცილებლად უნდა მივცეთ ვიტამინი და თევზის ქონი. ნორმალური კვების პერიოდში ვლებულობთ ჯანმრთელ, დიდი რაოდენობის ლეკვებს, რომლებიც ნორმალურად იზრდებიან.

ლეკვების რაოდენობის დადგენისას აუცილებელია სწრაფად გადაწყვიტოთ — გავათანაბროთ თუ არა ლეკვთა რაოდენობა. ისინი შეგვიძლია შევუსვათ სხვა დედას, რომელსაც მისი ასაკის ლეკვები ჰყავს, ე. ი. დედები ერთიმეორეს გამოუზრდიან ლეკვებს. დედის

სიკვდილის შემთხვევაში ასევე შეგვიძლია მივამაგროთ ობოლი ლეკ-
ეები სხვა დედებს, რომლებსაც ნაკლები რაოდენობის ლეკვები
ჰყავთ. ჩასმის წესი ასეთია: სხვა დედა უცხო ლეკვების მიმართ იჩენს
აგრესიულობას და კბენს მათ. ასე რომ არ მოხდეს, ლეკვები უნდა
ჩავსვათ სხვა დედასთან (ბუდის ნახვისთანავე). დედა, რომელთანაც
ლეკვები უნდა ჩავსვათ, 20—30 წუთით გაგვყავს ბუდიდან. ჩასას-
მელ ლეკვებს სვამენ დამხვდური ლეკვების შუაგულში. ჩასმის წინ
ლეკვის ცხვირი უნდა დავასველოთ ნაყოფსაფარის სითხით, რათა
ლეკვა მიიღოს ახალი ბუდის სუნი, შემდეგ ლეკვს თხლად დააყრიან
ჩალას და შეუშვებენ დედას.

ამ გზით ჩასმულ ლეკვებს დედა ჩვეულებრივ ედებულობს. ამას
შევაჩინეთ მისი წყნარი მოფერებით. იმ შემთხვევაში თუ დედა
იგრძნობს სხვისი ლეკვი, მაშინვე უნდა ამოვიყვანოთ ბუდიდან, წინა-
აღმდეგ შემთხვევაში მას დაკბენს. იშვიათია, ამ მეთოდით ჩასმულ
პატარებს არ ედებულობდეს დედა.

ლეკვის ჩასმა დაბადების ორნ-სამი დღის შემდეგ არ არის რეკო-
მენდებული. თუ გავითვალისწინებთ ზემო აღწერილს, მივხვდებით,
რომ მწარმოებელი დედლების დაგრილება უნდა მოხდეს ერთდრო-
ულად, რათა დალეკვიანების პერიოდში ერთდროული იყოს და საჭი-
როების შემთხვევაში ლეკვები ერთმანეთში გადანაწილდეს გამო-
საზრდელად, რაც ნუტრიის მოყვარულის გამჭრიახობასა და უნა-
რიანობაზეა დამოკიდებული.

მოზარდების გამოზრდა ითხოვს მუდმივ ყურადღებას. მერძულ
დედებთან ლეკვები სწრაფად იზრდებიან, აქვთ ბრწყინვალე ბეწვი,
ენერგიულად მოძრაობენ გალიაში, თამაშობენ, ჯანმრთელნი არიან,
ნუტრიის რძე მაღალკალორიულია და შეიცავს 28 პროცენტ ცხიმს.

გამოუკვებავი მოზარდები ცუდად იზრდებიან, ნაკლებ ნაყოფიერ-
ნი არიან, ბეწვი აბურქვნილი და უღიმღამო აქვთ. დროის მეტ ნა-
წილს ბუდეში ატარებენ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია საკვების
გაუმჯობესება და დედის რძიანობის შემოწმება. ამ მიზნით დედას
გვერდზე აწვენენ, ამაგრებენ წინა და უკანა თათებით. სარძევე ჯირ-
კვლებით დადგინდება, პატარები წოვენ მას თუ არა, რა მდგომარე-
ობაშია სადინარები, არის თუ არა მასტიტი. კეთდება ფაქიზი მასაჟი.

თუ დედას არ შეუძლია პატარების გამოკვება, მაშინ ვიწყებთ
ხელოვნურ კვებას. სათანადო პიპეტის დახმარებით დღეში 3—4-ჯერ
ვაძლევთ ძროხის ახალ რძეს. მესამე დღეს რძეს უნდა დავუმატოთ

40-პროცენტიანი გლუკოზა ამჟღავნებს. ამ პერიოდისათვის ერთ ლევს აძლევენ 30 გ რძეს დღე-ღამეში. ორი თვის ასაკამდე ლევმა უნდა მიიღოს დღე-ღამეში 40—50 გ რძე, 20 გ შერიის პური, მწვანე საკვები და კონცენტრირებული, დაღერდილი მარცვალი.

45 დღის შემდეგ მოზარდები გადაჰყავთ მოზარდილთა რაციონზე. რეკომენდებულია ასევე პურით კვება თევზის ქონთან ერთად. ასეთი კვება სასურველია როგორც სუსტი, ასევე ჭანმრთელა მოზარდისათვის.

უდედოდ გამოზარდილი ნუტრიები არ იკბინებოან, ვეაძლევენ ხელში აყვანის საშუალებას, ეჩვევიან სახელის დაძახებას, შენობიდან შორს არ მიდიან.

სწორი კვებისა და მოვლის წესების დაცვა დროს ლევები სწრაფად იზრდებიან და წლის ნებისმიერ პერიოდში არ თხოულობენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რის გამოც მოზარდთა სიკვდილიანობა გამორიცხულია.

მოზარდის ჯიშობრივი შერჩევა. მოზარდებს 45—50 დღის ასაკში გადასვამენ დედის ბუდიდან. ადრეული გადასმისას უმჯობესია დედა მოვამზადოთ დაგრილებისათვის, თუკი ის დაგრილებულია მშობიარობის შემდეგ პირველი ან მეორე მძენვარების დროს, მაშინ მას მკაცობის განვითარების პირობები ექნება. მოზარდების ადრეული გადასმა გამართლებულია დედის ძლიერი გამოფიტვით.

ნუტრიის დიდი რაოდენობით გამოზარდისას აუცილებელია მათი დანიშვნა, განსაკუთრებით, ჯიშების შერჩევის დროს. ცხოველს ნიშნავენ შემდეგი წესით: გადასმისას უკანა თათის აკვს გაჭრიან ან ყურზე დაადებენ ნიშანს. ზოგიერთ მეურნეობაში გამოიყენება ნომრების დასმის ან ტატუირების მეთოდი. მცირე დროისათვის მონიშნაია მიზნით ცხოველს ზურგზე აჭრიან ბეწვს ან სხვა ფერის საღებავს უსვავენ. პრაქტიკულად უყეთესია თათსა და ყურზე პატარა კრილის გაკეთება.

მონიშვნის დროს ცხოველს კუდით იჭერენ, შემოახვევენ ტომარის ნაჭერს, რომ კბენა ვერ შეძლოს. უკანა თათს გაუწევენ მარცხენა ხელით, მარჯვენათი კი მარჯვენა თათს. აღნიშვნის შემდეგ დროის გარკვეულ მონაკვეთში არ არის მიზანშეწონილი იოდის შესრობამდე მისი წყალში ჩაშვება. ასეთი აღნიშვნით ადვილად გავარკვევთ ნუტრიის დაბადების წელსა და თვეს.

საოჯახო მეურნეობაში ცხოველს იშვიათად ნომრავენ, ვინაიდან მომწველი მათ ადვილად არჩევს.

დანომრილი ჯიშობრივი შერჩევა შეიძლება ადვილად ჩატარდეს. ამ დროს დაზღვეული ვართ ნათესაური შეწყვილებისაგან. ხდება სწორი გადარჩევა და არჩევა ცხოველის შთამომავლობის ხარისხის ალრიცხვით.

გადასმის დროს მოზარდებს ყოფენ სქესის მიხედვით და გალიაში ერთდროულად 6—10 სულს ათავსებენ ერთნაირი ზომისა და წონის მიხედვით, ვინაიდან 2—3 დღის ჩასმულ ლეკვებს „ოჯახის უფროსი“ აგრესიულად ხედება.

საჯიშე დანიშნულების ახალგაზრდა მამლები უკეთესია მოვათავსოთ არა უმეტეს 4 ადგილზე. ეს გვაძლევს მათი სწრაფი ზრდისა და განვითარების მაქსიმალურ შესაძლებლობას.

გადასმულ მოზარდებს პირველ დღეებში სჭირდებათ ყურადღება, მოჩხუბრები ჭგუფიდან გამოჰყავთ. მოზარდებს პერიოდულად წონიან. წონასთან და ზრდასთან ჩამორჩენილებს სწრაფად აცილებენ. ანეთი ცხოველებისაგან ქმნიან ახალ ჭგუფებს. საჯიშედ ტოვებენ საუკეთესო მოზარდებს, დანარჩენებს კი ხოცავენ ტყავისა და ხორცისათვის.

ცხოველს წარმოებისათვის არჩევენ შემდეგი ნიშნების მიხედვით: მოზრდილებს — ბეწვის ხარისხით, ცოცხალი წონისა და ზომის მწარმოებლური შესაძლებლობით და განვითარებით.

საუკეთესოდ ითვლება ის მოზრდილი ცხოველი, რომელსაც აქვს ხშირი, გრძელი, აბრეშუმისებრი ერთნაირი ბეწვი მთელ ტანზე. ფხისებრი ბეწვი ბრწყინავს, მთლიანადაა დაფარული თივთიკით, ტანის მოქნილობა ელასტიურია. ცოცხალი წონა სადღედ ნუტრიის არანაკლებ 5 კგ-ია, მამლისა 6 კგ. დედალმა ერთ დაყრაზე უნდა მოგვცეს არანაკლებ 5—6 ლეკვისა. მამალი უნდა გამოირჩეოდეს განაყოფიერების მაღალი ხარისხით.

ნუტრიას გამოიწუნებენ იმ შემთხვევაში, თუ მას თხელი ბეწვი აქვს. დედლები იწონიან 4,5 კგ-ზე ნაკლებს, მამლები — 5 კგ-ს. დედალი თუ 4 ლეკვზე ნაკლებს გვაძლევს და ცუდად კვებავს მათ, მამალი კი იჩენს ნაკლებ სქესობრივ აქტიურობას. ასევე გამოიწუნებენ ავ და მოჩხუბარ ნუტრიებს.

საჯიშე შერჩევა მოზარდებში ორ ეტაპად ხდება: დედლიდან გადასმის დროს და 6 თვის ასაკში, შეწყვილებაზე შეშვების წინ.

პირველ შემთხვევაში ყურადღებას ვაქცევთ მის მოდგმას, ბეწვის ხარისხის განვითარებას. 6 თვის ასაკში სარემონტო მოზარდის არჩევა განპირობებულია ბეწვის ხარისხის შეფასებით და ცხოველის განვითარებით. ამ ასაკში ნუტრია უნდა პასუხობდეს შესაბამის მოთხოვნილებებს: დედლის ცოცხალი წონა არ უნდა იყოს 3 კგ-ზე ნაკლები, მამლისა — არანაკლებ 4,5 კგ-ზე. ბეწვიანობა ხშირი. აბრეშუმისებრი, სიგრძით არანაკლებ 10 მმ-ისა. ბეწვი მუცლის არესა და ზურგზე უმნიშვნელოდ განსხვავებულია.

ნუტრიის საჯიშედ შერჩევასა ბეწვის ხარისხი თვალთ შეფასდება და მუცლის არეში ბეწვის საფარვლის გავრცელებით განისაზღვრება.

თუ ცხოველის კანს შებერვისას ძნელად ვიპოვით, ბეწვის საფარი ხშირი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თხელი.

ბეწვიანობის სიგრძეს განსაზღვრავენ მილიმეტრიანი სახაზავით, აბრეშუმისებრი თივთიკის სინაზეს — შეხებით.

ცხოველის საუკეთესო საჯიშე შერჩევისათვის აუცილებელია ინდივიდუალური შერჩევა (ბონიტირება) ჯიშთანობის, თმის საფარვლის ხარისხის, ზომისა და ტანის მოქნილობის მიხედვით.

სუფთა ჯიშს მიეკუთვნება ნუტრია, რომელიც წარმოებულია ერთი ან მსგავსი ტიპის გამოყვანილი სუფთა ჯიშისგან. შთამომავლობიდან სამი წლის განმავლობაში ხდება ერთნაირი ტიპის ცხოველის გამოშვება. ეს ჯიშია ოქროსფერი, აზერბაიჯანული თეთრი (თუ მიღებულია სტანდარტული შეჯვარებით). ყველა ნუტრიას. გარდა თეთრისა, განსაზღვრავენ შეფერილობით, რომელიც პიგმენტაციაზე და მოკიდებული.

მოზარდი ნუტრიის ზრდის მაჩვენებელი. როგორც აღვნიშნეთ, მოზარდი ნუტრიის ზრდის ტემპი ბოცვერთან შედარებით ძალიან დაბალია (ცხრილი 2).

მოთხოვნილება ბეწვის დაწოლის ხარისხსა და ზომაზე. ტყავის ღირებულება პირველ რიგში განისაზღვრება მისი მოცულობით. ამ ნიშნით სახსტანდარტი ითვალისწინებს ოთხ ჯგუფად დაყოფას: 1. განსაკუთრებით დიდი ფართობის ნაჭერი (2400 კვ. სმ-ზე მეტი) ფასდება 10 პროცენტის დანამატით, ვიდრე ჩვეულებრივ დიდი ნაჭერი; 2. დიდი ნაჭრის ფართობი (2000-დან 2400 კვ. სმ-მდე) — 100 პროცენტად; 3. საშუალო (1200—2000 კვ. სმ) — 75 პროცენტად; 4. წვრილი (800—1200 კვ. სმ) ფართობის მქონე კი 50 პროცენტად.

ზრდის საკონტროლო მაჩვენებლები, ცოცხალი წონა და ტანის ზომა

ზრდის დღეები	ცოცხალი წონა დასაშვები და უკეთესი გ-ობით	ტანის საშ. სიგრძე სმ-ობით	გულმკერდის შემოწერილობა მმ-ბთან სმ-ობით
10	300/500	19	15
20	350/700	24	18
30	650/850	28	21,5
60	1200/1500	32	24
90	1700/2200	37	25,5
120	2300/2500	40	28,5
180	3000/4000	44	32
210	3500/4400	50	35

შესატყვისად პირველ ხარისხს თვლიან 100 პროცენტად, მეორეს — 75 პროცენტად. უდევფექტო და ნორმალური ტყავი ფასდება მთლიანი ღირებულებით. მცირე დეფექტზე დადგენილია 10 პროცენტით ჩამოკლება შესაბამისი ხარისხის და ზომის ფასიდან. საშუალო დეფექტზე 25 პროცენტი, დიდ დეფექტზე — 50 პროცენტი.

ტყავის ზომა პირველ რიგში დამოკიდებულია დაკლული ცხოველის ასაკზე. მსხვილი ტყავის ნაჭრები მიიღება 8—9 თვის ასაკის მოზარდის დაკვლისას, რომელიც იწონის დაახლოებით 4 კგ-ს, რასაც ცხოველის საუკეთესო კვებისა და ხშირი ბანაობის პირობებში ვაღწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყავი დაბალი ხარისხისა იქნება.

პირველი ხარისხის ტყავს მიეკუთვნება სრულყოფილად ბზინვარე ბეწვით დაფარული, ხშირი თივთიკითა და ბეწვის კარგი დაწოლის მქონე ტყავი; მეორე ხარისხისას კი ნაკლებად ბზინვარე, არასრულყოფილი ბეწვით დაფარული.

ტყავის ფართობი გამოითვლება მისი სიგრძის გამრავლებით თვალბშუა წერტილიდან გვერდითი ნაწილის წერტილამდე.

დაკვლისას 8—10 თვის ასაკის ახალგაზრდა ნუტრიები განსაკუთრებით კი მამლები, ნორმალური კვებისა და შენახვის პირობებში, იწონიან 5—5,5 კგ-ს, ხოლო დედლები — 4,5-დან 5 კგ-მდე. მცირეს მიეკუთვნებიან 4,2 კგ წონის მამლები და 3,8 კგ წონის დედლები. ნებისმიერი ზომის ცხოველის ღირებულება სუსტი სხეულის აგებულების დროს 1 ბალით მცირდება, ხოლო ყოველი 300 გ-ის გადაჭარბებისას 5 ბალის ზევით, ემატება 1 ბალი.

ნუტრიას ბეწვის დაწოლა უფრო კარგი აქვს მუცლის არეში. ის აწ რამდენადმე მოკლეა, მაგრამ ხშირი. დაკვლისას პირველ რიგში ამოწმებენ ამ ადგილის ბეწვის დაწოლის აკარგვიანობას.

ასე რომ, ბეწვის საფარველი ნუტრიას ხშირად უხარისხო აქვა. ამიტომ საჯიშე მუშაობის ჩატარებისას ამ საკითხს პირველ რიგში უნდა მიექცეს ყურადღება. ზურგისა და მუცლის არეში ბეწვის დაფარვის სხვადასხვაობა ძირითადი ნაკლია, ამიტომ დაკვლის დროს ამ მაჩვენებელს დიდ ყურადღებას აქცევენ. 5-ბალიან შეფასებას იგი მაშინ იმსახურებს, როდესაც აქვს კარგად განვითარებული ფხისებრა ბეწვი, ხოლო მუცლის არეში ბეწვის სიმძლვე არა უმეტეს 10 მმ და საკმაოდ ხშირია. ზურგზე დასაშვებია რამდენადმე მცირე დაცემა. 4 ბალამდე ფასდება მუცლის არეში ბეწვის ნაკლები სისხირისა და ზურგის არეში ბეწვის ნაკლები დაწოლის გამო. მუცლის არეში 8—10 მმ-ის ბეწვის სიგრძე კი 3 ბალამდე, განუვითარებელი ბეწვის დროს 2 ბალამდე.

ზემოთ აღნიშნულიდან ვხედავთ, რომ ტყავის ხარისხიანობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ზურგის არეში ბეწვის კარგი დაწოლაა, ხოლო მუცლის არეში ბეწვის კარგი სიგრძე და სისხირე. თუკი სიგრძის სხვაობა ზურგის ბეწვისა და მუცლის არეში მყოფ ბეწვს შორის 2 მმ-ია, ასეთი ტყავი 5-ბალიან შეფასებას იმსახურებს, სხვაობის 4 მმ-მდე გაზრდის შემთხვევაში — 4 ბალს, 6 მმ-მდე — 3 ბალს, 8 მმ-ის სხვაობის ზევით — 1 ბალს.

სხეულის აგებულებისა და ზომის მაჩვენებელი. 5 ბალი ეკუთვნის განსაკუთრებით მსხვილი ზომის (მამლის ცოცხალი წონა 5 კგ-ზე მეტია, დედლის — 4,5 კგ-ზე მეტი), მტკიცე ტანის აგებულების ცხოველს.

ა. 4 ბალი—მსხვილი ზომის (მამლის ცოცხალი წონა 4,6, 5 კგ-ია, დედლის ცოცხალი წონა 5 კგ-ზე მეტი) მტკიცე ტანის აგებულების ცხოველს.

ბ. 4 ბალი—მსხვილი ზომის (მამლის ცოცხალი წონა 4,6—5 კგ-ია, დედლის—4,2—4,5 კგ) მტკიცე ტანის აგებულების ცხოველს.

3 ბალი—საშუალო ზომის (მამლის ცოცხალი წონა 4,2—4,5 კგ-ია, დედლის—3,8—4,2 კგ) მტკიცე ტანის აგებულების ცხოველს.

2 ბალი—პატარა ზომის (მამლის ცოცხალი წონა 4,2 კგ-ზე ნაკლებია, დედლის—3,8 კგ) მტკიცე ტანის აგებულების ცხოველს.

1 ბალი—სუსტი ტანის აგებულების ცხოველს ნებისმიერი ზომით.

5-ბალიანი წონის მაქსიმალური გადაჭარბება ყოველი 300 გ შეფასების დროს იზრდება 1 ბალით, მაგრამ კლასის განსაზღვრისა ცხოველი ეფარდება 5 ბალს.

ნუტრიის ზომა წონით განისაზღვრება. ზემოთ აღნიშნული წონა აღებულია 8—10 თვის ასაკის ნუტრიის საშუალო კვების პირობებში.

ბეწვის დაწოლის ხარისხის მაჩვენებელი. 5 ბალი—საშუალო სიმაღლისა და დრეკადოვანი ბეწვიანობით. მთლიანად თივთიკითა დაფარული ზურგი, გვერდები, მუცლისა და ფეხების შიდა არე. დასაშვებია უფრო მოკლე ფხისებრი ბეწვი მუცელზე. თივთიკი აბრეშუმისებრია, რაც ძალიან ხშირია (სიგრძით 10 მმ), დასაშვებია ნაკლები სიმეჩხერე ზურგზე.

4 ბალი ისეთივე მონაცემებია, რაც 5 ბალს აკმაყოფილებს, მაგრამ მუცლის არეში ხშირი თივთიკი აქვს, ზურგზე კი იშვიათი, ანდა მეჩხერი.

3 ბალი—ხასიათდება 4 ბალის ყველა მონაცემით, მაგრამ მუცლის არეში თივთიკის სიგრძე 8 მმ-დან 10 მმ-მდეა.

2 ბალი—აღნიშნება ბეწვის სითხელე მუცლის არეში ან ზურგზე ბეწვის გრძელი საფარველი მთლიანად არ ფარავს თივთიკს.

1 ბალი—მუცლის არეში შეთხელებული თივთიკი ან თხელი მოკლე ფხისებრი ცვენადი ბეწვით.

ს ბ ა ნ დ ა რ ტ უ ლ ი

5 ბალი — თივთიკი ზურგსა და მუცლის არეში ბრწყინავს, მუქი ყავისფერ-მოლურჯოა. ერთნაირი შეფერილობა გასდევს თმის მთელ სიგრძეზე. დაფარული ბეწვი შეიძლება იყოს მონაცრისფრო-ყავისფრიდან მუქ-ყავისფრამდე.

4 ბალი — ისეთივე მონაცემები აქვს, რაც 5-ბალიანს, მაგრამ დასაშვებია უფრო ღია შეფერილობა, ძირითადად, თივთიკის ბეწვისა.

3 ბალი — იგივეა, როგორც 5-ბალიანი, მაგრამ თივთიკი მუცლის არეში სუფთა ყავისფერია ან ოდნავ მოწითალო.

2 ბალი — თივთიკი მუცლის არეში ღია ყავისფერია, მაგრამ მოწითალო ფერი დაჰკრავს.

1 ბალი — ცხოველი. რომელიც არ აკმაყოფილებს 2—5-ბალიან მოთხოვნილებას.

აზარბაიჯანული თეთრი

5 ბალი — ფხისებრი და თივთიკის ბეწვი სუფთა თეთრია მთელ ტანზე.

4 ბალი — ფხისებრი ბეწვი თვალებთან, ყურებთან და კუდუსუნთან სუსტი პიგმენტაციით ხასიათდება. თივთიკი სუფთა თეთრია.

3 ბალი — ფხისებრი და თივთიკის ბეწვი თვალებთან, ყურებთან და კუდუსუნთან 10 პროცენტამდე პიგმენტირებულია.

2 ბალი — პიგმენტირებულია ტანის მოცულობის 30 პროცენტა.

იტალიური თეთრი

5 ბალი — ფხისებრი და თივთიკის ბეწვი თანაბარია, თხელი კრემისებრი ელფერით.

4 ბალი — ფხისებრი ბეწვი და თივთიკიც თეთრია, თხელი კრემისებრი თანაბარი ელფერით.

3 ბალი — ფხისებრი ბეწვი და თივთიკი თეთრია, მკვეთრად გამონატული კრემის ელფერით.

2 ბალი — ფხისებრი ბეწვი თეთრია, თივთიკი კრემისფერი.

1 ბალი — ფხისებრი და თივთიკის ბეწვი თეთრია, მაგრამ ქუჭყიან ფერის.

ჩ რ დ ი ლ ო ა თ ი ს თ ი თ რ ი

5 ბალი — ფხისებრი და თივთიკის ბეწვი სუფთა თეთრია.

4 ბალი — ფხისებრი და თივთიკის ბეწვი თეთრია მთელ ტანზე.

3 ბალი — ფხისებრი და თივთიკის ბეწვი თხელი, მოთეთრო-მონაცრისფერია.

2 ბალი — ფხისებრი და თივთიკის ბეწვი თხელია, ქუჭყის ფერით.

1 ბალი — ფხისებრი და თივთიკის პიგმენტირებული ადგილები ოქროსფერია.

ო ქ რ ო ს ფ ე რ ი

5 ბალი — თივთიკი ღია ოქროსფერია. სხვაობა ზურგისა და მუცლის არეში შეუმჩნეველია.

4 ბალი — ფერი ოქროსი, თივთიკი კი ღია ოქროსფერია, ზურგისა და მუცლის არეში შეფერილობის სხვაობა საშუალოა.

3 ბალი — ფერი ოქროსი, თივთიკი კი ღია ოქროსფერია. შეფერილობის სხვაობა ზურგისა და მუცლის არეში დიდია.

2 ბალი — ბეწვის საფარველი ყვითელია, უფერული, ქუჭყიანი-მოყავისფრო. ზურგისა და მუცლის არეში განსხვავებული შეფერილობით.

1 ბალი — ცხოველი არ აკმაყოფილებს 2—5 ბალის მოთხოვნილებებს.

მ ო შ ა ვ ო რ

5 ბალი — თითქმის შავია, ლაქები არ ახასიათებს. სუფთა ფერისაა. თივთიკი მოყავისფრო-მონაცრისფერია.

4 ბალი — თითქმის შავია, ლაქები არა აქვს. ნაკლებად სუფთა, ვიდრე 5-ბალიანი. თივთიკი მოყავისფრო-მონაცრისფერია.

3 ბალი — შავი, ლაქები არა აქვს. თივთიკი — კვამლისფერი.

2 ბალი — თითქმის შავი, ლაქები არ ახასიათებს. თივთიკს წითური ელვარება დაჰყარავს.

1 ბალი — ცხოველი არ აკმაყოფილებს 2—5-ბალიან მოთხოვნებს.

შ ა ვ ი

5 ბალი — საერთო შეფერილობა ძირითადად შავია. თივთიკი მოყავისფრო-მონაცრისფრო. აქვს სტანდარტული თმის შეფერილობა გვერდებსა და თავზე.

4 ბალი — საერთო შეფერილობა ძირითადად შავია, ნაკლებად სუფთა, ვიდრე 5-ბალიანის. თივთიკი მოყავისფრო-მონაცრისფრო. სტანდარტული შეფერილობისაა საფარვლის უბნები, გვერდები და თავი.

3 ბალი — საერთო შეფერილობა თითქმის შავია. თივთიკი კვამლისფერი. სტანდარტული შეფერილობა აქვს თავსა და გვერდებზე.

1 ბალი — არ აკმაყოფილებს 2—5-ბალიან მოთხოვნებს.

სამი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის შეფასებით (ზომა, ტანის აგებულება, ბეწვის დაშვების ხარისხი, დაშვების შეფერილობა), ცხოველები შემდეგ კლასებად ნაწილდებიან:

ც ხ რ ი ლ ი 3

ზომის და ტანის აგებულების ბალი	ბეწვის საფარვლის ხარისხის ბალი	ბეწვის საფარვლის შეფერილობის ბალი	კლასი
5	5	5	1
4—5	4—5	5	2
4—5	4—5	4	3
3—5	3—5	5	1
3—5	3—5	4	5
3—5	3—5	3	6

მე-2 ბალის პირველი შეფასებისას ნუტრია მიეკუთვნება მე-7 კლასს, 1 ბალის შემთხვევაში — მე-8 კლასს.

ფასდება აგრეთვე ბეწვისა და თიეთიკის სიგრძე, ე. ი. თიეთიკის სხვაობა გვერდებსა და ზურგზე.

ცხოველის ბონიტირებას ახდენენ ბეწვის საფარვლის სრული მომწიფებისას, ე. ი. ოქტომბერ-დეკემბერში. თუ მოზარდები ექვემდებარებიან გაყიდვას, ისინი უნდა ვკვებოთ განსაკუთრებულ პირობებში, როგორც სანაშენე ცხოველი.

ფერადი შეფერილობის ნუტრიის წარმოება

ნუტრიის გამრავლების ხანგრძლივი პროცესიდან გამომდინარე, მემკვიდრეობით, ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოიშვნენ სრულიად ახალი შეფერილობისა და ახალი გვარის ნუტრიები, რომლებიც განსხვავდებიან სტანდარტულისაგან. უკვე ცნობილია 10 მუტაციური და 7 კომბინირებული ტიპის ნუტრია ბეწვის შეფერილობის მიხედვით. ფერადი ნუტრიისადმი ინტერესი მოყვარულებს შორის ყოველწლიურად იზრდება.

ყველაზე მეტად გავრცელებულია სტანდარტული ნუტრია. მათა საერთო შეფერილობა ყავისფერია. მაგრამ მან შეიძლება შექმნას ვარიაციები ნაცრისფერ-ყავისფრიდან მუქ-ყავისფრამდე სხვადასხვა შეფერილობით. სტანდარტული ნუტრიის საერთო შეფერილობა დამოკიდებულია შთამომავლობითი ბეწვის ფერზე. მუცლის არეში, რომელიც მნიშვნელოვნად ღიაა ზურგის ფერთან შედარებით, ჰარბობს ნათელი ბეწვის ფერი მუქი დაბოლოებით. ხერხემლის გასწვრივ ბეწვის ნათელი ფერი თანდათან კლებულობს.

სტანდარტულის გარდა, ფართოდ არის გავრცელებული:

თ ე თ რ ი ნ უ ტ რ ი ა — თიეთიკისა და ფხისებრი თეთრი ბეწვი. აქვს, ზოგჯერ ძალიან თხელი კრემისებური შეფერილობით. განასხვავებენ იტალიურ თეთრს, აზერბაიჯანულს და ჩრდილოეთის ფიფქისებრს.

ი ტ ა ლ ი უ რ ი თ ე თ რ ი ყოფილ საბჭოთა კავშირში შემოყვანილ იქნა 1958 წელს. აზერბაიჯანული თეთრისაგან განსხვავებით, ამ ცხოველს არა აქვს პიგმენტები, მაგრამ ბეწვის ძირი ხასიათდება

ნათელი ყვითელი ფერით. კანი ღია ვარდისფერია, თვალები ყავისფერი. იტალიური თეთრი ნუტრიის წარმოება ძალიან მცირე რაოდენობით ხდება, რითაც გამოირჩევა სტანდარტული ნუტრია. მათი შეჯვარებით სტანდარტულთან ვლებულობთ ვერცხლისფერ ლეკვებს. იტალიური თეთრის საშუალო ნაყოფიერება 4, 7 ლეკვია, ხოლო მისი სტანდარტულ ნუტრიასთან შეჯვარება 5 ლეკვს ვვაძლევს.

ა ლ ბ ი ნ ო ს ი ს ჯიშის ნუტრია ძირითადად თეთრი ფერისაა. ვარდისფერი თვალებით. მას სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს.

ს ა დ ა ფ ი ს ფ ე რ ი ნ უ ტ რ ი ა მონაცისფრო-ვერცხლისფერია. ბეწვს ახასიათებს თხელი კრემისებრი ლაქები. ზონალურად შეფერილია მოლურჯო-კრემისფერით. საერთო ფონი სადაფისფერს ქმნის.

სადაფისფერი ნუტრია მიიღება იტალიური თეთრის ჩალისფერ ნუტრიასთან შეჯვარებით. ბუსუსი უფრო ღია ჩალისფერია, ზოგჯერ მოყვითალო ლაქებით. სადაფისფერის სადაფისფერთანვე შეწყვილებით მიიღება სამი ფერის შეფერილობა: ყავისფერი, თეთრი და სადაფისფერი. სადაფისფერ ნუტრიებს აქვთ არასასურველი — ქუჭყინანი ნაცრისფერი ლაქები.

ვე რ ც ხ ლ ი ს ფ ე რ ი ნ უ ტ რ ი ა მიიღება სტანდარტულს ჩალისფერთან და იტალიურ თეთრთან, ასევე სადაფისფერთან, ფიფქისფერ ან ლიმონისფერთან შეჯვარებით. ვერცხლისფერი ნუტრია შეფერილობით სტანდარტულის მსგავსია, მაგრამ გამოირჩევა ძლიერი სისუფთავით. თივთიკის შეფერილობა არაუერთგვაროვანია. ის გაღადის ღია-ყავისფერიდან ყავისფერში, ღია-ნაცრისფერიდან მუქნაცრისფერში.

ო ქ რ ო ს ფ ე რ ი კ ა ლ ი ნ ი ნ გ რ ა დ უ ლ ი ნ უ ტ რ ი ა ოქროსფერი და ღია ოქროსფერია. თივთიკი—მოყვითალო ან ღია-მოყვითალო. გადაჭკრავს ვარდისფერ-ოქროსფერი ელფერი. მუცლის არეში ბეწვის ფერი მკრთალია.

ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ უ ლ ი თ ე თ რ ი პირველად გაჩნდა 1956 წელს აზერბაიჯანის მეურნეობა „კარაიაზში“. მას აქვს ძირითადად სუფთა თეთრი შეფერილობა. ზოგიერთის ბეწვის საფარი პიგმენტურია, დაახლოებით ტანის 10 პროცენტი. ხშირად პიგმენტაცია განლაგებულია თვალის გარშემო, ყურებისა და კუდის ძირში. მუცლის არეში ძირითადად ცხოველის შეფერილობა თეთრია. ზოგ შემთხვევაში ვხვდებით ისეთსაც, რომელსაც პიგმენტაცია ძალიან მკრთალად ემ-

ჩნევა. თვალეზი ყავისფერი აქვს. ნაყოფიერება 4—5 ბაქიას შეადგენს.

ფიფქისებრი ნუტრია გამოიყვანეს უზბეკეთში — სირდარისს. მეურნეობაში — სამეცნიერო ინსტიტუტში იტალიური თეთრისა და ოქროსფერი ნუტრიის შეწყვილებით. მას აქვს სუფთა გამკვირვალე თეთრი თოვლის ფიფქის ფერი, თაფლისფერი თვალეზი. ცხვირი, კუდი და თათები — ვარდისფერი.

მუქი-ყავისფერი ნუტრია. ასეთ ნუტრიას ზურგი თითქმის შავი აქვს, გვერდები შავი-ნაცრისფერი, გადაჰკრავს მუქი-ყავისფერი, მოცისფრო ელფერი.

შავი კანადური ნუტრიის ბეწვი ძირითადად შავია, ბრწყინავი ბუსუსი მუქი-ყავისფერი ან მუქი-ნაცრისფერი.

ჩალისფერი ნუტრია შემოიყვანეს თეთრ იტალიურთან ერთად 1958 წელს. საერთო შეფერილობა გადადის ნაცრისფერ-ჩალისფერიდან მუქ-ჩალისფერში. ასეთ ნუტრიას თვალეზი ყავისფერი აქვს. ამ ფერის ნუტრიის წარმოება არ ჩამოუვარდება სტანდარტულს.

კვამლისფერი ნუტრია მიღებულია სტანდარტულისაგან 1962 წელს „კარაიზის“ მეურნეობაში. ის უახლოვდება სტანდარტულს, მაგრამ უფრო სუფთა ფერი აქვს. ასეთი ნუტრიის ფერი მერყეობს ნათელი-კვამლისფერიდან სუფთა ნაცრისფერამდე, მაგრამ ზურგი მუქი აქვს, ვიდრე მუცლის არე ყავისფერი შეფერილობით. საშუალო ნაყოფიერება 5 ლეკვია. თვალეზი ყავისფერი. სტანდარტულ ნუტრიასთან შეჯვარების დროს მიიღება მხოლოდ სტანდარტული შეფერილობა.

ლიმონისფერი ნუტრია მიიღება ოქროსფერი ნუტრიის შეჯვარებით იტალიურ თეთრთან ან ჩალისფერთან. ლიმონისფერა ნუტრიების ერთმანეთთან შეჯვარებით კი ოქროსფერი, თეთრა ან ლიმონისფერი ლეკვები.

ნუტრიის სხვადასხვა ფერის წარმოების დროს შეწყვილებისათვის არჩევენ შესაბამის ფერებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მშობლების მსგავსი ფერის ლეკვებს.

!

ფერადი დედა ნუტრიის პროდუქტიულობა

ფერადი ჯგუფი	მოსალოდნელი ლექვების რაოდენობა
იტალიური თეთრი	5,2
სადაფისფერი	5,0
ოქროსფერი	5,2
სტანდარტული	4,7

მოყვანილი ნუტრიის ფერთა მაგალითები საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ ახალ-ახალი ნუტრიის ჯიშები სხვადასხვა შეფერილობით.

ნუტრიის ყველა ბუნევი გამოიყენება ტყავწარმოებაში. დადგენილია, რომ სტანდარტული ფერის ნუტრიის შეჯვარებით ვერცხლისფერ ნუტრიასთან პირველი თაობის ლექვები შეფერილობით სტანდარტულს უახლოვდება, თუმცა ვერცხლისფერიც დაკრავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ვერცხლისფერი დედა ნუტრიის გამოყენება სხვა ფერის ნუტრიის საწარმოებლად მიღებულია და კარგადაც იზრდება. სადაფისფერისა და თეთრი იტალიურის შეფერილობა ასევე გადაეცემა შთამომავლობას, როგორც ჩალისფერისა. არ არის დასაშვებო იტალიური თეთრისა და სადაფისფერის ერთმანეთთან შეჯვარება. არ შეიძლება აგრეთვე ერთიმეორეში შეჯვარებაც. ეს იწვევს არასასურველ ფერთა მიღებას.

ლიმონისფერი ნუტრიის მისაღებად თეთრ ნუტრიას შეაჯვარებენ ჩვეულებრივად ოქროსფერ ნუტრიასთან. ლიმონისფერი ნუტრიის მიღება შეიძლება აგრეთვე მრავალჯერადი შეჯვარებით ოქროსფერისა ვერცხლისფერთან. დადგენილია, რომ ოქროსფერის ლიმონისფერთან შეჯვარებით შთამომავლობისათვის ნაყოფიერება 25 პროცენტით მცირდება. არ არის სასურველი შევაჯვაროთ შავი და თეთრი ნუტრია სტანდარტულთან.

ფერადი ნუტრია გამრავლებისას იძლევა 75 პროცენტ სუფთა ფერს და 25 პროცენტ სტანდარტულს. სტანდარტულთან შეჯვარებისას 50 პროცენტი ფერადია, 50 პროცენტი სტანდარტული.

სტანდარტული ფერის შეფერილობის ცხოველი, რომელიც მიღებულია ფერადი ნუტრიის გამრავლებით და სტანდარტულ ნუტრიასთან შეჯვარებით, სხვა ფერის შთამომავლობას არ წარმოქმნის.

ცხრილი 5

შთამომავლობის მოსალოდნელი შეფერილობა განსხვავებული ფერის ნუტრიათა შეჯვარებით

შესაჯვარებელი ნუტრიის შეფერილობა და გენოტიპი	შთამომავლობის მოსალოდნელი შეფერილობა, %-ობით															
	სტ	თა	ჩა	სდ	ოე	თბ	ფიქსიების შეთან					ვერცხ. ფერთან		ლემონის ფერთან		
							შშ	შო	თა	ჩა	სდ	თი	ჩა	თი	ჩა	
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
სტ—სტ	100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სტ—თი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	—	—	—	—
სტ—სად	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50	—	—	—
სტ—ჩა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	50	—	—	—
სტ—ოქრ	50	—	—	—	50	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სტ—თა	50	—	—	—	—	50	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სტ—შე	—	—	—	—	—	—	—	100	—	—	—	—	—	—	—	—
სტ—შო	50	—	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	—	—	—	—
სტ—თფ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—	50	—	—
სტ—ფცხ	50	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—	—	—	—
სტ—ლიმ	25	—	—	—	25	—	—	—	—	—	—	—	25	—	25	—
თი—თი	100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
თი—ჩა	—	—	—	100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
თი—სად	50	—	50	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
თი—ოქრ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—	50	—	—

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
თი—თა	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	—	50	—	—	—
თი—შე	—	—	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	50	—	—
თი—შო	—	—	—	—	—	—	—	50	—	—	—	50	—	—	—
თი—ვცხ	—	50	—	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	—	—
თი—ლიმ	—	25	—	—	—	—	—	25	—	25	—	—	—	25	—
ჩა—ჩა	—	—	100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჩა—სად	—	—	50	50	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჩა—ოქრ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—	50
ჩა—თა	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	—	—	50	—	—
ჩა—შე	—	—	—	—	—	—	—	100	—	—	—	—	—	—	—
ჩა—შო	—	—	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	50	—	—
ჩა—ვცხ	—	—	50	—	—	—	—	—	—	50	—	—	50	—	—
სად—თა	—	—	—	—	—	50	—	—	25	25	—	—	—	—	—
სად—ოქრ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	25	25	25	25
სად—შე	—	—	—	—	—	—	—	—	100	—	—	—	—	—	—
სად—შო	—	—	—	—	—	—	—	—	50	—	—	25	25	—	—
სად—სტ	—	35	25	—	—	—	—	—	50	25	—	25	—	25	—
სად—ლიმ	—	—	12	13	—	—	—	—	—	—	13	13	12	12	12
ოქრ—ჩა	33	—	—	—	67	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ოქრ—თფ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	34	—	66	—
ოქრ—ვცხ	25	—	—	—	25	—	—	—	—	—	—	—	—	25	25
ოქრ—ლიმ	17	—	—	—	33	—	—	—	—	—	—	—	—	17	33
შე—შე	—	—	—	—	—	—	—	100	—	—	—	—	—	—	—
შე—შო	—	—	—	—	—	—	—	50	50	—	—	—	—	—	—
შე—ვცხ	—	—	—	—	—	—	—	100	—	—	—	—	—	—	—

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
ნო--წო	25	—	—	—	—	—	25	50	—	—	—	—	—	—	—
ნო--ვცხ	25	—	—	—	—	—	—	50	—	—	—	25	—	—	—
თფ--თფ	—	33	—	—	—	—	—	—	67	—	—	—	—	—	—
თფ--ვცხ	—	—	—	25	—	—	—	—	—	25	25	—	25	33	—
თფ--ლიმ	—	—	—	17	—	—	—	—	—	—	33	17	—	33	—
ვცხ--ვცხ	25	25	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—	—	—
ვცხ--ლიმ	12	12	—	—	13	—	—	—	13	—	—	25	—	25	—

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ლ ნ ი შ ე ვ ნ ე ბ ი

წა — ჩალისფერი
 სად — სადაფისფერი
 ოქრ — ოქროსფერი
 თა — თეთრი აზერბაიჯანული
 შკ — შავი კვამლისფერი
 კო — შავი ოქროსფერი

ვცხ — ვერცხლისფერი
 ლიმ — ლიმონისფერი
 თფ — თოვლის ფიფქისფერი
 სტ — სტანდარტული ფერი
 თი — თეთრი იტალიური

ნუტრიის კვება

ბუნებრივ პირობებში ნუტრიის საკვები ერთეულის შედგენა და-
 მოკიდებულია მის ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე. ძირითად საკ-
 ვებს შეადგენს წყალმცენარეები, მცენარის ფესვები და ნაზი ყლორ-
 ტები, რომლებიც მდიდარია სახამებლითა და შაქრით. გალიაში შენახ-
 ვის პირობებში მათი ნორმალური განვითარებისა და გამრავლებისათ-
 ვის გამოიყენება როგორც მცენარეული, ასევე მარცვლეულისაგან
 შემდგარი კომბინირებული საკვები, ბალახის ფქვილი, მინერალური
 ნივთიერებები და ვიტამინები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკმლის გადამამუშავებელი ორ-
 განო მას შეგუებული აქვს მხოლოდ წვნიან ნივთიერებათა — წვრილ
 უჭრედებიანი საკვების გადასამუშავებლად. მისი კუჭის გადატვირთვა

არ შეიძლება. ნუტრიის მოთხოვნილება ნედლ უჯრედზე 2—3 გ-ია. გამოკვლეულია, რომ რაციონში უმი უჯრედებიანი ულუფის გაზრდა აუარესებს კვებით ღირებულებას და აძირებს მის გადახარშვას.

ნუტრიას შეიძლება მიეცეს ყველა ის ულუფა, რითაც იკვებება ბოცვერი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და თხა.

ნუტრიას უნდა მიეცეს ახალი, სუფთა და გარეცხილი საკვები. შეწამლულის მიცემა დაუშვებელია. ის გამოიწვევს ცხოველის დაღუპვას.

საკვები შეიძლება მიეცეს ყველანაირი ჭურჭლით, გარდა დაჟანგულისა, რომელსაც შეუძლია ცხოველის მოწამლა.

ნუტრიას მოხარშული მასა უნდა მიეცეს დაგუნდავებული, წინა თათებში კარგად რომ დაიჭიროს.

მწვანე საკვები. ნუტრიის საკვებში მწვანე მასას შედგენილობა დღიური ულუფის 15—39 პროცენტია. მწვანე ბალახი გამოიყენება საკვებად როგორც დაპურებამდე, ასევე დაპურების შემდეგ.

ნუტრიის კვების დროს გამოიყენებელი ფესვები და ახალგაზრდა ყლორტები სასურველ ბალანსს ქმნიან. ორგანიზმისათვის ენერგიისა და აზოტის საუკეთესო საკვებად ითვლება სამყურა, ესპარცეტი და იონჯა.

საზაფხულო ულუფაში შეაქვთ სხვადასხვა მცენარის ყლორტები, ცოთლები, მინდვრის ბალახი, ბოსტანში გამარგლული ბალახი, ნედლი სიმინდისა და მზესუმზირას ღეროები, ქერისა და შვრიის მწვანე მასა. მწვანე საკვებში არ უნდა შეგვყვეს თხამიანი მცენარე და მომწამლავი ნივთიერებით მდიდარი ციკლტა, რომელიც ხშირად მდინარის პირას და ნესტიან ადგილებში გვხვდება.

ზამთრის პერიოდში მცენარეული საკვებიდან შეიძლება მიეცეთ თივა, ხის ტოტები ან ქერქი. შემჩნეულია, რომ წიწვოვანი მცენარეების ტოტებს ნუტრია ცუდად ქამს. კარგად მიიერთმევს მუხის, ტირიფის ან არყის ხის ტოტებს. სულ არ ეკარება ცაცხვს, რცხილას, შოთხვს, კობიტს.

ზაფხულის პერიოდში კარგად შეექცევა კვეყრა მხალს. მწვანე საკვები მასა საკმაო რაოდენობითაა მდიდარი პროტეინით, ნახშირწყლებით, ფოსფორით, კალციუმით, კაროტინითა და ვიტამინებით.

უნდა ვიცოდეთ, რომ უხეში საკვები შეიცავს 20—30 პროცენტ უჯრედებს, ნუტრიას უნდა მიეცეთ 5—15 პროცენტი უხეში საკვები, ე. ი. მოზარდს — 10—20, ხოლო მოზრდილს — 30—50 გ. თი-

ვასთან ერთად შეიძლება მიეცეთ თივის ფქვილიც 12—16 გ და 10—30 მგ კარტონი. თივის ფქვილი მდიდარია კალციუმით, ფოსფორით, მიკროელემენტებით.

ნუტრიის საკვები ნორმა გათვალისწინებულია ნივთიერებათა ცვლის სიდიდებზე. ნუტრია ცუდად ამუშავებს უხეშ საკვებს, რომელიც უხვად შეიცავს ბოჭკოებს, ამიტომ თივა, ბალახი და სხვა მის რაციონში არცთუ დიდი რაოდენობით შედის.

კონცენტრირებული საკვების რაოდენობის შედგენისას უკეთესია თუ მასში შევიტანთ 90 პროცენტ მარცვალს, ხოლო 10 პროცენტ შენაერთებს, კობტონს ან სხვა ცხოველური წარმოშობის საკვებს.

მისი საკვების დღე-ღამური კ. კალორია 100 აღწევს.

ერთი სულის 6 თვემდე გამოსაკვებად საჭიროა კომბინირებული საკვები, ანდა მარცვალი — 16 კგ კობტონი და საფუარი — 1,2 კგ, თევზისა და ხორბლის ფქვილი — 1 კგ, ძირხვენები — 25 კგ, ბალახი — 15 კგ, ბალახის ან თივის ფქვილი — 1 კგ, მარილი — 0,5 ვ. 10 თვევდე გამოზრდას სჭირდება: კომბინირებული საკვები — 33 კგ, კობტონი და საფუარი — 2,2 კგ, თევზის ფქვილი — 1,8 კგ, ძირხვენები — 45 კგ, ბალახი 33 კგ, საკვები მარილი — 0,3 კგ.

მოზრდილ ნუტრიებს შეიძლება დაღერლილი მარცვალი მიეცეს. მოზარდებს — დაღერლილი ან ფაფის სახით, რომელსაც სასურველია დაემატოს რძე ან სხვა ცხოველური საკვები, ასევე მარილი და ცარცი. მარცვლეულის დაუღერდავად ხმარებისას აუცილებელია მათი დასველება, ანდა მოხარშვა.

მწვანე მასას დღე-ღამეში ერთხელ აძლევენ, თივას კი კვირაში 2—3 ჯერ. სილოსსა და სენაუს ნუტრია ცუდად ჭამს და ამიტომ მის რაციონშიც არ შედის. უნდა გვახსოვდეს, რომ მწვანე ბალახი შემქნარი უნდა მიეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მუცლის შებერვას გამოიწვევს.

ძირხვენები აუმჯობესებს საკვების ხარისხს, ორგანიზმის ჯანმრთელობას, ზრდის ცხოველის პროდუქტიულობას. შემოდგომაზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში (სექტემბერ-აპრილი) წვნიანი საკვები 15—30 პროცენტს იკავებს, რაციონის 300—500 გ-ს დღე-ღამეში. კონცენტრირებული საკვების უქონლობის დროს მოზრდილ ნუტრიას კილოგრამამდე ძირხვენა მიეცემა. ნუტრიას კვებავენ საკვები და შაქრის ჭარხლით. აძლევენ სტაფილოს, ტურნეფსს, კომბოსტოს, პამიდორს, სალათს, გოგრას, საზამთროს, ნესვს, ხილის ნარჩენებს და სხვ.

წვნიანი საკვები ღარიბია კალციუმით, ფოსფორითა და პროტეინით. ნუტრიის გამოკვება შეიძლება შაქრისა და ყურძნის წარმოების ნარჩენებით.

საკვებში შეიძლება შევიტანოთ უმი კარტოფილი არაუმეტეს 100 გ-ისა დღე-ღამეში, ხოლო დიდი რაოდენობა იწვევს ცხოველის სიკვდილიანობას, ვინაიდან კარტოფილში მყოფი მომწამლავი ნივთიერება — სოლანიინი ალიზიანებს კუჭ-ნაწლავს; ამიტომ კარტოფილად ძირითადად ხარშვენ და კომბინირებულ საკვებთან ერთად არეულს აძლევენ. ზამთარში შენახული ძირხვენები უნდა გასუფთავდეს, გარეცხოს და დაიჭრას წვრილ ნაჭრებად. ძლიერ ყინვაში, რომ არ გაიყინოს, მას მოაყრიან კომბინირებულ საკვებს.

კომბოსტოს უმაღ მიცემა იწვევს მუცლის შებერვას, ამიტომ უმჯობესია მისი მარცვლეულში ჩახარშვა. ძირხვენები უკეთესია მიცეთ საღამოთი, ხოლო ყინვის დროს დილა-საღამოს.

კონცენტრირებულ საკვებს საკმარისად დიდი წილი უკავია ნუტრიის საკვებ რაციონში — 70—85 პროცენტი, ადვილად ასათვისებელ საკვებს — 60—70 პროცენტი, სახამებელს — 8—12 პროცენტი. შეიცავს აგრეთვე ცოტა რაოდენობით წყალს. მოზრდილი ნუტრია დღე-ღამეში 150—200 გ სხვადასხვა მარცვლეულის ნარევს შეეჭყევა.

მარცვლეული საკვების მთავარი შენაერთებია ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი, სიმინდი, მუხუდო. პარკოსან მარცვლეულს კვების წინ აუცილებლად ალბობენ წყალში ან ასხამენ მდულარეს 8—12 სთ-ის განმავლობაში. დაუფქვავი მარცვლის მიცემა არ არის რეკომენდებული, საჭიროა მათი დარღვევა.

4 თვემდე ასაკის ნუტრიის კვება შვრიით არ არის რეკომენდებული. საკვებად გამოიყენება აგრეთვე მზესუჭიზირისა და კოპტონის ნარჩენები, რომელიც 30—40 პროცენტ პროტეინს და 8—15 პროცენტ ცხიმს შეიცავს. ცხოველს დღე-ღამეში შეიძლება 10—15 გ მიეცეთ.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ნუტრიის საკვებ რაციონში გრანულირებულ საკვებს, რომელშიც შედის მჭავეები, მაგრამ მისი გამოყენება კერძო მეურნეობაში არაეკონომიურია.

კომბინირებული საკვები შედგება აუცილებელი საკვები ელემენტებისა და მინერალებისაგან.

ნუტრიის საკვები რაციონის პროცენტული შედგენილობა

დასახელება	პროცენტული რაოდენობა
ქერი	45
სიმინდი	40
კოპტონისა და მზესუმზირის ნაქაჩი	8
თევზის ფქვილი	6
საკვები ცარი	0,5
საკვები მარილი	0,5

100 კგ კომბინირებული საკვები შედგება:

- გაცვლითი ენერგია — 290 კკალ.
- ნედლი პროტეინი — 15,6—17,0 გ.
- გადამამუშავებელი პროტეინი 12,5—13,5 გ.
- მწვანე უჯრედები — 4,7 — 5,0 გ.
- კალცი — 0,69 გ.
- ფოსფორი — 0,555 გ.

ნუტრიის რაციონში ამატებენ აგრეთვე პრემიქსს. ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებისაგან ადვილად შეიძლება კომბინირებულ საკვების შექმნა, რომელიმე კომპონენტის უქონლობისას კი მისი სხვა მასალით შეცვლა. მაგალითად, ქერისა და სიმინდის — ხორბლით ან შვრიით; კოპტონის ან მზესუმზირის გამონაქაჩის — სოიით, ბარდით, სელით; თევზის ფქვილის — ძვლისა და ხორც-ძვლის ფქვილით ან საკვები საფუარით.

მშრალი კომბინირებული საკვები აუცილებლად უნდა დასველდეს 1—1,5 ნაწილ წყალში, უკეთესია თუ წყალი მდუღარე იქნება. ზაფხულში კონცენტრატს უმატებენ 15—20 პროცენტ ბალახს, ზამთარში — 5—10% ბალახის ფქვილს ან თივას და 5—10 პროცენტ ძირხვენებს კალორიული რაციონიდან.

კომბინირებული საკვების უკმარისობისას იყენებენ ცხოველთა კომბინირებულ საკვებს. აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ფრინველის

ასეთი საკვები შეიცავს მომწამლავ ნივთიერებას ნუტრიისათვის, როგორცაა კვიშა, დაფქვილი მინა და ნუჟარა. ასეთი საკვების მიღებისას ნუტრია ხშირად კვდება, რადგან ემართება კუჭ-ნაწლავის ანთება. ასევე ნაკლებად გამოსადეგია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კომბინირებული საკვები. ნუტრიის საკვებად უფრო მისაღებია ღორისა და ხბორებისათვის გათვალისწინებული კომბინირებული საკვები.

აღსანიშნავია, რომ მარცვლეულის კარგი შემცველია მოხარშული კარტოფილი. მას ამოზეღენ და დაუმატებენ ცოტაოდენ კომბინირებულ საკვებს, აგრეთვე კვების ნარჩენებს — პურის ქერქს, ხორცისა და რძის ნარჩენებს, ფაფას, წვნიანს, გარეცხილი და მოხარშული კარტოფილის ნაფქველებს. შენარევი უნდა იყოს საკმაოდ სქელი. ჭამის წინ მას დაამრგვალებენ. ასეთ ბურთულებს ცხოველი კარგად იღებს წინა თათებით და სუფთად მიირთმევს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მშრალი კომბინირებული საკვებით კვების დროს დედა ნუტრიას ხშირად ემართება აბორტი, ლეკვები სიცოცხლის უუნარონი იბადებიან, უვითარდებთ კუჭ-ნაწლავის დაავადება.

ზამთრის პერიოდში მარცვლეულთა ნაფქვავს უმატებენ ვიტამინებს, რომელიც ზოოაფთიაქში იყიდება.

ცხოველური წარმოშობის საკვები

ნუტრიის საკვებს აუცილებელია დაემატოს ცხოველური წარმოშობის საკვები, როგორც ცილოვანი საკვების ძრულფასოვანი წყარო. ისინი აუმჯობესებენ ცხოველის ზრდას, ბეწვის ხარისხსა და შობადობას.

ცხოველური წარმოშობის ცილები შეიცავს სიცოცხლისათვის აუცილებელ მკავეებს. ხანგრძლივი დეფიციტის დროს დედა ნუტრია ცუდად ნაყოფიერდება, ადგილი აქვს აბორტს ან ლეკვები სუსტები იბადებიან.

ცხოველურ საკვებს მიეკუთვნება რძე და რძის პროდუქტები, ძვლის ფქვილი, სასაკლაოს ნარჩენები, თევზი, აბრეშუმის პარკში მყოფი ჭია, სახლის საკვები ნარჩენები. ძვლის ფქვილი, გარდა ცილებისა, მდიდარია ფოსფორითა და კალციტ. კვების დროს არ არის სა-

ქრო სხვა მინერალური საკვების დამატება. ძვლისა და თევზის ფქვილთან შეიძლება მივცეთ მოხარშული თევზი. ძალიან სასარგებლოა შრავი, დო და ა. შ.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვიტამინები. ისინი არეგულირებენ ნივთიერებათა ცვლას. ამიტომ ცხოველის საკვებში აუცილებელია შედიოდეს A და D ვიტამინები.

ძირითადად ზამთრის ბოლოს ამ ვიტამინების მარაგი როგორც ცხოველის ორგანიზმში, ასევე საკვებში მცირდება. A ვიტამინის ან კაროტინის ნაკლებობის დროს შეიძლება დაიბადოს სიცოცხლისადმი უუნარო ლეკვები. თუ ცხოველი ღებულობს ბალახს ფქვილს, მაშინ ამ ვიტამინის დამატება აღარ არის საჭირო. ვიტამინის ნაკლებობა იწვევს კალცისა და ფოსფორის არათანაფარდობას, რის გამოც ცხოველს რაქიტი უჩნდება. ამიტომ მაკეობის დროს რეკომენდებულია მას მიეცეს თევზის ქონი ან ნახევრად ვიტამინიანი პრეპარატი. მიღების წინ ვიტამინს დაფქვავენ და რძესთან ერთად მისცემენ. შეიძლება მივცეთ აგრეთვე წიწილებისათვის განკუთვნილი პრემიქსი:

წუბრიის ნორმირებული კვება

წუბრიის კვების რაციონი დამოკიდებულია წლის დროზე, ასაკზე, ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. რაციონს ადგენენ ისე, რომ საკვები არ იყოს ძვირი, მაგრამ იყოს სრულფასოვანი.

საკვების ნორმალურად გამოყენებისათვის არა მარტო კვების რაციონია საჭირო, არამედ კვების სწორი რეჟიმის დადგენაცაა აუცილებელი.

სპეციალისტებმა შეისწავლეს კვების რეჟიმი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საჭმელგადაამუშავებელ ორგანოებსა და საჭმლის ათვისებაზე.

ცხოველის კვება უნდა მიმდინარეობდეს რეგულარულად, მტკიცედ დადგენილ ერთსა და იმავე დროს. ცხოველი ძალიან განიცდის საჭმლის დაგვიანებას, ხოლო ადრე თუ მიიღებს მას, უმადოდ შეეჭევა. ყოველივე ეს იწვევს კუჭ-ნაწლავის მიერ საჭმლის არათანაბარ, დაბალი დონით ათვისებას, ხოლო ხშირი კვება დღე-ღამის განმავლობაში — კუჭის გადატვირთვას, რაც საჭმლის გადახარშვისა და მონელების დაქვეითებას უწყობს ხელს.

მოზრდილი ნუტრიის დღიური რაციონი გრამებში

საკვების დასახელება	დღიური		მამალი	
	ზაფხულში	ზამთარში	ზაფხულში	ზამთარში
მწვანე ბალახი	600	—	600	—
თივა	—	175	—	175
ძირხვენები	—	200	—	200
კომბ. საკვები	150	175	100	200
ულორტები	250	500	250	500
საქმელი მარილი	0,5	0,5	0,5	0,5

ყველაზე უკეთესია ცხოველის ორჯერადი კვება, დილა-სალამოს. გამოყენებულია აგრეთვე სამჯერადი კვებაც. საკვები რაციონი ხშირად უნდა იცვლებოდეს. ნუტრიის ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გარეცხილ და ხარისხიან საკვებს. დღე-ღამის განმავლობაში მას უნდა ჰქონდეს სუფთა წყალი თბილ ამინდში, ხოლო ზამთარში დასალევი წყალი.

ნუტრიის მკვებობის დროს საჭიროა მიეცეთ დიდი რაოდენობით პროტეინი.

მოხარშული კარტოფილით შეიძლება შეიცვალოს ნახევარი წილი მარცვლოვანი საკვები. მაგალითად; 3 კგ კარტოფილით — კილოგრამში მარცვლოვანი. მარტო მარცვლოვანი საკვებით კვება იწვევს ცხოველის გადასუქებას და ცუდად მრავლდება. მარცვლეული საკვება ღარიბია ცილებითა და ვიტამინებით.

ნუტრიის კვებაში ეფექტიანობას ცხოველის კომბინირებულ საკვებთან ერთად ბალახი ან თივის ფქვილი იძლევა. ზაფხულში ერთ წილ კონცენტრირებულ საკვებზე ერთი წილი ბალახეულია რეკომენდებული. ზამთარში — 10—15 პროცენტი ბალახის ფქვილი და 1,5—2 წილი ძირხვენები.

დიდი რაოდენობით ბალახის ან თივის ფქვილის მიცემა ნუტრიას უქვეითებს კომბინირებული საკვების მოთხოვნილებას, აგრეთვე მო-

ბაღობას და აუარეებს ტყავის ხარისხს. აჩერებს მოზარდის ზრდას. საკვებზე წლიური მოთხოვნილება დედალ-მამალი ნუტრიისა ერთი და იგივეა.

საკვებ მარილს და ცარცს აძლევენ კონცენტრატებთან ერთად. ამისათვის აკეთებენ ოდნავ თხელ ანარეგს მარილისა და ცარცისაგან ან ხსნარით ასველებენ საკვებს. ცარცსა და მარილს ცხოველს მოელი წლის განმავლობაში აძლევენ.

მაკეობის დროს დედა ნუტრიას მადა ეზრდება, ძირითადად ახალგაზრდას. მაკეობის პირველ ნახევარში მას უნდა მიეცეს 10—20 პროცენტით მეტი საკვები, ვიდრე ჩვეულებრივი რაციონით არის გათვალისწინებული, არა მარტო ნაყოფის, არამედ საკუთარი სხეულის ზრდისათვის. მაკეობისას დედა ნუტრია უნდა იკვებოს მალალი ხარისხისა და ადვილად ასათვისებელი საკვებით. ნუტრიას ცხიმზე მოთხოვნილება თითქმის არა აქვს. ის კმაყოფილდება კომბინირებულ საკვებში არსებულთ.

ლეკვებს გადასმადე უნდა მიეცეთ რძიანი ფაფა ან სხვა ცხოველური საკვები. ასევე აუცილებელია საკვები მარილი და ცარცი. ნუტრია ზრდით გამოირჩევა პირველ 5 თვეში. ამიტომ საკვები უნდა იყოს შედგენილი საკმაო რაოდენობის ცილებით, ვიტამინებითა და მინერალური შენაერთებით. როდესაც საკვებში მცირე რაოდენობით შედის პროტეინი, მოზარდებს უხარისხო ბეწვი ეზრდებათ. ასეთი ცხოველი ცუდად განაყოფიერდება და მცირე რაოდენობის ლეკვებს იძლევა.

მოზარდი ნუტრია ცალკე გადასმის დროს შეიძლება ცოტა ხნით იმავე საკვებით იკვებოს, რასაც მას დედასთან ვაძლევთ. მწვანე ბალახი შეიძლება ადრე გაზაფხულზე მიეცეს. პირველად მცირე რაოდენობით, ძირხვენები — დღეგამოშვებით. ჭარბალი უნდა გამოვიყენოთ ფრთხილად, კუჭ-აშლილობის შემჩნევისას რაციონიდან უნდა მოვხსნათ.

ახალგაზრდა ნუტრიას გადასმის პირველ დღეს დაღერლილი მარცვალი ეძლევა, დაკვლამდე ის არ უნდა გასუქდეს, ვინაიდან გადასუქებული ნუტრიის ბეწვი არ არის ხარისხიანი.

კვების დროს ნუტრიას დილით აძლევენ კომბინირებული საკვების 75 პროცენტს, დანარჩენს — საღამოს, ხოლო შუადღისას — ძირხვენებს, თივას და ბალახს, როგორც წესი, დღეში ერთხელ. თივას — ღამე, ბალახს კი დღის მეორე ნახევარში.

ნუტრიას დაკვლის წინ 12—16 საათს ამყოფებენ საკმლისა და წყლის გარეშე, როგორც ბოცვერს. ნუტრიის მოკვლა მოსახერხებელია ჯოხის სწრაფი, მოულოდნელი დარტყმით შებლში ან ყურებს უკან, როცა ის კუდით გვიკირავს. მრავალი ჯოხის ნაცვლად უკეთესია გამოვიყენოთ ბრტყელი, რომელიც დარტყმის ადგილზე ტყავს არ აფუჭებს და არ იწვევს სისხლის გამოყოფნას თავის არეში. ნუტრიას მოკვლის შემდეგ უკანა თათებით ჩამოკიდებენ ჩანგალზე და შეუდგამენ კურტვებს სისხლის დასაწრეტად, რისთვისაც პირის ღრუში ღრმად ჩაუყოფენ წვერიან. ორივე მხარეს გაღესილ დანას, რომელსაც აქვს 2,5—3 სმ სიგანის პირი. გადაუჭრიან კისრის არეში მყოფ სისხლის ძარღვებს. სისხლგამოწურულ ორგანიზმს ამოაბრუნებენ თავით ზემოთ და რამდენჯერმე ჩამოუსვამენ ხელს მუცლის არეში— ზევიდან ქვევით შარდის გამოსადენად და იწყებენ ტყავის გაძრობას. ცხოველის დაკვლასა და ტყავის გაძრობას შორის დრო არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს, ვინაიდან დაიწყება მისი გაშეშება.

დაკლულ ნუტრიას ტყავის გასაძრობად ჩამოკიდებენ უკანა ფეხებით ჩანგალზე, ისე რომ მომუშავის გულმკერდს უსწორდებოდეს. შემდეგ მჭრელი დანით შემოხაზავენ თათებს ბეწვისა და ტყავის საზღვარზე, მოაჭრიან კუდს და გაუჭრიან ტყავს განავლის გამომყოფი ხვრელიდან აქეთ-იქით ორივე თათის მხტუნავ სახსრამდე ისე, რომ გავის ტყავის ნაწილი გადადიოდეს მუცლის მხარეზე. ამის შემდეგ იწყებენ ტყავის გაძრობას. ტყავს ფრთხილად ჩამოწვენ კიდურებიდან, მარჯვენა ხელის ცერა თითით ან მუშტის დახმარებით და ტყავს აცლიან ხორცს. იქ, სადაც ტყავი ძნელად ეცლება, სიფრთხილით იყენებენ დანას, ტყავი რომ არ გაიჭრას.

მარჯვენა ხელის საჩვენებელი და დიდი თითის დახმარებით იჭერენ ერთი თათიდან მხრის ძარღვს, ახმარენ მარცხენა ხელს, ეწევიან ტყავს ტანიდან და გააცალკევებენ მას წინა თათების კუნთებიდან ბრჭყალეზამდე. ამის შემდეგ მოჭრიან ტყავს და მთლიანად მოაცილებენ ტანიდან. ასეთივე მეთოდით მოაცილებენ ტყავს მეორე თათსაც. ტანიდან მოცილდ ტყავს აზიდავენ მარცხენა ხელით და კიმავენ თავიდან, მოაჭრიან ყურის ნოყარებს და შემაერთებულ ქსოვილს ტუჩების გარშემო.

ტყავი სისხლით რომ არ დაისვაროს, განსაკუთრებით ყელის არე-

ში, უფენენ გაზეთს ან აყრიან ნახერხს. ტყავის გაცლის დროს სასურველი არ არის ბეწვის ცხიმით დასვრა. ცხიმის ამოსაწმენდად გამოიყენება ნახერხი.

სტანდარტული ნუტრიის ტყავის შიდა ნაწილი მოლურჯოა, ხერხემალზე უფრო მუქი და მუცლის არეში უფრო ღია. მთლიანად თეთრი ფერის ტყავის შიგნითა ნაწილი იშვიათად გვხვდება. ტყავია შიდა აკის შეფერილობა დამახასიათებელია თეთრი ნუტრიისათვის. ოქროსფერ ნუტრიას აქვს კრემისფერი შეფერილობა.

ტყავის ხარისხი დამოკიდებულია ნუტრიის მთელ რიგ ნიშნებზე: ჭანმრთელობაზე, კვებაზე, შენახვის პირობებსა და დაკვლის დროზე. ნუტრიას ბეწვის ნაკლები ზრდა და ცვენა აღენიშნება ივნის-აგვისტოში და ნოემბერ-თებერვალში. საუკეთესო ხარისხის ტყავს ვღებულობთ ნოემბრის ბოლოდან მარტის ბოლომდე დაკვლის დროს.

ბეწვის საფარვლის ხარისხის განსაზღვრისათვის ნუტრიას ავწვევთ კუდით ზევით და დავათვალიერებთ მუცლის არეს. ეს პროცესი მიმდინარეობს მშრალ ცხოველზე სინათლიან ადგილზე. ტყავი განსაკუთრებით ყურადღებით ისინჯება საზარდულის ადგილებში და გვერდების შიდა ნაწილებში, რადგანაც ამ ადგილებზე თივთიკა მოგვიანებით იზრდება. მისი მდგომარეობა განსაზღვრავს ბეწვის მომწიფებას მთლიანად დაფარულ ნაწილებზე.

პირველი ხარისხის ტყავს უნდა ჰქონდეს ხშირი მბრწყინავი ბეწვი, მკიდროდ დაფარული თივთიკით. თივთიკი ხერხემალსა და მუცლის არეში ხშირი და აბრეშუმისებრია. თივთიკის სიგრძე საზარდულ ნაწილებში არ უნდა იყოს 7 მმ-ზე ნაკლები, რასაც უნდა ფარავდეს ფხისებრი ბეწვი. მეორე ხარისხის ტყავი ნაკლებად ბეწვიანია. ცუდად არის განვითარებული ბეწვის საფარველი. საზარდულის ნაწილებში ბეწვის დაწვენა უფრო ნაკლებია, თივთიკის სიგრძე 7 მმ-ზე მოკლეა.


დაკვლის დროს განსაზღვრავენ ცხოველის ავკარგიანობას არა მარტო ბეწვის ხარისხით, არამედ ტყავის ზომითაც. ტყავის მოცულობის გაგებისათვის ცოცხალ ცხოველს უზომავენ ტანის სიგრძეს (კუდის ძირიდან ცხვირის ბოლომდე), ამ მაჩვენებელს ამცირებენ 2 სმ-ით. ითვალისწინებენ ტყავის დაჯდომას და ამრავლებენ მას სიგანეზე (ტანის სიგრძის ნახევარზე). 50 სმ-ის სიგრძისა და 3,8 კგ წონის ნუტრია გვაძლევს დიდ ზომის ტყავს. 37—38 სმ სიგრძის ტანის ტყავი ითვლება საშუალო ზომად.

ცხიმისგან გაწმენდა. ტყავზე რჩება ცხიმის ან ხორცის კორძები, რომელიც აუცილებლად უნდა მოვაცილოთ. ნუტრიის ზოგაერთა გამოცდილი მწარმოებელი ისე სუფთად აძრობს ცხოველს ტყავს, რომ მას არ ჰყვება ხორცის ან ცხიმის არც ერთი ნაწილაკი და დამატებით გასუფთავებას არ მოითხოვს. ცხიმოვან კორძებს ტყავს აჭრიან მჭრელი დანით მოხსნისთანავე. ამიტომ გადაბრუნებულ ტყავს დააფენენ ბრტყელ ფიცარზე ან ჩამოაცმევენ გასაჭიმ სპეციალურ ხელსაწყოზე, რომელიც დამზადებულია მშრალი გამალამინებულ ფიცრიდან. მისი დიამეტრი წინა ნაწილში 14—15 სმ-ია, სიგრძე 75—100. მის ბოლო ნაწილს მიაქვრენ სკამის ზურგს, ხოლო მეორეს მკერდით დაამაგრებენ. მარცხენა ხელით მოკლებენ ტყავის ბოლოს და თავისკენ ეწევიან, ხოლო მარჯვენათი აჭრიან თავის მიმართულებით ხორცისა და ცხიმოვან ნაწილებს. დანის მჭრელი ნაწილი 40—45 გრადუსის დახრილობით უნდა გეჭრათ. სამუშაო უნდა ჩატარდეს მეტად ფრთხილად, რომ არ გაიჭრას ტყავი. ტყავის ასეთი გასუფთავება ძალიან მოსახერხებელია ქირურგიული მკრატლით. ცხიმის მოსაცილებელი დანა უნდა იყოს თხელი და მჭრელი, რომლის პირის სიგრძე იქნება 11—13 სმ, სისქე — 2 მმ, სიგანე — 2,5—3 სმ. სახელურის სიგრძე 10—13, დიამეტრი 2,5—3 სმ.


ტყავის გაჭრის შემთხვევაში აუცილებლად უნდა გაიკეროს № 10 თეთრი ძაფით 2 მმ-ის სიგრძის გვირგვინით.

ტყავის გაჭიმვის პროცესი საჭიმზე მეტად ფაქიზად უნდა ჩატარდეს. არ შეიძლება მისი უცებ ძალის გამოყენებით უზომოდ გაჭიმვა, რადგან იწვევს ტყავის გასკდომას, რის გამოც ხარისხი ქვეითდება.

გასწორება. თანაბრად გასწორებისა და ტყავის სწრაფი გაშრობისა და სტანდარტული ფორმის მისაღებად გამოიყენება სპეციალური ხის გამწვევ-გამასწორებელი (სურ. 4). ის შედგება ორი გლუვი წაწვეტებული ჯოხისაგან, რომელსაც ბოლო ნაწილები დამაგრებული აქვს ლითონის სამაგრიტ. შიდა ნაწილში ჯოხს აქვს კრილი განივკვეთის გასაწევად, რომელიც სასურველ სიგანეზე იწვევა. გასაწვევი ჯოხის ერთ ბოლოზე დამაგრებულია ლითონის სამაგრი, მეორეზე კი ლითონის ლურსმანი. გამასწორებელს ტყავს ჩააცმევენ უკუღმა, გადმობრუნებული პირიდან (ბეწვი შიგნით უნდა იყოს), ისეა ფორმავი, რომ მისი კონუსისებრი ნაწილი აღწევდეს გამასწორებლის




სურ. 3. ცხიმის გასაწმენდი ხელსაწყო



სურ. 4. ტყავის გამწევი ზომების მიხედვით

ბოლო ნაწილს, ე. ი. ცხვირით მაგრდებოდეს. ტყავის გასწორების დროს მის სიმეტრიულობას უნდა მივაქციოთ ყურადღება. თვალის ნაწილები გაჭივივისას სიმეტრიულად უნდა გამოიყურებოდნენ, ასევე ყურები და წინა თათები. შემდეგ გავწვეთ ტყავის ბოლოებს თანაბრად ნაოჭების გასწორებამდე და დავამაგრებთ წვრილი ლურსმნებით. გამწვევს ვამაგრებთ საჭირო სიგანეზე ისე რომ, მას ტყავი გაუწველად ჩავაცვათ. დიდი ფართის ტყავის სიგანე უნდა იყოს 20—22 სმ, საშუალოსი—16—18, მცირე ზომისა კი 12—14 სმ. ჩაცმისა და გაშრობის დროს ტყავი უნდა იყოს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.



სურ. 5. ნუტრიის ტყავი

მიზანშეწონილი არ არის სველბეწვიანი ტყავის გაჭიმვა.

გაშრობა. ნუტრიის ტყავი უნდა შრებოდეს ფართო და მშრალ შენობაში. გასაშრობად ჰკიდებენ ერთიმეორისაგან 10—15 სმ-ის და სიბოლს წყაროსაგან 1,5 მმ-ის დაცილებით. 20—30 გრადუსის დროს ტყავი შრება თანაბრად და სწრაფად.

სწრაფი გაშრობის დროს ტყავის ზედაპირიდან ამოდის ცხიმოვანი ჯირკვლები, რომელიც უნდა მოვაცილოთ სუფთა და მშრალი ნაჭრით. გამშრალ ტყავს მოაცილიან გამჭიმავს და ჩაბარებამდე ინახავენ მშრალ და ცივ შენობაში. ტყავის გაშრობა 30 გრადუსის ზემოთ არ შეიძლება. დაბალმა ტემპერატურამ და ცუდმა ვენტილაციამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის გაფუჭება. ასეთ ტყავს შიდა პირა დაჭიმუჭნილი და მაგარი აქვს. ნორმალურად გამშრალი ტყავი რბილია, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე მტვრევადი.

გაშწევის ზომები სმ.ში

მაჩვენებელი	პირველი ზომა	მეორე ზომა	შესამე ზომა
1	2	3	4
თამასის სიგრძე	900—1000	700	550—600
თამასის შუა ნაწილის სიგრძე	200	170	140
თამასის სიგანე, ზედა ნაწილი	25	20	15
ყველაზე განიერი ნაწილი	70	60	50
ძირითადი	20	15	15
სისქე	20	20	20
თამასის სისქე	20	20	20
გაშწევის სიგრძე	270	230	190
გაშწევის სიგანე	20	20	20
გაშწევის სისქე	3	3	3

ტყავის ხარისხის განსაზღვრა

სტანდარტების მიხედვით ნუტრიის ტყავი იყოფა ხარისხებად, ზომებად და დეფექტებად.

რაც შეეხება ტყავის შეფერილობას, იგი განსაზღვრავს მოქმედ სტანდარტს.

ნუტრიის ტყავი ბეწვის შეფერილობით უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნილებებს:

ყავისფერი — ზურგზე დაფარული ბეწვი უნდა იყოს ნაცრისფერ-ყავისფერი გადასული წაბლისფერში. თივთიკი — მუქი ყავისფრიდან ღია ყავისფრამდე.

სადაფისფერი — ზურგზე ძირითადად ყავისფერი ბეწვია, ბეწვის ბოლოები თეთრი. თივთიკი ჩალისფერი ან ღია ყავისფერი.

ზომა	ნორმა- ლური	პირველი ხარისხი			ნორმა- ლური	მეორე ხარისხი		
		დეფექტურობა				დეფექტურობა		
		მცირე	საშ.	დიდი		მცირე	საშ.	დიდი
განსაკუთრე- ბულად ფართო	110	99	82,5	55	82,5	74,3	61,9	41,3
ფართო	100	90	75	50	75	67,5	56,3	37,5
საშუალო	75	67,5	56,3	37,5	56,3	50,9	42,2	28,1
წვრილი	50	45	37,5	25	37,5	33,8	28,2	18,8

მთლიანად ტყავი ღებულობს სადაფის შეფერილობას ან თეთრა იტალიური ნუტრიის ფერს, როცა თივთიკი თეთრი-მოყვითალო შეფერილობითაა.

ვე რ ც ხ ლ ი ს ფ ე რ ი — ზურგზე დაფარული ბეწვი მუქი ნაცრისფერი შეფერილობისაა. თივთიკი ყავისფერი.

ო ქ რ ო ს ფ ე რ ი — დაფარულია ოქროსფერი ან ღია ოქროსფერი ბეწვით. თივთიკი ყვითელი ან ღია ყვითელია ოქროსფერა ტალღებით. დასაშვებია თივთიკის მუქი ბოლოები.

თ ე თ რ ი — როგორც ბეწვი; ასევე თივთიკი მთლიანად თეთრია. ტყავის ხარისხის დადგენისას განისაზღვრება დეფექტებიც. დეფექტის სიდიდის გამო ისინი მიეკუთვნებიან მცირე, საშუალო და მოზრდილ დეფექტებს. უდეფექტო ტყავს ეწოდება ნორმალური. ცხიმი-საგან ცუდად გაწმენდილ ტყავს მისი ღირებულებიდან 10 პროცენტს აკლებენ.

მცირე დეფექტიან ტყავს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი პატარა ნაკლი, ხოლო საშუალო დეფექტიანს ორი მცირე—ნაკლის ჯგუფიდან, ანდა ერთი — საშუალო დეფექტიდან.

მოზრდილ დეფექტში შედის ერთი ნაკლი ამ ჯგუფიდან ან ორი—საშუალო დეფექტიდან.

ნუტრიის ტყავის დეფექტის მაჩვენებლები

ნაკლი	მცირე დეფექტი	საშუალო დეფექტი	მოზრდილი დეფექტი
საერთო სიგრძის განსხვავება ტყავის სიგრძესთან %-ობით	10,0—25,0	25,1—50,0	50,1
ნაჩრებები, ამოფხევილი ადგილები, დაცვნილი ბეწვი, ნაქენი, განსხვავებული ფერის ლაქა ფართობიდან %-ობით	0,5—100	1,1—2,0	2,1—4,0
გაცენილი ბეწვი ტყავის ფართობიდან %-ობით	0,5—5,0	5,1—15,0	15,1—25,0

დეფექტიანი ტყავი, რომელიც გადააჭარბებს დიდ დეფექტიანთა ჯგუფს, ითვლება დაწუნებულად.

ნუტრიის ხორცი და მისი კარგება

ნუტრიის ხორცმა, როგორც ადამიანის საკვებმა, დიდი ხანია რაც აღიარება მოიპოვა მთელ მსოფლიოში. იგი ხასიათდება როგორც სადიეტო, სამკურნალო პროდუქტი. მისი რეალიზაცია სხვადასხვა ფორმით ხდება: დაკონსერვებული, ნახევარფაბრიკატი, უძვლოდ — წვრილად დაჭრილი, მოუხარშავი და მოხარშული, აგრეთვე ძეხვეულის სახით.

ყოფილმა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სამინისტრომ 1961 წელს ნუტრიის ხორცი სცნო ადამიანთა საკვებად.

1969 წელს ბელარუსის ჯანმრთელობის მთავარმა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურმა სამმართველომ მიიღო აქტი ნუტრიის ხორცის კვებითი ღირებულების შესახებ. ამ პერიოდისათვის კი მოსკოვის კოლპერაციულმა ინსტიტუტმა დაამუშავა ტექნიკური პირობა-ინსტრუქცია „ნუტრიის ხორცი“.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებს, ნუტრიის ხორცი, როგორც ადამიანთა საკვები პროდუქტი, დიდი პოპულარობით სარგებლობს. ფართოდ მისდევენ ამ ცხოველის მოშენებას როგორც მსხვილი ფერმერული, ასევე ოჯახური მეურნეობის ფორმებით. კარგად აქვთ გააზრებული ამ ცხოველის სარგებლიანობა ადამიანისათვის: მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე ხორცი, ძვირფასი ბეწვი, რომელიც მსოფლიო ბაზრის პროდუქტს წარმოადგენს, ძვლის ფქვილი. ამიტომაცაა, რომ ნუტრიას დიდი დაფასება აქვს ევროპულ ქვეყნებში.

დაკვლის შედეგად ერთი ნუტრია საშუალოდ იძლევა 2,5—3,5 კგ გემრიელ ხორცს. ის შეიცავს 65—70 პროცენტ კუნთოვანი ხორცის ქსოვილს, 3—20 პროცენტ ცხიმს. 18—23 პროცენტ ძვალს. ცულის შემადგენლობა კუნთოვან ქსოვილში 21—22 პროცენტია. მათ შორის სრულფასოვანია 80 პროცენტი, შიდა კუნთოვანი 3,9—7,9 პროცენტია, წყალი — 64—74 პროცენტი. 100 გ ხორცი შეიცავს 160—210 კ. კალორიას. ამინოჰაქსის საერთო შემადგენლობით ნუტრიის ხორცი უახლოვდება საქონლის, ქათმისა და ბოცვის ხორცს.

ნუტრიის ცხიმში თეთრია, დაჰკრავს მოყვითალო ფერი, ადვილდნობადია, გათანაბრებულია ღორის ქონთან. კარგად ნაკვებ ჩასუქებულ ცხოველს დიდი რაოდენობით აქვს დაგროვილი ცხიმოვანი კისრის, გვერდებისა და ხერხემლის გაყოლებით. არცთუ ისე მაღალ ტემპერატურაზე — 28 გრადუსზე გადნობის დროს განპირობებულია ორგანიზმის მიერ მისი ათვისება, ამ-თ ის განსხვავდება სხვა ცხიმებსაგან.

ნუტრიის ხორცი შეფერილობით ემსგავსება საქონლისას. სურნელებითა და გემოთი გარეული ფრინველის ხორცს მოგვაგონებს. მდიდარია ცილებით, ცხიმით. მინერალური ნივთიერებებისა და ვიტამინების შემადგენლობით არ ჩამოუვარდება ბოცვისა და საქონლის ხორცს. მასში შედის (%-ში) წყალი — 67...73, ცილა — 20...21, ცხიმო — 4...10, აზოტისებრი ექსტრაქტული ნივთიერებები არაცილოვანი ხასიათისაა, რომელიც აძლევს სპეციფიკურ სურნელებას და გემოს, აღძრავს მადას.

მოზარდი ნუტრია კანქვეშ აგროვებს ცხიმს. მის ხორცს აქვს ბოლოგვიური ღირებულება. მასში შედის 11 პროცენტამდე ცხიმოვანი სიმკვავე, საიდანაც 10 პროცენტამდე თხევადია. მაშინ, როდესაც საქონლის ხორცში 4 პროცენტია, ცხვარში — 5 პროცენტი. უჭერა

ცხიმოვანი მკვება 61,2 პროცენტია, ღორში — 57,2, ცხვარში — 42,3, საქონელში — 47,8. ნუტრიის ხორცი შედგება ნაზი კუნთოვანი ბოჭკოსაგან და ხასიათდება საუკეთესო თვისებებით. ტენიანობა 101 პროცენტია მაშინ, როდესაც ბოცვერში 100 პროცენტია.

ბოცვის, ქათმისა და ღორის ხორცისაგან განსხვავებით, ნუტრიას აქვს უფრო ყავისფერი შეფერილობა. ეს იმით აიხსნება, რომ მასში შედის დიდი რაოდენობით კუნთოვანი ჰემოგლობინი — 800... 1000 მგ, ბოცვის ხორცში კი 150... 200 მგ %.

რკინის მარილები ადამიანის ორგანიზმში ხმარდება რთული ცილოვანი ნივთიერებების — სისხლის წითელი ბურთულების — ჰემოგლობინის წარმოქმნას. ჰემოგლობინი უჭრედებს აწვდის ჟანგბადს და ამავე დროს ხარბად შეიწოვს ნახშირმკვებას. რკინის გარეშე სხეულის სუნთქვა შეუძლებელია. როგორც ვხედავთ, ნუტრიის ხორცი ძალიან დიდი რაოდენობით შეიცავს ჰემოგლობინს, ვიდრე სხვა სახის ხორციული. აქედან გამომდინარეობს ნუტრიის ხორცის მაღალი საკვლარნალო თვისებები.

წლოვანებასთან დაკავშირებით ხორცის გამოსავლიანობა სხვადასხვაა. მოზრდილი მამალი ნუტრიის გამოსავლიანობა ტოლია 55—60 პროცენტის, დედა ნუტრიის — 51—54 პროცენტის, ახალგაზრდა ნუტრიისა კი 46—48 პროცენტია ცოცხალი წონიდან.

გემოვნებისა და სასაქონლო ღირებულების შენარჩუნებისათვის საჭიროა ცხოველის სწორი დაკვლა. დაკვლისთანავე, როგორც აღვნიშნეთ, სისხლი სწრაფად უნდა გამოიდევენოს ორგანიზმიდან, შემდეგ გამოიშვინოს და გაიყინოს. ხორცი 8—12 საათი ოთახის ტემპურატურაზე უნდა ვამყოფოთ. ხორცი ნაზი და ტენიანი.

კულინარული დამუშავების დროს ნუტრიის ხორცი ემსგავსება საქონლისა და ბოცვის ხორცს. მისგან შეიძლება მომზადდეს ცხელი და ცივი კერძები: წვნიანი, ჩახოხბილი; მოხარშული და შემწვარი. ფარში შეიძლება გამოვიყენოთ კატლეტის დასამზადებლად, ბივშტექსის და ტოლმის, აგრეთვე ცომეულში და სხვ.

ს ა ლ ა თ ა ხ ო რ ც ი თ — გაციებული, მოხარშული ან შემწვარი ნუტრიის ხორცი, მოხარშული გაფცქვნილი კარტოფილი და კვარციხი, მკვავე კიტრი და სალათის ფოთლები დავჭრათ თხელ ფენებად. ჩავაწყობთ ჭურჭელში, მოვასხათ მაიონეზი.

ვ ი ნ ე გ რ ე ტ ი ხ ო რ ც ი თ. ცივად მოხარშული ან შემწვარი ნუტრიის ხორცი, მოხარშული კარტოფილი, მკვავე ან ახალი კიტრი

ცხიმის გამოღობისა და გაყინვის ტემპერატურა

ცხიმი	ტემპერატურა	
	გაღობა	გაყინვა
ნუტრიის	27,7—29,3	16,9—17,2
ლორის	30,0—44,0	22—33
ცხვრის	44—54	34—45
საქონლის	42—50	34—38

დავჭრათ თხელ ფენებად, მოვასხათ მაიონეზი და დავაწყოთ პატარა თეფშებზე, გარშემო შემოვუწყოთ მოსართავი — მოხარშული სტაფილო და წვრილად დაჭრილი ჭარხალი.

ხორციის სალათა გერმანულად. ნუტრიის ხორცი შევწვათ კარაქში შეწითლებამდე, დავუმატოთ მარილი, ხახვი, წიწაკა. ხორცს გაცივების შემდეგ გამოვაცალოთ ძვლები და დავჭრათ პატარა ნაჭრებად. წვრილად დავჭრათ მყავე კიტრი და დავუმატოთ მაიონეზი.

გულ-ღვიძლის ძეხვი. მოხარშულ ნუტრიის ხორცს გამოვაცალოთ ძვლები, ხორცსავე მანქანაში გავატაროთ. დავჭრათ ღვიძლი და ხახვი, აგრეთვე ლორის ქონი კუბებად. ყველაფერი ერთად ავურიოთ, დავუმატოთ მარილი და წიწაკა. ძეხვისათვის გამზადებული ფარში ჩავტენოთ ლორის ნაწლავში. ძეხვს ხარშავენ წესის მიხედვით.

მშრალი ძეხვი. ჩეხური რეცეპტი — ძეხვს აკეთებენ 75 პროცენტი ნუტრიისა და 25 პროცენტი ლორის ხორცისაგან. ნუტრიის ხორცს ატარებენ ხორცსავე მანქანაში წვრილი ბადის გამოყენებით, ხოლო ლორის ხორცს მსხვილი ბადის დახმარებით. შემდეგ კარგად აურევენ ერთმანეთში და დაამატებენ მარილს, ნორს, წიწაკას, კვლიავს, ანუ ძირას. ბოლოებს შეუკრავენ. ბოლავენ ცივ კვამლზე, სასურველია ფოთლოვანი მცენარის ნაწვევზე, 3—4 დღის განმავლობაში. გამომშრალი ძეხვის დიდხანს შენახვა შეიძლება

მშრალ ან ცივ ადგილზე. ხმარების წინ ის უნდა მოიხარშოს 15 წუთის განმავლობაში ძალიან ნელ ცეცხლზე.

შემწვარი ღვიძლი. ღვიძლის ნაჭრებს ამოვლებენ ფქვილში და წვავენ კარაქში ხახვთან ერთად, აყრიან მარილს, ამატებენ 2—3 კოვზ ბულიონს.

სალათა ხორცი. ნუტრიის ხორცს შეწვავენ კარაქში, უმატებენ მარილს, ხახვს და წიწაკას. გაცივების შემდეგ აცლიან ძვლებს და ჭრიან წვრილ ნაჭრებად. წვრილად დაჭრილ მყავე კიტრს აურევენ ხორცში, უმატებენ მაიონეზს, მარილსა და ლიმონის წენს გემოვნებით.

დაშაშხული ხორცი ინახავს თავის გემოს. ტყავის გაძრობის შემდეგ სხეულს გაჭრიან სიგრძეზე შიგნეულის გამოსაცლელად, მოაჭრიან თავს, კისერს და თათებს. სხეულს გაჭრიან გულმკერდზე ხერხემლის გასწვრივ ორ ნაწილად. მიღებულ ნაჭრებს გაყოფენ შუაზე. ცივ წყალში გარეცხვის შემდეგ გაავლებენ მანგანუმის ხსნარში (2—3 კრისტალი ერთ ჭიქა წყალზე) და გადავლებენ ცხელ წყალს. გამშრალი ხორცი ითხოვს დამარილებას. დამარილებისათვის საჭიროა 10 კგ ხორცზე კილოგრამი მარილი, 160 გ შაქარი, ერთი თავი გახეხილი ნიორი, შავი და სურნელოვანი წიწაკა. ყველაფერ ამას ურევენ და ნაჭრებს უსვამენ. ჭურჭელს კარგად გამორეცხავენ შანგანუმთან წყლით, ძირში მარილის ფენას ჩაყრიან და შემდეგ მჭიდროდ ჩააწყობენ ხორცის ნაჭრებს. ზემოდან ხორცს ადებენ სიმძიმეს. ხორცის ასე დაკონსერვება 6—7 დღემდე გრძელდება. მისი დამარილება თითის დაქერით მოწმდება. თუ ღრმული გაჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ნუტრიის ხორცი დამარილებულია.

დამარილებულ ხორცს იღებენ ჭურჭლიდან, რეცხავენ ცივ წყალში და ჩამოკიდებენ სხვენის ქვეშ. მშრალ ამინდში ის 6—10 სთ-ში გამოშრება, ნესტიანში კი 2—3 დღე სჭირდება.

დაშაშხვისათვის გამოიყენება ლითონის კასრი, რომელშიც აწყობენ 3—4 ანთებულ ღერს, 2—3 ვედრო ნახერხთან ერთად, რომელშიც არეულია არომატული მცენარეები — ძირა, მოცხარი და სხვა. გამოიყენება აგრეთვე ვაშლის, ალუბლის, მსხლის, ატმისა და მუხნის ხის ფოთლები. წიწვნარი და არყის ხე უვარგისია. კასრის ზემო ნაწილში თხელი მავთულის ფენაზე ჩამოკიდებენ ხორცს, შეხვეულს რამდენიმე ფენა მარლაში. კასრის თავს მჭიდროდ დახურავენ ფანერით ან თუნუქის ფურცლით. ნასვრეტებიდან კვამლი დაიწყებს გა-

მოდენას. დიდი ნასვრეტები არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ნახერხი იწყებს სწრაფ წვას, რაც დაშაშხვისათვის არ შეიძლება. ხორცის დაშაშხვის დრო დამოკიდებულია მისი შენახვის ხანგრძლივობაზე. დაშაშხვა უნდა გაგრძელდეს 2—3 დღე ცივ ბოლზე, 20° ტემპერატურაზე. დროდადრო ხორცის ნაჭრები უნდა შეებრუნდეს, რათა თანაბრად დაიშაშხოს.

დაშაშხვის დამთავრების დროს ნაჭრებს შემოხსნიან მარლას და სუფთა ნაჭრით გაასუფთავენ. შაშხის შენახვა რეკომენდებულია ცივ ადგილზე, ჩამოკიდებული.

წ ვ ნ ი ა ნ ი ბ უ ლ ი ო ნ ი. გარეცხილ ხორცს დაახამენ ცივ წყალს და დადგამენ ძლიერ ცეცხლზე. თვალყურს ადევნებენ წყალი რომ არ ადუღდეს ქაფის მოკლამდე, რათა ბულიონი გამჭვირვალე იყოს, შემდეგ უკლებენ ცეცხლს და ისე ხარშავენ, არ უნდა ჩაიხარშოს, დამატება მარილი, ძირა. ბულიონი ნუტრიის ხორცსაგან ძალიან გემრიელია, არომატული, მოყვითალო ფერისაა.

ბულიონს შეგიძლიათ მიატანოთ ნამცხვარი, ბლინი, პელმენი, ცალკე მოხარშული მკარონი. ერთ ულუფა ბულიონზე საჭიროა 100 გ ხორცი.

მ წ ვ ა დ ი. ნუტრიის ხორცი დავჭრათ კუბებად, ჩავაწყობთ მომრინაქრებულ ჰურჭელში, მოვასხუროთ ლიმონის წვენი ან 6-პროცენტიანი ძმრის ხსნარი და მცენარეული ზეთი, მოვაყაროთ წიწყა, წვრილად დაჭრილი თავიანი ხახვი და მწვანე ოხრახუმი. გავაჩეროთ რამდენიმე საათი ცივ ადგილზე. შემდეგ შამფურზე ავავაოთ, ანუა შეეწვათ ტაფაზე.

მ ო ხ ა რ შ უ ლ ი ა ნ შ ე მ წ ვ ა რ ი ხ ო რ ც ი. ამზადებენ ჩვეულებრივი წესით. ნუტრიის მოხარშული ხორცი შეიძლება ვიხმაროთ მოხარშულ კარტოფილთან ან ჭარხალთან, კარტოფილის პიურესთან, წიწბურის ფაფასთან, მკარონის ნაწარმთან და ა. შ. შემწვარ ხორცს უხდება მოშუშულ კომბოსტო, შემწვარი კარტოფილი, ბოსტნეულის „სალიანკა“.

ვიტამინების ასამალლებლად კარგია თუ დავუმატებთ პამიდორს ან კიტრს, კომბოსტოს სალათს, სოკოს, წვრილად დაჭრილ ოხრახუმს, ნიახურს ან კამას.

შ ე მ წ ვ ა რ ი კ ა ტ ლ ე ტ ი—საჭიროა 1 კგ ნუტრიის ხორცი, 250 გ ღორის ხორცი, მარილი, წიწყა, ნიორი. ხორცს ჰრიან პატარა ნაჭრებად და შეკმაზავენ. ასეთ გამზადებულ ხორცს 2-ჯერ გაატარე-

ბენ საკვებ მანქანაში. კატლეტის ფორმიან ფარშს 2 საათით ორთქლში გააჩერებენ.

რ ა გ უ — შეწვავენ ზეთში წვრილად დაჭრილ ღორის ქონს და ხახვს. დაასხამენ ქონს და შეწვავენ ნუტრიის ხორცს, შემდეგ ხორცს გადააწყობენ სხვა კურკელში, ცხიმს კი დაუმატებენ ფქვილს და აკეთებენ მუქი ფერის საწებელს. უმატებენ მას ცხელ ბულიონს და წითელ ღვინოს.

ჩ ა ხ ო ხ ბ ი ლ ი — 40—50 გ-იანი ნუტრიის ხორცის ნაჭრები შევწვით ტაფაზე შეწითლებამდე. ჩავაწყობთ ღრმა კურკელში და დავასხათ მცირე რაოდენობის ბულიონი ან წყალი და დავდგათ ნელ ცეცხლზე.

პ ა მ ი დ ვ რ ი ს ს ა წ ე ბ ე ლ ი — თავიანი ხახვი და ფქვილი მოვშუშოთ და ჩავასხათ ბულიონში, დავუმატოთ საკაზმში და ვშუშოთ გამზადებამდე. კაზმავენ ოხრახუშით.

ამრიგად, ნუტრიის ხორცისაგან შეიძლება დამზადდეს სხვადასხვანაირი კერძი.

ნუტრიის დასამზადებელი და მათი პროფილაქსიკა

ნუტრია ძირითადად ავადმყოფობის მიმართ გამძლეა. მისი ჭანძრთელობა დამოკიდებულია სისუფთავეზე და ხარისხიან საკვებზე. ნუტრიის სადგომ ბინას და მთლიანად გალიას დეზინფექციას ვუკეთებთ როგორც ზამთარში. ასევე ზაფხულში ნაცრის ან კრეოლინის სუსტი 3—5-პროცენტიანი ხსნარით. ცხოველს წყალი ყოველთვის სუფთა უნდა ჰქონდეს. ყოველივე ეს არის აუცილებელი პირობა ცხოველის ჭანძრთელობის შესანარჩუნებლად.

ნაცრის ხსნარის დასამზადებლად 10 ლიტრ წყალში ვხსნით 2 კგ ნაცარს. ამ ხსნარს ორი საათი აღღვებენ. შემდეგ კი დეზინფექციას აკეთებენ. დეზინფექცია შეიძლება კირითაც მოხდეს. დეზინფექციის შემდეგ კარგად გამოშრალ სადგომში უშვებენ ცხოველს.

მუდმივი ბრძოლაა საჭირო თავგებთან და ვირთხებთან, რომლებიც ხშირად ცხოველის სადგომში იმყოფებიან. ისინი ხომ ინფექციის გადამტან საშუალებას წარმოადგენენ.

ტ უ ბ ე რ კ უ ლ ო ზ ი. ავადმყოფობა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვეს. ცხოველი ხდება და შეიძლება დაიღუპოს. ამიტომ ასეთი

დაავადების დროს ცხოველს კლავენ. ტყავი, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივსავე გამოიყენება.

პარატიფი (ბაქტერიული დაავადება). ავადმყოფობის წყარო არის ჭუჭყიანი წყალი, სადაც შეიძლება იყვნენ წყალში მოცურავე დაავადებული ფრინველები და სხვა ცხოველები. დაავადება შეიძლება გაჩნდეს ბუზის მომრავლებით ან თუთონ ნუტრიიდან, რომელიც ამ ბაქტერიითაა დასნებოვნებული. პარატიფი აღმოცენდება წლის სხვადასხვა დროს. ეს ავადმყოფობა ანერბაჯანის რესპუბლიკაში თავს იჩენს დეკემბერ-მარტში, ვითარდება მკაცრ ფორმებში. ძირითადად ახალგაზრდა — 3 თვის ასაკამდე ცხოველებში გვხვდება. მოზარდი ნუტრიები იშვიათად ავადდებიან. მაკე ნუტრიის დასნებოვნება იწვევს აბორტს და მკვდარი ლეკვების დაბადებას. ხშირად ავადდება საჭმლის მომწელებელი ორგანოები. საინკუბაციო პერიოდუ 6 დღეა.

პარატიფის პირველი ნიშანი არის საჭმლის უარყოფა და მოსვენებად ყოფნა, რომელიც სწრაფად იცვლება მოცულებით. ცხოველი წევს ან ნელა მოძრაობს, ბეწვი აბურძგნაილი აქვს, თვალეზი ეღრმელება, ნესტოდან გამოეყოფა ლორწო ან ზოგჯერ სისხლი. სუნთქვა გახშირებულია. ხშირად ის ფიცრის ქვეშ ძვრება. შეიმჩნევა უკანა ნაწილის დამბლა. ადგილი აქვს აბორტსაც. ასეთი ავადმყოფობა გრძელდება ამ ნიშნით 2—5 დღე. რაც შემდეგ ცხოველის სიკვდილით მთავრდება. ამ ავადმყოფობის შემჩნევის დროს ცხოველს მოათავსებენ იზოლატორში და მკურნალობენ ფურაზოლიდით ან ანტიბიოტიკით (ბიომიციინით ან ლევომიციტინით). ფურაზოლიდს ლეკვებს აძლევენ საჭმელში დღეში 2-ჯერ 7—10 დღის განმავლობაში 30 მგ-ს (ერთ კგ ცოცხალ წონაზე). ანტიბიოტიკის ხმალების დროს მას უმატებენ საკვებში 4—6 დღის განმავლობაში, მოზარდებს — 10—15 მგ-ს, ხოლო მოზარდიებს 20—30-ს. სადგომს დეზინფექციას უკეთებენ.

პასტერელეზი — მწვავე მოკმედი ინფექციური დაავადებაა. მოკლე დროში (3—5 დღეში) შეიძლება ნუტრიის დიდი რაოდენობით დაღუპვა. ნუტრია ავადდება ავადმყოფ ნუტრიასთან კონტაქტის დროს ან ინფექციური საკვებით, ან წყლით. დაავადებას იწვევს უხარისხო საკვები ან ანტისანერბარია და ამინდის მკვეთრი ცვლილება. პასტერელეზი თავს იჩენს შიშოლოგმა-ზამთრის პერიოდში. პირველ რიგში ავადდებიან 2 თვის ასაკის ლეკვები, შემდეგ კი სხვა ასაკისანი.

ავადმყოფობას დროს ცხოველს ემატება ტემპერატურა, აღენუნება მადის დაკარგვა. ნუტრია კუთხეში იყუჩება, ბეწვი აბურძგნილი აქვს. ბეწვი ღდება მშრალი და მტკვრევალი, სუნთქვა უპირს, გახშირებული და ზოგჯერ ხრანწიანი აქვს. ცხვირიდან მოედინება ლორწოში შერეული სისხლი. ნაკლებად რეაგირებს შეხებაზე. მოძრაობს ზანტად. უვითარდება კრუნჩხვები, უკანა ნაწილის დამბლით. 1—3 დღის შემდეგ ნუტრია იღუპება. სიკვდილის რამდენიმე საათის მერე ცხვირიდან შეინიშნება სისხლის დენა. ამ ავადმყოფობის დროს ატარებენ კარანტინს. სამკურნალოდ იყენებენ ანტიბიოტიკებს (ბიცილინი — 3 ან ბიცილინი — 5, სტრეპტომიცინი ან პენიცილინი). შეჰყავთ კუნთში დღე-ღამეში 1—3-ჯერ 25—30 ათასი ერთეული გამოჯანმრთელებამდე. სადგომს უკეთებენ დეზინფექციას.

პ ა ს ტ ე რ ე ლ ე ზ ი რამდენადმე საშიშია 30—60-დღიანი ახალგაზრდა ცხოველისათვის. ამ ავადმყოფობას საკვებიდან ან წყლიდანღებულობს.

ჰ ე ლ მ ი ნ თ ი ზ მ ი მუცლის ქიის სხვადასხვა სახის დაავადებაა. ნუტრიაში 3 სახის ქია აღმოჩენილი: ბრტყელი, მრგვალი, ლენტისებრი. ბრტყელი ქია ეხვევა ღვიძლს, ნაწლავებს და ბრმა ნაწლავს. ლენტისებრი ქია ტყავქვეშა უჯრედებს, ღვიძლს, ფილტვებსა და ნაწლავებს. მრგვალი ნაწლავის მსხვილ ნაწილებში, კუჭზე საკმლის მიმდებ და მუცლის არეში გვხვდება. განკურნებისათვის საჭიროა კარანტინი და სისუფთავე. მკურნალობისათვის ცხოველს ამყოფებენ დღე-ღამის განმავლობაში მშიერს და შემდეგ მოხარშულ კარტოფილთან ერთად მისცემენ პიპერაზინ-აღიპინატს ან პიპერაზინ-ფოსფატს, ან პიპერაზინ-სულფატს 1—1,5 გ (1 კგ ცოცხალ წონაზე), 16 დღის შემდეგ მკურნალობის კურსს გაიმეორებენ.

ტ რ ა ვ მ ა. ხშირად ცხოველები ერთმანეთს ეჩხუბებიან და ასახიჩრებენ. მცირედი ჭრილობა სწრაფად შეშდება და არ საჭიროებს ჩარევას, ხოლო მნიშვნელოვანის დროს მას გარშემო შემოაჭრიან ბეწვს, გაწმენდავენ ტამპონით, დასველებულს მანგანუმის ხსნარში. ანდა იოდს წაუსვამენ. ამის შემდეგ მოაყრიან სტრეპტოციდს. ხშირად ხდება, რომ მას მოსტყდება ფრჩხილი, რაც უნდა მოიქლიბოს.

ს ა ს უ ნ თ ქ ი ო რ გ ა ნ ო ე ბ ი ს ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ა. მოხარდი ნუტრია ავადდება ბრონქებითა და პნევმონიით. ამას იწვევს გაციება, სინესტე და ორპირი ქარი. ეს ავადმყოფობა აღინიშნება აგრეთვე ცივ სადგომში ზამთრის დროს. იმასთან დაკავშირებით, რომ

გაცემა მდლავნდება გვიან, მკურნალობას ცუდად ექვემდებარება. დაავადების დროს აღინიშნება საკვების უარყოფა, მოუსვენრობა. სუნთქვა ხიხინით. ეს ავადმყოფობა ფილტვების ანთებაში რომ არ გადავიდეს, ატარებენ მთელ რიგ ღონისძიებებს. ცხვირზე უსვამენ ვაზელინს, შემხმარი ცინგლის მოსაცლებლად. უნიშნავენ სულფადიმეზინს — 0,2—0.3 გ დღეში 2—3-ჯერ. შიდა კუჭ-ნაწლავისათვის — პენიცილინს 50—70 ათას ერთეულს ინფექციისათვის 2—3-ჯერ დღეში. ცხოველებს მკურნალობენ თბილ სადგომში. დაუშვებელია ცხოველის ცემენტზე ყოფნა, ორპირა ქაჩა, სინესტე. ქარის დროს ბაღის კვლები დაფარული უნდა იყოს ჩაღის კონებით ან ფანერით.

საკვებადამანუსწავებელი ორგანოს დაავადება

ცხოველის უარი საკვებზე და მის მიერ გამოყოფილი განვალე გვირვენებს, რომ მას ვაძლევთ უვარგის საკვებს. რაცონში არ შედის ყველა საჭირო ნივთიერება, ამიტომ ზამთრის კვებიდან გადაგვჯავს ზაფხულის კვებაზე, ე. ი. მეტ ვიტამინიზებულ საკვებზე. კუჭის წყლული შეიძლება განვითარდეს ზამთარში, მარტო ჩალით კვების დროს, როცა არ არის საკმარისი წვნიანი საკვები.

ავიტამინოზი უვითარდებათ ერთგვაროვანი საკვების მოცულისას, ძირითადად, როცა ნუტრიას აკლია წვნიანი საკვები, ამ დაავადებით ხშირად ავადმყოფობენ 4—5 თვის ლეკვები, მაკე და მოზრდილ ცხოველები. ავიტამინოზი გამოვლინდება რაქიტოში.

ავიტამინოზის დროს ლეკვები სუსტები არიან, ცუდად ჭამენ და ნელა იზრდებიან. ხშირად უვადდებათ თვალები. დასაწყისში თვალის გუგები ეწირპლებათ, უპატარავდებათ, წამწამები სცევათ და ეწყებათ მთლიანი სიბრმავე. ბეწვის საფარველი აბურძგვნილა. დედებს აბორტი ემართებათ, ანდა მკვდარი ლეკვები ებადებათ. ზოგჯერ მაკე დედებს ეწყებათ სისხლდენა სასქესო ორგანოდან.

ავიტამინოზის მასობრივი განვითარების აღკვეთისათვის აუმაჯობესებენ საკვებს. მენიუში შეაქვთ სტაფილო, თივა, თევზის ქონი. მძიმე ავადმყოფი ცხოველისათვის რეკომენდებულია მიეცეს თევზის ქონი 5—6-ჯერ დღეში 1—1.5 გ.

მეტეორიზმი. მეტეორიზმის გამომწვევა არასწორი კვება. მაგალითად, ჩახურებული მწვანე მასის მიცემამ შეიძლება გამოიწვიოს ნუტრიის ნაწლავების გაბერვა. ამით ახალგაზრდა და რაქიტოზიანი

ცხოველი მალე ავადდება, ვიდრე ჯანმრთელი. დაავადებული ნუტრია კრძალავს საკვებს. თვალები აქვს ნახევრად დახუჭულ. სუნთქვა ამაღლებული, გახშირებული. მირტყმისას გაისმის დოლისებრა ხმა. მუცლის კედლები დაჭიმული აქვს. მეტეორიზმი ზოგჯერ სიკვდილიანობას იწვევს. ხშირად გაზებითაა სავსე მსხვილი ნაწლავები.

ხანგრძლივად ერთგვაროვანი უხეში საკვების მიცემა იწვევს კუჭ-შეკრულობას. ამას აღვილი აქვს ბანაობის უკმარისობის დროსაც. ამიტომ საჭიროა მიეწოდოს მას წვნიანი საკვები და წყალი, ჩახარული კომბოსტო, ჭარხალი. ავადმყოფობა აწუხებს როგორც მაკე, ასევე მამალ ნუტრიასაც. ამ დროს კუჭის გაწმენდა ხდება ოყნით. პირდაპირ ნაწლავში შეუშვებენ თბილ წყალს არეულს აბუსალათინის ზეთში, ანდა თევზის ქონში. კუჭ-ნაწლავის ძლიერი ანთების დროს უკეთდება ინექცია (500—800 ათას ერთეულ სტრეპტომიცინს ხსნიან 0,25-პროცენტთან ნოვოკაინში) კანქვეშ. გარდა ამისა, საკვებს უმატებენ ტერამიცინს — 1 მმ-ს კილოგრამ ცოცხალ წონაზე. ასეთ სამკურნალო კურსს ატარებენ 3—5 დღეს. კუჭშეკრულობის ასაცილებლად საკვებში ყოველთვის უნდა იყოს ძირხვენები და უხეში საკვები.

ტიმანია. მუცლის შებერვა გამომდინარეობს კლინიკური ნიშნებით მეტეორიზმიდან. ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება იყოს საკვებში სახამებლის სიჭარბე (მოხარული კარტოფილი ან გაღახურებული ბალახი). წარმოქმნილი გაზები ავსებენ კუჭსა და ნაწლავებს, აღწევენ გულის არეს და მთელ მუცლის ღრუს. ცხოველი იბერება. ამ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს საკვების ხარისხი, კვების სისწორე და აღმოიფხვრას ნაკლოვანებები. ავადმყოფ ცხოველს დღე-ღამის განმავლობაში არ კვებავენ. შემდეგ კვების ნორმის ნახევარს აძლევენ და თანდათანობით კვების ნორმაზე დაიყვანენ. კარგ ეფექტს იძლევა იხტიოლის ზსნარის 5—8 მგ ჩაყლაპვა, ანდა 3—5-პროცენტიანი რძის მკვავა.

შარდის ბუშტის ანთება ხშირად ახასიათებს ცხოველს ზამთრის პერიოდში, უფრო მეტად, როცა მას ვამყოფებთ ცივ ცემენტთან სადგომში. ამ დაავადების დროს ცხოველი ტრიალებს თავის გარშემო, გაღუნავს წელს და ყვირის. შარდი მოწითალოა, ცხოველი ჭამს ცოტას. უმადოდ. რამდენიმე კვირის შემდეგ კი იღუპება.

ავადმყოფობის პირველ პერიოდში მას გადასვამენ ცალკე გალი-

აში შედარებით თბილ, ნახერხმოყრილში. ძირითადად კონცენტრატულ საკვებსა და მოხარშულ კარტოფილს აძლევენ. თასში უკეთებენ მშრალ თბილ კომპრესს. მედიკამენტებიდან გამოიყენება 0.3 კჰქსამინისა და 0,01 გ ბელადონის ექსტრაქტის შენაერთი. ცხოველს დააწვენენ მაგიდაზე, მარცხენა ხელით უწევენ კლდს, ხოლო მარჯვენა ხელის თითით ფრთხილად შეაქვთ წამალი პირდაპირ ნაწლავში, შემდეგ ხერელს კეტავენ დიდი თითით. ორგანიზმის ტემპერატურა მკომედებით კაფსული იხსნება და წამალი სწრაფად შეიწოვება. მკურნალობა მიმდინარეობს დღეში ერთხელ მთელი კვირის განმავლობაში. მიმედ დაავადებულ ცხოველს ჩვეულებრივ კლავენ. პროფილაქტიკისათვის აუცილებელია სადგომი ბინა მოვათხოთ ნალთ, ნახერხით.

სათესლე ჭირკვლების ანთება. მამალ ნუტრიას. რომელიც იმყოფება ცემენტზე, ანდა ცივ ბუდეში, ასევე თუ ბანაობს გაყინულ წყალში, აღმოაჩნდება სათესლე ჭირკვლების ანთება, რომელიც ქათმის კვერცხის ოდენაა. ყოველ შემთხვევაში ასეთი ავადმყოფობა არ იწვევს ცხოველის სიკვდილს, მაგრამ მათ ეკარგებათ განაყოფიერების უნარი. ამიტომ მამალი ნუტრია აუცილებლად უნდა ვამყოფოთ გამთბარ იატაკზე. დაავადებულ ცხოველს კი კლავენ ტყავისათვის.

საშოს კატარი. ზოგჯერ დედა ნუტრიას აღენიშნება საშოს გაწითლება და მისგან მოწვეთავს მოსქელო სითხე. ასეთი ავადმყოფი ცხოველი ცალკე უნდა ვამყოფოთ და მოვბანოთ მანგანუმის ხსნარით. საერთოდ ასეთ ნუტრიას გამოიწუნებენ.

ემბრიონის დაღუპვა და აბორტი შეიძლება აღინიშნოს მაკეობის დასაწყის სტადიაში. ემბრიონის სიკვდილის დროს მაკეობის დარღვევის შიდა ნიშანი არ შეინიშნება.

აბორტი უფრო ხშირად მიმდინარეობს 2—3 თვის ასაკში. ასევე შეიძლება მოხდეს მაკეობის ბოლო თვეშიც. როცა ლეკვები თითქმის მთლიანად ფორმირებულია. ზოგჯერ მკვდარი ლეკვები იბადიბან, ანდა დაბადებისთანავე იხოცებან. დედა მათ ხშირად სჭამს. აბორტის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი კვება და ვიტამინობის ნაკლებობა, მენიუში ცილების ნაკლებობა. მოციონის უქონლობა. ცხოველის ვიწრო გალიაში მოთავსება, შეშინება და ცხოველის აგრესიულობა, მექანიკური დარტყმა. აბორტს შეიძლება დაერთოს საშვილოსნოს ბუდის ანთება. აბორტირებულ დედას ყოველთვის გამოიწუნებენ.

ცოცხალი ლეკვების კანიბალობა — დაკბენა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა. რთული მშობიარობისას ზოგჯერ დედა ნუტრია კბილებით გაქოსწევს მათ დაბადების დროს და ზოგიერთი ლეკვი კვდება კიდევ. ასეთ ლეკვებს ემჩნევათ ჭრილობა. ხშირად დედა ნუტრია დაგლეჯავს ან შეჭამს მკვდარ ლეკვებს. რჩება მხოლოდ კუდები. ჭანმრთელი ლეკვის დაკბენის მიზეზი მკვეობის დროს არასრულფასოვანი კვებაა. მენიუში ცოლის, კალცის, ფოსფორისა და ვიტამინების. განსაკუთრებით. A ვიტამინის და ძირხვენების ნაკლებობაა. თუ ბუდეში შევამჩნევთ დაკბენილ ლეკვს, აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოთ მის რძიანობას. იმ შემთხვევაში, როდესაც მას ძალიან ცოტა რძე აქვს. ლეკვები უნდა მოვაცილოთ. ასეთ ლეკვებს კვებავენ საწვეთურის საშუალებათ. ნუტრიას სარძევე ჭირკვლები უნდა დაუშუშავდეს დღეში ორჯერ და შეზეული იქნეს სპირტით, ამაღლდეს საკვების ხარისხი, მიეცეს ძირხვენები. 2—3 დღეში შეიძლება გაუმჯობესდეს მისი რძიანობა და ლეკვებაც გადაესვას.

მზისა და სიცხის დაცემა. მაღალი სიცხის დროს (30—40°) თუ ცხოველი არ არის დაჩრდილული, აქვს ვიწრო ბინა და არა აქვს საბანაო წყალი. დასიცხვამ შეიძლება სიკვდილიანობა გამოიწვიოს.

უკანა ნაწილის დამბლა ნუტრიას ხშირად ზაფხულში აღენიშნება. მიზეზი შეიძლება იყოს ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება. საშვილოსნოს ანთება, საკმელომონელებელი ორგანოს დაავადება, მექანიკური ტრავმა, ძვლის მოტეხილობა, არასრულყოფილი კვება, ასევე ზოგიერთი ინფექციური დაავადება. მკურნალობის საშუალება დამოკიდებულია ავადმყოფობის გამომწვევე მიზეზზე. დადამბლებულ ადგილს შეზელავენ მალამოთი. თუ არ გაუარა, ავადმყოფ ცხოველს გამოიწუნებენ.

დამბლის პროფილაქტიკისათვის ცხოველს აძლევენ სრულფასოვან საკვებს — მინერალურსა და ვიტამინიზებულს, ასუფთავებენ წყალს და სადგომს უკეთებენ დეზინფექციას.

ლისტერიოზი ნერვული სისტემის მწვავე ინფექციური დაავადებაა. ამ დროს ცხოველი ნაკლებად მგრძნობიარება. ამ ავადმყოფობის პროფილაქტიკური საშუალება მღრღნელების და მწერების სისტემატური განადგურებაა.

მკრეჭავი სირსველი გამოწვეულია სოკოვანი დაავადებით. ავადმყოფობა ჩვეულებრივ შეინიშნება ზამთარ-გაზაფხულზე. მისდამი

მდრეკილება აქვს 3—4 თვის მოზარდებს. გავრცელების წყარო უფრო მეტად თავგებია, კატა, ძაღლი და ადამიანი. ავადმყოფობა სწრაფად ვრცელდება, ბეწვის ცვენის დროს, მათ თიეთიკს ქარი ავრცელებს. საინკუბაციო პერიოდი მკრეჭავი სირსველისადმი 8 დღიდან 30 დღემდე გრძელდება. სირსველა ძირითადად უჩნდება ტყავს და ბეწვს თავის არეში, ყელსა და ბეჭებზე; ტყავზე წარმოიქმნება მოთეთრო-მონაცრისფრო ლაქა. ტყავი ამ ადგილზე ტიტველია, ანდა ბეწვის ნარჩენები აქვს შენარჩუნებული და დაფარულია სოკოვანი მუწულებით. ავადმყოფობის დაწყებისას პირველად ბეწვი კარგავს ბრწყინვალეობას და ელასტიურობას, ხოლო 7—15 დღის შემდეგ ძვრება ტყავს და შეკრეჭილს ემსგავსება. არაიშვიათად ლაქა აღწევს 3—4 სმ-ს და მეტსაც. ავადმყოფობა ზოგჯერ შეჩერდება და მოშიშვლებულ ადგილზე ბეწვი წამოიზრდება. ახალი ბეწვი უფრო მუქი ფერისაა. თუ მკურნალობა არ ტარდება, ჯანმრთელ ნაწილებზეც წარმოიქმნება ახალი ლაქები. ამ დაავადების დროს ცხოველი ხდება და ზრდას ჩამორჩება. მკრეჭავი სირსველი კლინიკური შესწავლის საგანია. ასეთ ავადმყოფ ნუტრიას უკეთებენ იზოლაციას, ძლიერ დაავადებულებს კი ხოცავენ, დანარჩენებს კურნავენ. მთლიან გამოჯანმრთელებამდე გალიას უკეთებენ დეზინფექციას. შეწყვეტილია ცხოველთა ყოველგვარი გადაყვანა. მასთან მომუშავე ადამიანებმა მკაცრად უნდა დაიცვან ჰიგიენა. ასეთი დაავადებული ტყავი უმჯობესია დაიწვას. მკრეჭავი სირსველის სამკურნალოდ გამოიყენება 10-პროცენტიანი იოდის ხსნარი ან 0,25-პროცენტიანი ანტიბიოტიკი — ტრიქოტეცინის ემულსია თევზის ქონზე, ვაზელინი ან მზესუმზირის ზეთი. მალამოს აცხელებენ 30—40 გრადუსამდე და ნელთბილს ადებენ დაავადებულ უბანზე. ტყავი რამდენჯერმე შეიზილება დაზიანების სირთულის გათვალისწინებით. ინტერვალი 5—7 დღეა. პრეპარატი რეზინის ხელთათმანით შეიზილება. დიდი ნაწილის დაავადების დროს ერთბაშად არ შეიძლება მთლიანად მკურნალობა, რამაც შეიძლება ცხოველის მოწამვლა გამოიწვიოს. რეკომენდებულია დასაწყისში დამუშაედეს თავი, 5—7 დღის შემდეგ ზურგი, ყელი და ა. შ. მკურნალობის დროს აუცილებელია მივცეთ ცხოველს ანტიბიოტიკი — გრიზეოფულანი (15—20 მგ კილოგრამ ცოცხალ წონაზე) და იოდის წვეთები (0,2 გ მთლიან გამოჯანმრთელებამდე). გარდა ამისა, ნუტრიას კვებავენ გოგირდის შენარეუთ—დღეში 0,5 გ.


მასტიტი — სარძევე ჯირკვლების ანთება. შეზღვევა ხდება ინტი-
ოლ-სალიცილის მალამოთი. ცხოველს გადააყლაპებენ 0,5—0,6 გ
უროტროპინს ან 0,3—0,5 გ სტრეპტოციდს დღეში ერთხელ. ავად-
მყოფი დედის ლეკვებს სხვა დედები აწოვებენ, ანდა ხელით ოკვე-
ბებთან.

გაყინვა. ნუტრია შეიძლება 25—30 გრადუსი ყინვის დროს გაიყი-
ნოს ცუდად გამთბარ სადგომში. პირველ რიგში ეყინება კუდის ბო-
ლო და შემდეგ თათები. გაყინული კუდის ბოლო ზოგჯერ წყდება.
ანდა მას თვითონ მოიღრღნის ცხოველი. მოყინულ კუდს აჭრიან.
ოპერაციას ნარკოზის გარეშე აკეთებენ. დაზიანებულ ადგილზე მო-
აცალებენ ბეწვს და წაუსვამენ იოდს. კუდს აჭრიან სკალპელით, ან
და დანით მალეებს შორის. ქრილობას არ კერავენ. მოწვავენ გაცხე-
ლებული რკინით ან იოდით. ზევით მჭიდროდ განასკვავვენ, ასე და-
ტოვებენ რამდენიმე დღეს. შეხორცება 1—2 თვე მიმდინარეობს.


კოლიბაქტერიოზი. ეს არის მწვავე გადამტანი ინფექციური და-
ავადება. უმთავრესად ძუძუმწოვარა ლეკვებში შეიმჩნევა, ზოგჯერ
კი 3—5 თვის ასაკშიც. ეს ბაქტერიები ძირითადად ნაწლავის ღრუში
იშვოვებიან. ავადმყოფობა წარმოიშვება საკვებიდან, წყლიდან და
თაგვებიდან. საინკუბაციო პერიოდი 3—5 დღე გრძელდება. დაავა-
დებული ცხოველი უარს აცხადებს საკვებზე. ხდება, აწუხება
საჭმლის გადამამუშავებელი ორგანო, უავადდება სასუნთქი ორგა-
ნოები, ირღვევა მოძრაობის წონასწორობა. 10—15 დღის შემდეგ
იღუპება. გვამის გაჭრის შემდეგ აღმოვაჩინთ ძარღვების შეშუპებას,
გულის პარკუჭში სისხლის ჩაქცევას, ლორწოვან ბურთულებს ბრონ-
ქებში, შეიმჩნევა ღვიძლის გადიდება. სამკურნალოდ გამოიყენება
ანტიბიოტიკები. უმჯობესია მისი დაკვლა და დეზინფექცია.

კოკციდიოზი. ეს არის ერთუჯრედიანი პარაზიტი: ამ ავადმყო-
ფობას ცხოველი იძენს წყლიდან ან საკვებიდან. დაავადების დროს
მას ეკარგება მადა, ემართება კუჭის აშლილობა, ზოგჯერ სისხლის
წვეთებს გამოყოფს. ახალგაზრდა ნუტრიებში კოკციდიოზი აღინიშ-
ნება კუჭყიან სადგომში, კუჭყიან წყალში ყოფნით. ყველაზე ძლიერ
მოქმედი პრეპარატია თეთრი სტრეპტოციდი. დისულანი, ფტალაზო-
ლი და ნორსულფაზოლი. მცირეოდენ საკვებში დღეში 2—3-ჯერ
5—6 დღის განმავლობაში მიეცემა 0,05—0,1 გ-ს. ამ ბოლო დროს
იხმარება ანტიბიოტიკები — სინტომიცინი და ბიომიცინი. საკვებთან
ერთად 0,05—0,1 გ დღეში 2-ჯერ 3—5 დღის განმავლობაში.

ბოცვერი



ნუტრია



ბოცვერის ბიოლოგიური თავისებურება

ბოცვერი მიეკუთვნება ძუძუმწოვართა კლასს, მღრღნელთა ჯგუფს. ბოცვერის გვარი იყოფა ორ სახეობად: 1. ჩვეულებრივი და 2. მსხვილკუდიანი. ყველა სახის შინაური ბოცვერი განეკუთვნება ჩვეულებრივს. ფიქრობენ, რომ ამ სახის პირველი გარეული ბოცვერი წარმოიქმნა მრავალი ათასი წლის წინ.

ზრდა და განვითარება. ბაჭიები იბადებიან შიშვლები და უსინათლონი. მათი ცოცხალი წონა ჭიშიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, 40—90 გ-მდე მერყეობს. ბაჭიების გამოზრდა მიმდინარეობს ძალიან ინტენსიურად. 10—14 დღეს შემდეგ მათ აეხილებათ თვალები, ხოლო 16—20 დღის შემდეგ იწყებენ ბუდიდან გამოსვლას და დამოუკიდებლად ჰამენ საკმელს. მათ ძალიან სწრაფად უვითარდებთ კბილები. სარძევე კბილები ბაჭიებამოუჭრებათ ჯერ კიდევ დედის ორგანიზმში. ახლად დაბადებულ ბაჭიებს 16 სარძევე კბილი აქვთ. მათი შეცვლა ეწყებათ მე-18 დღიდან. კბილების საბოლოო ფორმირება დაბადებიდან 20—28 დღეში უმთავრდებათ. მოზრდილ ბოცვერს 28 მუდმივი კბილი აქვს. კბილის ფორმულაა: საჭრელი 4/2, რთული ძირითადი 6/4, ძირითადი 6/6.

პირველადი სრული ბეწვის საფარის განვითარება ხდება ერთი თვის ასაკში, ამის შემდეგ იწყება მისი ცვლა. ინტენსიურად იცვლება ბაჭიების ცოცხალი წონაც. შეეჭვსე დღეს ის ჩვეულებრივად იზრდება, ხოლო თვის ასაკში დაახლოებით 10-ჯერ იზრდება. მაწოვარი ბაჭიების ასეთი ზრდა აიხსნება ბოცვერის რძის მაღალი საკვებობით. ბოცვერის რძე ძალიან სქელია. 1 გ-ით ბაჭიის გაზრდისათვის საკმარისია 2 გ დედის რძე. ზამთრის პერიოდში ბოცვერის რძის შემადგენლობა საშუალოდ ასეთია: 10—13 პროცენტი ცილა და 22 პროცენტი მდე ცხიმი. რძის შემადგენლობაში შედის აგრეთვე 1,8—2,2 პროცენტი რძის შაქარი და 1,5—2,5 პროცენტი მინერალური ნივთიერებები. დედალ ბოცვერს ლაქტაციის დროს ყოველდღიურად აძლევენ 50—27 გ რძეს, უფრო ხშირად 100—200 გ-მდე. რძის გამოყოფა იწყება მოგებობისთანავე. მაგალითად, 20 დღემდე დედა ბოცვერის რძიანობა 21—25 გ-მდე იზრდება. გამოყოფილი რძის რაოდენობა უცვლელი რჩება, შემდეგ კი თანდათან მცირდება.

თუმცა ზოგჯერ გამოყოფილი რძე დედა ბოცვერს არ უწყდება მთელი 60 დღე მოგების შემდეგ, რაც სხვა ბაჭიების გამოზრდის საშუალებას გვაძლევს. ბაჭიების ზრდის მაღალი მაჩვენებელი შეინიშნება იმ ბაჭიებში, რომლებიც ზამთრის პერიოდში, ანდა ადრეულ გაზაფხულზე დაიბადნენ. ზაფხულსა და შემოდგომით დაბადებული ბაჭიები ნელა იზრდებიან. კარგი კვებისა და პირობების დროს, დედა ბოცვერის ნორმალური რძიანობის პირობებში ბაჭიების წონა თვის ასაკში უნდა იყოს: თეთრი გოლიათის ჯიშისა და ნაცრისფერი გოლიათის ბოცვერის ბაჭია 600—700 გ, შინშილის — 500—600 გ, ცისფერი ვენური და ვერცხლისფრის — 450—550 გ, თეთრი თევითის — 400—450 გ.

ბოცვერის ზრდა მთავრდება 8—10 თვით ასაკში. ბუნებრივი სიცოცხლის ხანგრძლივობა 6—8 წელია, ზოგიერთ შემთხვევაში 10 წლამდე ცოცხლობენ. სამეურნეო წარმოებისათვის ბოცვერს იყენებენ 3—4 წლამდე, ვინაიდან შემდეგში მათი პროდუქტიულობა ეცემა.

გამრავლების განსაკუთრებულია. გოლიათის ჯიშის სადღე ბოცვერი 3—5 თვის ასაკში, ხოლო მსხვილი ჯიშის 4 თვის ასაკში აღწევენ სასქესო ორგანოს მომწიფებას და განაყოფიერდებიან. ვინაიდან ზრდა და განვითარება ამ პერიოდისათვის ისევე გრძელდება, ამიტომ დედალ-მამალი ბოცვერის შეწყვილება რეკომენდებულია მხოლოდ 6—7 თვის ასაკში.

ბოცვერის საკვერცხეში კვერცხუჯრედები მოხვდებიან შეწყვილების მხოლოდ 10—12 საათის შემდეგ. ყოველი საკვერცხიდან ერთიმეორის მიყოლებით გამოდის სამიდან ათამდე კვერცხუჯრედი. განაყოფიერება მიმდინარეობს საკვერცხის ზედა ნაწილით, სადაც სპერმატოზოიდები მოხვდებიან შეწყვილებიდან 2—2.5 საათის შემდეგ. სპერმატოზოიდები განაყოფიერების უნარს ბოცვერის ორგანიზმში ინარჩუნებენ დღე-ღამის განმავლობაში. განაყოფიერებული საკვერცხე უჯრედში უფრო ხშირად ხვდება არა ერთი, არამედ რამდენიმე სპერმატოზოიდი, რომელიც 10—12 საათის შემდეგ იწყებს დანაწევრებას. ჩანასახი ძალიან სწრაფად იზრდება. უკვე მე-5, მე-7 დღეს აღინიშნება ჩანასახის მონახაზი, საიდანაც შემდეგში ფორმირდება ჩანასახის ორგანოს სხვადასხვაობა. მერვე დღეს ჩანასახი საშვილოსნოს კედელს მიეკვრება. მე-13 დღეს ისინი აღწევენ 6—7 მი-

ლომეტრის სიგრძეს. ამ პერიოდში მათი მოსინჯვა უკვე შეიძლება მეცლის კედლებზე.

ჩანასახის ზრდა მთავრდება 29—34 დღეში. მშობიარობა უფრო ხშირად მამდინარეობს ღამე, ანდა ადრე დილით და გრძელდება 5—10 წუთს. ზოგჯერ ერთ საათამდეც გასტანს. არის შემთხვევები, როდესაც დაყრა მამდინარეობს ორ ნაწილად დღე-ღამის ინტერვალით.

ღედა ბოცვერი ჩვეულებრივ 6—9 ბაქიას, ზოგჯერ 18-საც ბადებს. ბაქიების დაყრის შემდეგ სასქესო ორგანო ძალიან სწრაფად აღდგება, იმდენად სწრაფად, რომ მეორე დღესვე ღედა ბოცვერს შეუძლია განაყოფიერება. წელიწადში ერთი ღედა ბოცვერიდან შეგვიძლია მივიღოთ 5—6 მოგება, ხოლო ლაქტაციასთან შეთავსებით 6-დან 8-მდე. შემოდგომით, შემოკლებული დღის წინ, ღედა ბოცვერები ცუდად განაყოფიერდებიან.

საკმლის მონელების განსაკუთრებულობა. ბოცვერი მიეკუთვნება მცენარეული მკვებავ ცხოველს მარტვი ერთპარკუჭიანი კუჭით. კუჭი შედარებით დიდი აქვს. მისი მოცულობა სავსე მდგომარეობაში შეადგენს მოზრდილი ცხოველის 180—200 მმ-ს. ნაწლავების საერთო სიგრძე 8—10-ჯერ აღემატება თავის ტანის სიგრძეს.

თავისუფალი კვების დროს ბოცვრის კვების სიხშირე მოზრდილებში 20—25-ს აღწევს დღე-ღამეში, კვების გაგრძელებით — 5—10 წუთს. მოზარდები საკვებს ხშირხშირად ჭამენ, ასეა ერთი თვის ასაკში. დამოუკიდებელ კვებაზე გადასვლისას საკვების მიღების სიხშირე აღწევს 50—60-ს დღე-ღამეში, რომელიც მოზრდილ ბოცვრებში ნორმამდე მცირდება.

ბოცვრის ბიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარეობს ის, რომ ბოცვერში ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ კაპროფაგიას, თავისი ღამის განავლის შექმას. ბოცვერი გამოყოფს ორი სახის განავალს: ღამისა და დღისას. ისინი განსხვავდებიან ქიმიური შედგენილობით. ღამის განავალი ტენიანი და რბილბურთულებიანია, რაპდენადმე გაბრტყელებული ფორმით, დღისა კი მაგარი ბურთულების მსგავსია. ღამის განავალი დღის განავალთან შედარებით უფრო მნიშვნელოვან საკვებ ნივთიერებებს შეიცავს.

კაპროფაგია ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესია. მისი დახმარებით ბოცვრის კუჭ-ნაწლავში საკვების ყოფნის დრო 20—25 პროცენტით იზრდება. ეს კი ხელს უწყობს საკვების გადამუშავებას.

კაპროფაგია ბოცვრის ორგანიზმს ვიტამინების ჯგუფით უზრუნველყოფს.

ბოცვერში საკმლის მონელების ფიზიოლოგიური განსაკუთრებულობა გამოიხატება უუნარობით, ათეოსოს არაცილოვანი აზოტა შარდიდან და ამონიუმის მარილი. ამიტომ ამ ნივთიერებებით საკვების გამდიდრებას, როგორც ეს მცონხავ ცხოველებში ხდება. ბოცვრისათვის აზრი არა აქვს.

ბაჭიებს, გადასმის პირველ დღეებში უქვეითდებათ საკმლის გადაჭრუშავება გადასამუშავებელი წვენს გამო. განსაკუთრებით ეს შეინიშნება აღრე. 28—30 დღის ასაკში გადასმულ ბაჭიებთან. 40—45 დღის ასაკში გადასმისას ასეთი სისუსტე ნაკლებად შესამჩნევია, ხოლო 60 დღის ასაკში გადასმისას პრაქტიკულად არ შეინიშნება. აღრეული გადასმის დროს პირველ სამ დღეს ბაჭიებს საკვებზე მოთხოვნილება ნაკლები აქვთ, შემდეგ კი მკვეთრად ეზრდებათ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცხოველის დაავადება. ამიტომ პირველი 7—10 დღის განმავლობაში მიზანშეწონილია მიეცეთ განსაზღვრულ რაოდენობის საკვები, განსაკუთრებით დღეა მოცულობით კი უბეში საკვები.

ბოცვრის ორგანიზმის სხვა ფიზიოლოგიურ თავისებურებები. სხვა ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს ბოცვრის ჯანმრთელობის შეფასებასას, აღინიშნება თბობროდუქტიულობა, გაზცვალებალობა, გულის მოქმედება და ნერვული სისტემა.

ბოცვრის ტემპერატურა მუდმივი არ არის. ის მერყეობს შინ ირგვლივ არსებული ტემპერატურის გავლენით. ასე რომ, ჰაერის ტემპერატურის დროს პლუს 5, 10, 20, 35 და 40 გრადუსისას ბოცვრის ორგანიზმის ტემპერატურა შეადგენს შესაბამისად 37,5 ან 38,7, ან 40,5 ან 41 გრადუსს. ბოცვრის ორგანიზმის ტემპერატურის 44 გრადუსზე აწევა იწვევს ცხოველის სიკვდილიანობას.

ბოცვრები ჩვეულებრივ კარგად იტანენ როგორც დაბალ, ისე მაღალ ტემპერატურას — მინუს 30°-დან პლუს 30°-მდე, მაგრამ ეშინიათ ორპირი ქარის და სინესტის. ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურა მათთვის პლუს 15-დან 22 გრადუსამდეა.

გულის მოძრაობის ნორმალური სიჩქარეა 120—160, ზოგჯერ 200—220 წუთში. გულის დარტყმის მოსმენა ხდება ორგანიზმის მარცხენა ნაწილში, მეორე და მეოთხე ნეკნების შუალედ მანძილზე, ხო-

ლო პულსის მოსინჯვა გვერდითი, ანდა მხრის არტერიასთან. სუნთქვის ნორმალური რიცხვია 50—60, ზოგჯერ 100 დარტყმა წუთში.

ბოცვერი ძალიან მგრძნობიარეა სუფთა ჰაერის შესუნთქვისას. ჰაერში კონცენტრირებული ამიაკის შესაძლებლობა 0,01 მგ-ის ოდენობითაც კი უარყოფითად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. ასევე ცუდად მოქმედებს ჰაერის შემადგენლობაში გოგირდწყალბადის მომატება, ნახშირბადები და სხვა მავნე გაზები.

სხვა ცხოველებთან შედარებით ბოცვერი მეტად მშიშარაა, ამიტომ მასთან მოპყრობა ფრთხილი უნდა იყოს. საჯიშე ბოცვერის არჩევისას აუცილებელია დავითოვოთ ძლიერი და ნერვიული სისტემით გაწონასწორებული ცხოველი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწარმოებელი მამლის არჩევისას.

არჩევენ ოთხი ტიპის აგებულების ბოცვერს: უხეში, მაგარი, ნაზი და ფუმფულა.

უხეში აგებულების ბოცვერს აქვს მასიური ძვლები, დიდი და უხეში თავი, სქელი ტყავი, ძლიერგანვითარებული კუნთები და სუსტად განვითარებული ცხიმოვანი საფარველი. ბეწვის საფარი უხეშია, დიდი რაოდენობით უხისებრი ბეწვით. ამიტომ ასეთი ჯიშის ცხოველი ექვემდებარება წუნს. ასევე მას სახორცე პროდუქტიულობა დაბალი აქვს.

მაგარი აგებულების მქონე ბოცვერს ცხიმოვანი ფენა მთლიანად უმნიშვნელო აქვს. თავი მომრგვალო, ანდა მოგრძო, არა უხეში. ძვლები კარგად განვითარებული, მაგარი, არა უხეში, მკერდი ფართე და ჩაღრმავებული, ტანი მოგრძო, ზურგი პირდაპირი, გავა მომრგვალო. ცხოველს მკიდრო ელასტიური კანი აქვს. საკვებს კარგად იღებს. ასეთ ბოცვერს სანაშენოდ იყენებენ.

ნაზი აგებულების ბოცვერს აქვს ნაზი, არა უხეში თავი. ხასიათდება სუსტი ძვლებით, ელასტიური ტყავით, ნაკლებად განვითარებული კუნთებით. ბეწვის საფარველი რბილი. ცხოველები ხშირად ავადდებიან და ნაკლებპროდუქტიულებია. როგორც წესი, გამოწუნებას ექვემდებარებიან.

ფუმფულა აგებულების ბოცვერი ერთი შეხედვით მასიურია, მაგრამ ძვლები სუსტი აქვს. ტყავი და კუნთები გაფუებული, კარგად განვითარებული კანქვეშა ქსოვილით. ბეწვის საფარველი ხშირად რბილია და თხელი. ასეთი ცხოველები კარგად ამუშავებენ საკვებს.

აგებულების მიხედვით ბოცვერს მიაკუთვნებენ ტანმოქნილ ცხო-

ველს. მას უნდა ჰქონდეს ორგანიზმის ძლიერი აგებულება, კარგად განვითარებული ძვლები, ტიპური ტანი და თავი, დაკვეტილი ყურები, კარგად განვითარებული ფართე და ღრმა მკერდი, განიერი და პირდაპირი ზურგი, გაგრძელებული და განიერი წელის არე. ფორმით მრგვალი და მაგარი კიდურები.

მამალ ბოცვერს დედლებთან შედარებით უნდა ჰქონდეს უფრო მეტად მასიური, უხეში, მრგვალი თავი, უფრო ფართე მკერდი, უფრო მაგარი და მსხვილი ფეხები და უფრო უხეში ბეწვსაფარველი. საპირისპიროდ დედლები ყველა ამ მაჩვენებელს ამქადავებენ შედარებით რბილ ფორმებში.

ცხრილი 12

ბაკვის ინტენსიური ზრდა

მაჩვენებელი	საკვი		თვე		
	1	2	3	4	5
ცოცხალი წონა	640,0	1260,9	2050,0	266,0	3180,0
საშუალო დღე-ღამური ზრდა	19,7	20,7	26,2	20,3	17,4

ბოცვერი გამოირჩევა რა მაღალი ინტენსიურობით, მთელი წლის განმავლობაში ერთი დედა ბოცვიდან და მისი ნაშენიდან შეიძლება მივიღოთ 100 კგ ხორცი ცოცხალი წონიდან და 35 ცალამდე ტყავი.

ბოცვის ჯიშები

დადგენილია, რომ დღევანდელი შინაური ბოცვის წინაპარი იყო ევროპის გარეული ცხოველი. ის მოაშენეს და მრავალი სასელექციო მუშაობის შედეგად მიიღეს ბოცვერთა სხვადასხვა ჯიში. დღესდღეობით ბოცვის 70-მდე ჯიშს ითვლიან, რომელთაგან ბევრი მათგანი დეკორატიული ჯიშია. მაგალითად, ინგლისური პეპელა, ნიდერლანდური, იაპონური, რომელთა წონა 1—1,5 კგ-ია.

მრავალ ქვეყანაში გამოყენებულია საუკეთესო ჯიშის ბოცვრება, რომლებიც თავისი დანიშნულების მიხედვით იყოფიან სახორციე, სა-

ბუნვე, სახორცე-საბეწვე და თევთაყის ჯიშის ბოცვერებად. ამ ჯიშების მოშენება განვითარებულია როგორც კერძო მეურნეობებში, ასევე გამსხვილებულ ფერმებში.

თეთრი გოლიათი. ეს ჯიში გამოყვანილ იქნა ბელგიასა და გერმანიაში მე-19 საუკუნის ბოლოს. რუსეთში შემოყვანილ იქნა გერმანიიდან 1927 წელს. ამ ჯიშის ბოცვერს აღენიშნებოდა მცირე ნაყოფაერება და სუსტი სიცოცხლისუნარიანობა. მაგრამ მრავალგზის სასწელექციო მუშაობის შედეგად გაუმჯობესდა თეთრი გოლიათის ჯიში.

მოზარდი ცხოველის ცოცხალი წონა 5.1—2 კგ-ია, ტანის სიგრძე — 60 სმ, გულმკერდის შემოწრილობა — 37 სმ, პროდუქტიულობა — მაღალი. დედა ბოცვერი ერთ დაბაჰიანებაზე იძლევა და გამოკვებავს 7—8 ბაჰიას. ადრე მწიფდება. აქვს საშუალო მეხორცეობა. დაკვლიდან გამოსავლიანობა 52—54 პროცენტი. ორი თვის მოზარდი 1,8 კგ-ს იწონის, სამი თვის — 2,6, 4 თვის — 3,5 კგ-ს. თეთრი გოლიათის ტყავი მოზრდილია. ბეწვის საფარველი სუფთა — თეთრი და ხშირი.

ტყავი გამოიყენება ტყავის წარმოებაში ნატურალური ფორმით. თეთრი გოლიათის ჯიშის ბოცვერს თვალები მკვეთრი წითელი აქვს. ცხოველი ხშირად მასტიტით ავადდება, რის გამოც მისი გამოწუნება ხდება პირველი და მეორე დაბაჰიანების დროს. მიუხედავად ამისა, თეთრი გოლიათის ჯიშის ბოცვერი მაინც არის გავრცელებული. ზოგჯერ მას შეჯვარებისთვისაც იყენებენ. რაც შეეხება მის აგებულებას, აქვს ნაზი, მაგრამ მაგარი ტანის აგებულება. ხასიათდება გრძელი ტანით, პირდაპირი ვიწრო ზურგით, მრგვალი გავით, ღრმა მკერდით, მსუბუქი თავითა და გრძელი ყურებით, გრძელი განიერი ფეხებით.

შინშილა. ბოცვრის ეს ჯიში გამოყვანილია 1910—1913 წლებში საფრანგეთსა და გერმანიაში შეჯვარების გზით. შემდეგ კი მასზე ჩატარდა ხანგრძლივი სასელექციო სამუშაოები ნოვოსიბირსკის ოლქში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლის ნ. ზუსმანის ხელმძღვანელობით და 1963 წელს მიღებულ იქნა შინშილას ბევრად გაუმჯობესებული ჯიში, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები: თავი — საშუალო, ყურები — პირდაპირ მზირალი, გარემო პირობებზე — კარგი ამტანი, ტანი — კომპაქტური, ძვლები — მაგარი, მკერდი — განიერი და ღრმა, ზურგი — მომრგვალებული, კარგად განვითარებული წელით, გავა — განიერი და მომრგვალებული, ფეხები —

მაგარი და სწორი. საშუალო ცოცხალი წონა 4,2—6,2 კგ-მდეა, ზოგჯერ 7—8 კგ-ს აღწევს. ტანის სიგრძე — 55—65 სმ, მკერდის შემოწერილობა—36—39 სმ. ორი თვის მოზარდების წონა—1,7, სამი თვის — 2,5—2,6 კგ-მდე. დედლები ხასიათდებიან მაღალი რძიანობით და კარგი დედობრივი თვისებებით. საშუალო ნაყოფიერება 7—5 ბაჭაა. სწრაფად მწიფდება. მოზარდის ზრდის ენერგია საუკეთესოა. დაკვლისას გამოსავლიანობა 54—56 პროცენტა. სარგებლობს დიდი პოპულარობით. ლებულობენ არა მარტო დიდი რაოდენობით ხორცს, არამედ მეტად ლამაზი შეფერილობის ტყავსაც. ის შეიძლება იყოს ვერცხლისფერ-ცისფერი, შავი ტალღებით, რაც ძირითადად ემჩნევა ზურგსა და გვერდებზე, ბეწვზე შებერვის დროს კი ზოლი. ძირითადი ფხისებრი თივთიკის ბეწვი ღია-ნაცრისფერ-ცისფერია, ზემოთ მუქი ნაცრისფერი, შემდეგ ჩანს თეთრი წრე და ბეწვის შავი ბოლოები. დამახასიათებელია თვალის გარშემო ნათელი წრე.

ახალზელანდიური თეთრი. ჯიში შექმნილია ამერიკაში, ნაზი აგებულების ბოცვერთა შერჩევით. გამოირჩევა მაგარი კონსტრუქციულობით, წვრილი ძვლებით. ცილანდრისებრი ტანითა და მაღალი მეხორცულობით. თავი საშუალო აქვს. მოკლე, თხელი. პირდაპირ მდგარი ყურებით, მკერდი-ღრმა და ფართო. ზურგი—პირდაპირი და მოკლე, წელ-განიერი, განიერი მომრგვალებული გავა. ფეხები — პირდაპირი, მსხვილი და მაგარი. კუნთოვანი ხორცი ძირითადად წელის არედან აქვს განვითარებული. თათები — მასაური, ბეწვის საფარი — ხშირი, გლუვი, თივთიკი წმინდა. ხშირი და რბილი. დედები 6—10 ბაჭიას იძლევიან.

დედების ცოცხალი წონა 4,5 კგ-ია. მამლების — 5 კგ. დედების ტანის სიგრძე 47 სმ-ია, მამლების კი 49,5 სმ. ტანის აგებულების ნაკლები გამოიხატება ვიწრო თათებით, წაგრძელებული მოკლე და ვიწრო კორპუსით დაშვებული უკანა ნაწილით. ამ ცხოველის ძირითადი ღირსება ის არის, რომ მოზარდებს ახასიათებთ მაღალინტენსიური ზრდა ადრეულ ასაკში. 20 დღის ასაკში ცოცხალი წონა 425—500 გ-ს აღწევს, ორი თვის ასაკში 1,7—1,8 კგ-ს, სამი თვის ასაკში — 2,7—3,0 კგ-ს. ამ ასაკში ხორცის გამოსავლიანობა 54—58 პროცენტია. ცხოველი მომთხოვნია გაძლიერებული კვებისა და სითბოს მიმართ.

კალიფორნიული ჯიშის ბოცვერი გამოყვანილია ამერიკაში რთული შეჯვარების პროცესით შინაილას, ახალზელანდიური

და რუსული ბოცერის ჯიშებისაგან. რუსეთში შემოყვანილ იქნა 1971 წელს.

კალიფორნიის ჯიშის ბოცერს აქვს ნაზი კონსტრუქციის თხელი და მსუბუქი ძვლები, კომპაქტური ტანი გაგანიერებული წელისა და მენჯის ძვლებით. თავი მსუბუქი, საშუალო თხელი ყურებით. მკერდი განიერი, ზურგი განიერი და მოკლე, გავა მომრგვალებული. ბოცვერი გამოირჩევა მაღალი მენორტულობითა და სწრაფი მომწიფებით. საშუალო ცოცხალი წონა ორი თვის ასაკში 1,8—2,3 კგ-ია. საშუალო დღე-ღამური ზრდა 40—45 გ. სამი თვის ასაკში 2,7—3,4 კგ-ს აღწევს. ტანი თეთრია, ცხვირის ბოლოები, ყურები, კუდი, თათები შავი ან მუქი ყავისფერი, როგორც ახალზელანდიურ თეთრს, კალიფორნიის ჯიშის ბოცვერი ხასიათდება ხშირი დაშვებული კიდურებით. მოითხოვს კარგ ბუნებრივ პირობებსა და საკვებს.

ნ ა ც რ ი ს ფ ე რ ი გ ო ლ ი ა თ ი. ბეწვის შეფერილობა მოწითალო-ნაცრისფერია. კარგად ეგუება ნებისმიერ საცხოვრებელ პირობებს. ამტანია და ნაყოფიერი (7—8 ბაჭია). დედები გამოირჩევიან კარგი თვისებებითა და უხვრძიანობით. მოზრდილი ბოცერის ცოცხალი წონა არის 5 კგ; ტანის სიგრძე 61—62 სმ; მკერდის გარშემოწერილობა 38 სმ. ზოგიერთი ამ ჯიშის ცხოველის წონა 7 კგ-ს აღწევს. ელიტის ჯგუფის 9 თვის ასაკის ზევით წონა უნდა იყოს 5,3 კგ, 1 კლასის — 4,6 კგ, 4 თვის მოზარდების კი 3,2 ან 2,9 კგ. ცოცხალა წონიდან სახორცე გამოსავლიანობა 55—60 პროცენტია. დაკვლისას ლებულობენ განსაკუთრებით დიდი ზომის ტყავს. აქვს მაგარი მასიური ძვლები, მაგარი და ზოგჯერ უხეში აგებულება, თავი—მსხვილი, მასიური ყურებით, ტანი—გრძელი და მრგვალი, მკერდი კარგად განვითარებული, ღრმა, წელი—გაგრძელებული, პირდაპირი და ფართო, მომრგვალებული, ფეხები—სწორი, კუნთოვანი. მისი ბეწვის საფარველი ნაკლებად ხშირია, ვიდრე სხვა ჯიშებისა. შეფერილობით ხშირად გვხვდება მონაცრისფრო, მუქი-ნაცრისფერი, შავი, აგრეთვე მოწითალო-მოთეთრო, მოცისფრო.

ვ ე რ ც ხ ლ ი ს ფ ე რ ი. ბოცვერს აქვს ლამაზი ხშირი ბეწვი. ცხოველი სწრაფად მწიფდება. დედები გამოირჩევიან უხვრძიანობით, ნაყოფიერებითა და გამძლეობით. იძლევიან საუკეთესო ხორცს. მოზარდები სწრაფად იზრდებიან. ადვილად ეგუებიან ნებისმიერ პირობებსა და საკვებს.

მოზარდების საშუალო წონა 4,5 კგ-ია. ტანის სიგრძე — 57 სმ.

გულმკერდის გარშემოწერილობა—36 სმ. ხორცის გამოსავლიანობა—48 პროცენტი. წონა 9 თვის ასაკში ელიტის ჯგუფისათვის 5,3 კგ-ია. 1 კლასისთვის 4,6 კგ, 4 თვის მოზარდისათვის—3,2 და 2,9 კგ. დედის საშუალო ნაყოფიერება 8—9 ბაჭიას შეადგენს. ბაჭიები გამოირჩევიან სწრაფი ზრდით. დღე-ღამეში წონის ნამატი პირველ დღეებში 20—23 გ-ია.

ამ ჯიშის ბოცვერს აქვს ფართო და მკვრივი ტანი, საშუალო სიდიდის თავი, მოკლე და პირდაპირი ყურები, ზურგი—პირდაპირი, მკერდი—ღრმა, ფეხები—მაგარი, პროპორციული ტანი. საერთო შეფერილობა ვერცხლისფერია, თვალები ყავისფერი. ბაჭიები იბადებიან შავი და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გაუჩნდებათ პირველი ნიშნები ვერცხლისფერი შეფერილობისა. 4 თვის ასაკში მთლიანად ვერცხლისფერი ხდებიან.

ვენური ცისფერი. საბეწვე ჯიშია. საშუალოდ გადაზრდილია საბეწვე სახორცე ჯიშის ბოცვერში. ტანი—პირდაპირი, ოდნავ წაგრძელებული, ძვლები—მაგარი, თავი და ყურები—საშუალო, თმის საფარველი—ხშირი, რბილი, კარგი ბრწყინვალეობით, მტრედისფერ-მოცისფრო, მუქიდან ღია ტონით. ფხისებრი თივთიკი და ბეწვი—თანბრად შეფერილი. ამ ბოცვერის ტყავი ძირითადად ნატურალური გამოიყენება, შეუღებავად. მოზრდილი ბოცვერის საშუალო წონა 4—3 კგ-ია, ტანის საშუალო სიგრძე 57 სმ-ია, გულმკერდის გარშემოწერილობა 36 სმ. დედა ბოცვერები გამოირჩევიან კარგი დედობრივი თვისებებით. ხასიათდებიან მაღალი ნაყოფიერებით. გვაძლევენ საშუალოდ 8 ბაჭიას. ვენური ცისფერი ბოცვერი ძალიან ამტანია და კარგად ეგუება ბუნებრივ პირობებს და კვების სხვადასხვაობას.

შავი-კვამლისფერი. ეს ჯიში დამტკიცებულია 1943 წელს, რომელიც გამოიყვანა ზოოტექნიკოსმა ფ. ნიკიტინმა (სამი ჯიშის შეჯვარებით—ფლანდერის, თეთრი გოლიათისა და ვენური ცისფრის).

მუქი შავი. ჯიში მსხვილი, ორიგინალური შეფერილობისაა, გამოირჩევა სწრაფი მომწიფებით და მეხორცულობით. ადვილად ეგუება კლიმატურ პირობებს. მოზრდილის საშუალო ცოცხალი წონა 5 კგ-ია, ტანის სიგრძე 61 სმ, მკერდის გარშემოწერილობა 37 სმ, ელიტის ჯგუფის წონა 9 თვის ასაკში არანაკლებ 5,3 კგ-ია, 1 კლასი—4,6 კგ, 4 თვის მოზარდის წონა კი 3,2 და 2,9 კგ. საშუალო ბაჭიანობა 7—8 ბაჭიანია. ბაჭიების დღე-ღამური ზრდა 18,3 გ-ს შეადგენს. მაგარი კონსტრუქციული აგებულებისაა. გრძელი ტანი

გამოირჩევა, მაგარი ძვლებით, ღრმა მკერდით, დიდი თავით. გრძელი ყურებით, ფართო მრგვალი გავით, მსხვილი და გრძელი ფეხებით.

ბეწვის საფარველი აქვს ძალიან ხშირი, მუქი შავი შეფერილობით, ბეწვის ბოლოები ბრწყინავი, თივთიკი — სადაფის, ასპიტის ფერის.

თეთრი თივთიკის ჯიშის ბოცვერი მიღებულია ბირლიუნსკის ანგორის ჯიშის ბოცვის, ფლამანდური ანგორის ჯიშის ბოცვერთან შეჯვარებით.

ბოცვერი გამოირჩევა ოდნავ მოღუნული ტანით, მაგრამ კონსტრუქციით და კარგად განვითარებული ძვლებით. თავი მომრგვალებული აქვს. მოკლე პირდაპირ მზირალი ყურებით. მკერდი არასაკმარისად ღრმა, ზურგი გაღუნული, მომრგვალებული და ფართო, ჯავა განიერი. ფეხები მაგარი და სწორი.

მოზარდი ცხოველის ცოცხალი წონის საშუალო მაჩვენებელი 4 კგ-ია. ტანის სიგრძე 54 სმ, მკერდის გარშემოწერილობა 34 სმ. დედები სიკმარისად ნაყოფიერი და მერძეულია. საშუალო ნაყოფიერება 6—7 ბაჭიაა.

ჯიშის მთავარი ღირებულებაა მაღალი თივთიკის პროდუქტიულობა (ერთ კგ-მდე ერთ დედალზე თავისი შთამომავლობით). ბეწვის საშუალო სიგრძე 5 სმ-ია, ცალკეულ შემთხვევებში 14--15 სმ, სისქე 12.5—13.5 მიკრონი, რითაც არ ჩამოუვარდება საუკეთესო ხარისხის მატყლს. საშუალო წლიური შეგროვება მოზრდილი ბოცვიდან 350—400 გ-ია.

ბოცვის მოხევა

მოზარდი ბოცვერი შეიძლება 5 თვის ასაკში შევაწყვილოთ, როდესაც მათი ცოცხალი წონა 3,5 კგ-ს აღწევს. მსხვილი ჯიშის ბოცვერი სასურველია პირველ შეწყვილებაზე 15—30 დღით გვიან გაუშვათ. ხოლო მამლები უნდა იყოს 6—8 თვის ასაკისა.

შეწყვილების სურვილი დედალ ბოცვერს მთელი წლის განმავლობაში აქვს, ოქტომბერ-ნოემბერში კი მცირდება. მოზრდილ ბოცვერს ბაჭიების დაყრის მეორე-მესამე დღესვე ეწყება სურვილი შეწყვილებაზე. აქტიურობა გრძელდება დაახლოებით 5 დღეს. ორი-სამი დღის შემდეგ კი სუსტდება. შიმდე დგება დრო მისი ფიზიოლოგიური მოხევისა.

ახალი შეწყვილების სურვილის დრო მეტყვევია და იგი ცხოველს ზაფხულის პერიოდში ყოველი მეცხრე დღის შემდეგ უმოკრდება. ზოგიერთს ყოველ 15—20 დღის შემდეგ. აქტიურობის დროს ბოცვერი მოუსვენარია. თვითიკს იგლეჯს გულიდან, აგროვებს და მიაქვს სადგომში, ყრის საკვებს. სასქესო ორგანო მას შესიებული აქვს, ღია ვარდისფერი.

შეწყვილება უკეთესია ზაფხულის პერიოდში — დილით და საღამოს, ზამთარში კი დღისით. შეწყვილებისას დედა ბოცვერს ჩასვამენ მამალთან. შეწყვილებისას გალიიდან უნდა ამოვიღოთ საკვებური და სარწყულებელი. თუკი შეწყვილება არ მოხდება. დედა ბოცვერს რამდენიმე საათის შემდეგ ჩავსვამთ სხვა უკეთეს მამალთან. პირველი შეწყვილების შემდეგ რეკომენდებულია ისევ იმ მამალთან შევუშვათ შეწყვილებაზე (3—7 საათის შემდეგ).

მეორედ შეწყვილებისას მაშინვე უნდა ჩავიწეროთ თარიღი და მამლის ნომერი, ხოლო მამლის ტრაფარეტზე აღვნიშნოთ შეწყვილების რიცხვი და დედლის ნომერი.

ორმაგი შეწყვილების დროს ერთ მამალთან არ არის საჭირო ორ დედალზე მეტის ჩასმა, ხოლო ერთი შეწყვილებისას — ოთხზე მეტის ჩასმაც შეიძლება. ახალგაზრდა ბოცვერის დატვირთვა თანდათანობით იზრდება.

იმისათვის რომ შემოწმდეს ახალგაზრდა დედის ხარისხი, საჭიროა შევაწყვილოთ მოზრდილ მამალთან. უკვე საჯაროდ შემოწმებულთან. ასეთივე მეთოდით ამოწმებენ ახალგაზრდა მამლებს, მას შეუსვამენ მოზრდილ დედას.

საჯიმე მამლები — მწარმოებლები უნდა გაჰორჩეოდნენ მაღალი სქესობრივი აქტიურობით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გამოიწუნებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს მათ სარემონტო დროს. როგორც წესი, მოზრდილ ბოცვერს ორი წლის ასაკში შეცვლიან.

საბოლოოდ განაყოფიერებაში რომ დავრწმუნდეთ, დედა ბოცვერს შევამოწმებთ მაკეობაზე მუცლის არეში ფრთხილი მოსინჯვით, დაახლოებით შეწყვილ ბიდან 10—12 დღის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩაუშვებენ შეწყვილებაზე.

მაკეობა დედა ბოცვერს უხანგრძლივდება 30 დღემდე.

დაბაჰიანების წინ დედა ბოცვერს გამოეუსუფთავებთ ბინას, ხოლო 6—7 დღით ადრე ჩაუღებთ პატარა ყუთს, სადაც ჩავაფენთ რბილ საფენს. ყველაზე უკეთესია მშრალი წმინდა ბალახი. დაბაჰი-

ანებამდე დედა ბოცვერი იწყებს ბუდის გამზადებას. იგლეჯს თივთიკს მუცლიდან, გულიდან და აწყობს ბუდეში. ზამთარში აუცილებელია ბუდეში მთლიანად დაეტოვოს თივთიკი. თუ დედა ბოცვერა თვითონ არ აკეთებს ბუდეს, მაშინ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და თივთიკიც შევაცალოთ ბუდისათვის.

დაყრა ხშირად მიმდინარეობს ღამე, იშვიათად დღისით. გრძელდება 10—30 წუთი, ზოგჯერ კი ერთი საათი. დაბაჭიანების შემდეგ ბოცვერი შეჭამს მომყოლს, ბაჭიებს სვამს ბუდეში და აჭმევს. დაბაჭიანების დროს დედა ბოცვერი განიცდის წყურვილს. წყლის უქონლობისას მას შეუძლია თავისი ბაჭიები შეჭამოს. ბაჭიების შეჭმის შემთხვევა გამოწვეულია აგრეთვე ბოცვერებში მინერალური ნივთიერებების და ვიტამინების უკმარისობით. ბოცვერს, რომელიც ხშირად ჭამს თავის ბაჭიებს, გამოიწუნებენ.

დაყრის დამთავრების შემდეგ ბუდე უნდა შემოწმდეს. მოცილდეს მკვდრად დაბადებულები ან განუვითარებლები. შემოწმების წინ აუცილებელია ხელის საპნით დაბანა.

თუ დედა ბოცვერი დაბაჭიანების შემდეგ მოუსვენრადაა, ბაჭიებს გადაყრის და ფეხით გათელავს, საჭიროა მათი გალიიდან ამოყვანა.

დედის შეწუხება შეიძლება გამოწვეული იყოს სარძევე ჭირკვლების გამაგრებით. ფაქიზად უნდა გაუკეთდეს მასაჟი, გამოიწუროს რამდენიმე წვეთი რძე და ხელში დაჭერით შეისვას ბაჭიები მოსაწოვებლად.

ძუძუმწოვარა ბაჭიების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია დავადგინოთ მათი რიცხვი. ამის გაკეთება შეიძლება დედა ბოცვერის ასაკისა და რძიანობის განსაზღვრით. საშუალო რძიანობის დროს მიზანშეწონილია დაეტოვოს 6—7 ბაჭია დედა ბოცვერთან, ხოლო მოზრდილთან საშუალო რძიანობის დროს — 7—8, მაღალი რძიანობისას — 8—10. თუ იმ პერიოდში მშობიარობს რამდენიმე დედა, მაშინ შეიძლება ბაჭიების გათანაბრება.

ბაჭიების დიდი რაოდენობის გამოზრდისათვის საჭიროა დედა ბოცვერის ჭგუფურად დაგრძობა, 5—6 სულის — ორი, სამი დღის განმავლობაში.

რამდენიმე კვირის შემდეგ სხვა ჭგუფს. არჩევენ და უშვებენ მამალთან დაგრილებაზე. ბოცვერების ჭგუფური დაბაჭიანება საშუალებას გვაძლევს მოკლე დროში გავზარდოთ როგორც მრავალნაყოფიერი, ისე მცირენაყოფიერი ბოცვერების ჭიშები და ამით მივაღწიოთ საშუალო პროდუქტიულობას.

თუ დედა დაყრისთანავე შეწყვილდა, მაშინ ბაჭიები გალიიდან 28 დღის ასაკში გადაგვყავს, ხოლო თუ დედის შეწყვილება მოხდა უფრო გვიან, ბაჭიებს გადასვამენ 30—40 დღის ასაკში.

კარგ შედეგს ვღებულობთ, თუ ბაჭიებს დედას დავაცილებთ 6-7 დღის ასაკში. ასეთი გადასმის დროს არ მცირდება მათი ინტენსიური ზრდა. საერთოდ მიღებულია დედასთან ბაჭიების დაცობა 45 დღის ასაკში, როდესაც მათ სრულად შეუძლიათ დედის გარეშე დამოუკიდებლად ყოფნა. სახორცედ გამოზრდის დროს ბაჭიებს გადასვამენ 60—75 დღის ასაკში. გადასმის შემდეგ ახარისხებენ ცოცხალი წონისა და სქესის მიხედვით.

ს ა ჯ ი შ ე მ უ შ ა ო ბ ა. არსებობს ბოცვრის გამრავლების ორა მეთოდი: ჭიშობრივი მოშენება და ჭიშებშორის შეჭვარება. საჯიშე მუშაობაში ძირითადია სუფთა ჭიშობრივი მოშენება.

ჭიშთაშორისი შეჭვარებით მიღებული შთამომავლობა ჩვეულებრივ სიცოცხლისუნარიანია, ერთია რომ მემკვიდრეობითი ღირებულებები ხშირად ეკარგებათ. არჩევენ წარმოებაში ოთხი სახის ჭიშთაშორის შეჭვარებას: ცვლადი, წარმოებითი, შთანთქმითი, შესაყვანი.

წარმოებითი შეჭვარებისას გამოიყენება მიზნობრივად მაღალპროდუქტიული პირველი შთამომავლობა, ასეთი ბოცვრები უმეტესად გამოირჩევიან მაღალი სიცოცხლის უნარიანობით, რაც გამოვლინდება ზრდის ტემპით, ნარჩენების შემცირებით, საკვების კარგი ათვისებით. ასეთი შეჭვარების ეფექტიანობა შესაჯვარებელ ჭიშებზეა დამოკიდებული.

შესაძლებელი წარმოებითი შეჭვარება:

მ ა მ ა ლ ი

თეთრი გოლიათი
ნაცრისფერი გოლიათი
შინშილა
შინშილა
კალიფორნიის
კალიფორნიის
კალიფორნიის
ახალზელანდიური
ახალზელანდიური
ახალზელანდიური
ახალზელანდიური
შავი-კვამლისფერი
შავი-კვამლისფერი

დ ე დ ა ლ ი

შინშილა
ვერცხლისფერი
ვენური ცისფერი
ახალზელანდიური
თეთრი გოლიათი
ვენური ცისფერი
შავი-კვამლისფერი
თეთრი გოლიათი
ვენური ცისფერი
შინშილა
შავი-კვამლისფერი
კალიფორნიული
ახალზელანდიური

დაუშვებელია თიფთის ბოცვის შეკვარება სხვა ჯიშის ბოცვართან.

დელიდან გადასმული ბაჭია უნდა გამოირჩეოდეს ტანის აგებულებით, სიმკვრივით, ბეწვის ტიპობრივი შეფერილობით და კარგი სინშირით. მოზარდების საჯიშედ საცდელი არჩევა ხდება მათი პირველი გადასმის დროს, რის დროსაც მხედველობაში მიიღება მშობლების პროდუქტიულობა.

სარემონტოდ მოზარდებს ტოვებენ პირველი ორი დაბაჭიანებიდან. კარგი მოვლის და კვების დროს სარემონტოდ იმდენად საკმარისია მოზარდების შერჩევა, რომ წარმოების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. უპირატესობა ეძლევა ბოცვრებს, რომლებიც წარმოიშობიან სუფთა ჯიშის, მაღალი კლასის მშობლებიდან და გამოირჩევიან მაღალი ცოცხალი წონადობით, ტანის კარგი აგებულებით.

ძირითად ფარაში სარემონტო მოზარდები უნდა გადავიყვანოთ პირველი დაბაჭიანების მონაცემების გათვალისწინებით. ამ პერიოდში ძირითადი ფარის გამოცვლისათვის ვარგისიანია არანაკლებ ნახევარი სარემონტო ბოცვერი.

გამოწუნება ესაჭიროება ყველა ავადმყოფ ცხოველს. შემდეგ აუცილებლად უნდა შევამოწმოთ მოზარდილი ბოცვის ასაკი და სამწელზე უფროსი გამოვიწუნოთ ძირითადი ფარიდან. თუმცა თუ სამწელის ასაკზე ზევით ბოცვერი ჯანმრთელად და მხედ გამოიყურება, აგრეთვე შემონახული აქვს მაღალი პროდუქტიულობა, ის შეიძლება დაეტოვოს. გამოწუნება სჭირდება ყველა ბოცვერს: ამორტირებულებს ან საკუთარი ნაყოფის მჭამელებს, იმათ, რომლებიც 15 დღის განმავლობაში ვერ განაყოფიერდნენ, აგრეთვე დედა ბოცვერიც, რომელიც 5 ბაჭიაზე ნაკლებს გამოზრდის ყოველი პირველი ორი დაყრიდან. გამოწუნებას საჭიროებს ის მამალი მწარმოებლებიც, რომლებიც ვერ გაანაყოფიერებენ 30 პროცენტამდე დედებს.

საბოლოო ამორჩევას სარემონტო მოზარდი ბოცვრებისას ბონიტირების შემდეგ ახდენენ.

ბონიტირების მიხედვით ახდენენ კლასებას დადგენას: ელიტა, I, II, III კლასი.

სანაშენე მუშაობის აუცილებელი ელემენტია შესაჯვარებლად წყვილების შერჩევა როგორც ერთ გვარში, ასევე სხვადასხვა გვარ შორის. ერთი გვარიდან მაშინ შეირჩევა, როდესაც ისურთ მიამაგ-

რონ შთამომავლობას სასურველი ტიპის ცხოველი და გააძლიერონ მასში მშობლების ღირებულებითი თვისებები.

არჩევენ ერთნაირი ტიპის დედა ბოცვრებს იმ სასურველი ნიშნებით, რომელიც სურთ გააუმჯობესონ.

ბეწვის წარმოებისათვის აუცილებელია ავარჩიოთ მამალ მწარმოებელი ხშირი, თანაბარი ბეწვის საფარვლით. აქვე გვარია დედალი კი, კიდევ უფრო ხშირი მალალებქვიანი, ისეთვე ფერიოთ. ერთ გვარიდან შერჩევისას შთამომავლობას მალალი ხარისხი გადაეცემა.

სხვადასხვა გვარიდან არჩევა ხდება მაშინ, როდესაც უნდა გავაუმჯობესოთ ბოცვრის სიცოცხლისუნარიანობა და პროდუქტიულობა. ასეთი შერჩევა პრაქტიკულია მაშინ, როდესაც ბოცვრის ძირითად ფერმაში არის რომელიმე ნიშნის მიმართ არასაკმარისი მაჩვენებელი. რომლის ლიკვიდაციაც გვინდა. ჩვეულებრივ სხვადასხვა გვარიდან მწარმოებელი მამლების შერჩევა, რომელთაც აქვთ განსაზღვრული ხარისხი, ურჩევენ სხვა ხარისხის დედეებს. საბოლოოდ ასეთი შეწყვილებით ვღებულობთ სიცოცხლისუნარიან და მალაბროდუქტიულ შთამომავლობას. ერთია, რომ მიღებულ შთამომავლობას აქვს, როგორც წესი. არამყარი მეკვიდრობა, რის გამოც ასეთი ბოცვრის უმრავლესობას იყენებენ როგორც სასაქონლო მონარდებს.

მალალი ხარისხის ბოცვრები, რომლებიც მიღებულია სხვადასხვა გვარის შეჯვარების გზით, შეიძლება დავიტოვოთ საჯიშედ.

თუკი აუცილებელია გამოვასწოროთ ესა თუ ის თვისება დედალ ან მამალ ბოცვერში, უნდა შევარჩიოთ საწინააღმდეგო სქესის ბოცვრები, რომლებსაც არა აქვთ ეს ნაკლი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევარჩიოთ ერთნაირი ნაკლისა და ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების მქონე ცხოველები.

ცხოველების შეჯვარებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ წყვილების მონაცემები. მწარმოებელ მამალს სხვადასხვა დედლებთან შეწყვილებისას შეუძლია მოგვეცეს სხვადასხვა ხარისხის შთამომავლობა.

ბოცვრის ბონიტორება. ბონიტორებას ექვემდებარებიან მოზარდი და ძირითად ფერმაში მყოფი ბოცვრები. სარემონტო ჯგუფიდან პირველ რიგში ბონიტორებენ გვარის, ცოცხალი წონის, ტანის აგებულების 3 თვის მოზარდები.

მეორე შემთხვევაში მოზარდი ბონიტორდება ნოემბერ-დეკემბერში, ბეწვის საფარვლის მომწიფების შემდეგ. მხედვლობაში მიიღება

ცხოველის წონა, ტანის აგებულება, ბეწვის სიხშირე, ბეწვის საფარვლის შეფერილობა და თივთიკის პროდუქტიულობა.

ბეწვის საფარვლის შეფერილობით, სუფთა ჯიშის ბოცვერი უნდა პასუხობდეს მოცემული ჯიშის მაჩვენებლებს. სუფთა ჯიშს მიეკუთვნება ასევე ნაჭვარი ბოცვრები მეოთხე თაობიდან, მიღებული შთანქმითი შეჯვარების გზით და კარგი ჯიშის ბოცვრის განვითარების უნარი.

ელიტის და პირველი ხარისხის ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ სუფთა ჯიშობრივი ბოცვერი.

ტანის აგებულება ფასდება ძვლების განვითარების, მკერდის სიღრმის, თავის ფორმის და ზომის, წელის ფორმისა და სწორხაზოვნების, კიდურების სიმაგრისა და დაყრდნობის მიხედვით. დათვალიერების დროს ყურადღებას აქცევენ ტანის აგებულების ნაკლსა და დეფექტს. ნაკლს მიეკუთვნება: სუსტად და ცუდად განვითარებული მკერდი, გაღუნული ზურგი, ვიწრო გავა, ძალიან წვრილი კიდურები, თავის არასწორი ფორმა, ზედმეტად გრძელი კისერი, ფართო ყურები, აგრეთვე ჩამოშვებული მუცელი.

ერთი წუნის ნიშნის მქონე ბოცვერსაც კი გამოიწუნებენ, ვინაიდან ის საჯიშედ არ გამოიყენება. ისეთი ბოცვრები, რომლებსაც ტანის აგებულებაში ერთი ან ორი დეფექტი აქვს შემჩნეული, მესამე კლასში გადააყავთ, ერთი დეფექტის შემთხვევაში — მეორე კლასში. ელიტის ჯგუფს და პირველ კლასს მიეკუთვნებიან ბოცვრები, რომლებსაც იდეალური ტანის აგებულება აქვთ ყოველგვარი წუნის გარეშე.

ბეწვის საფარვლის სიხშირე ბოცვრებში ბეწვის ხარისხით განისაზღვრება: ხერხემლის შუა ადგილზე ბეწვის ზრდის საწინააღმდეგო შებერვით, თანაბრობა კი როზეტით, შედარების გზით.

ელიტის ჯგუფს ბეწვზე შებერვისას კანი თითქმის არსად არ უჩანს. ასეთ ბოცვერს ბეწვის საფარველი ხშირი აქვს, ფხა მოქნილი და თივთიკი ხშირი. უკანა ფეხის შიდა ნაწილებშიც ბეწვი მოქნილია.

პირველი კლასის ბოცვრებში ბეწვის შებერვისას დასაშვებია კანის მცირეოდენი სიშიშვლის გამოჩენა. ბეწვის შეფერილობა თვალთ განისაზღვრება.

წლის დასაწყისში აუცილებლად უნდა შედგეს საწარმოო გრაფიკი, სადაც განისაზღვრება თითოეული დედა ბოცვრის შეწყვილების, დაბაკიანების, ბაკიების გადასმისა და მათი რეალიზაციის დრო.

დახურულ შენობაში ასეთი მეთოდით შეგვიძლია მივიღოთ რეგულარული დაბაჰიანება.

შეწყვილების წინა პერიოდში ხდება ყველა დედის დათვალეიერება. გამოიწუნება ავადმყოფები, ზრდასთან ჩამორჩენილები და ბრაზიანები. შეწყვილების გრაფიკის შედგენისას ერთ მამალს მიამაგრებენ არანათესაურ 7—8 დედა ბოცვერს. შეწყვილების წინა პერიოდში ცხოველი უნდა იყოს საშუალოდ ნაკვები.

ცხრილი 13

დაგრილების საჩვენებელი გრაფიკი

დაბაჰიანება	დაგრილება	დაბაჰიანება	გადასმა
პირველი	1/1	31/1	3/3
მეორე	20/3	2/4	2/5
მესამე	1/5	1/6	1/7
მეოთხე	1/7	1/8	1/9
მეხუთე	1/9	1/10	1/11
მეექვსე	1/11	1/12	31/12

დაგრილება 5—6 დღეზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს. ასეთი დაგრილების დროს საუკეთესო დაბაჰიანება ხდება. მოზარდები მეგობრულად იზრდებიან. შთამომავლობის დიდი რაოდენობის მიღებისას იყენებენ შემკვიდროვებულ მეთოდს, რომლის დროსაც ძუძუმწოვარა ბაჰიებს აურევენ ბუდის მომყოლთან.

ცხრილი 14



მოზარდების წონა გადასმის წინ

ჯიში	ასაკი (დღეებში)	ცოცხალი წონა (გ-ობით)
ნაცრისფერი გოლიათი	28—30	600—700
თეთრი გოლიათი	28—30	600—700
ვერცხლისფერი	28—30	450—550
ვენური ცისფერი	28—30	450—550
წინშილა	28—30	400—500
თივთიკის	28—30	400—500



მაღალი პროდუქტული ნაჯვარი ბოცვრების მიღება სხვადასხვა ნიშნის ბოცვრების შეჯვარებით გვაძლევს კარგ შპარდ პირველ თაობას, რომელიც კარგადვე ითვისებს საკვებს, განსაკუთრებულად იზრდება ხორცის რაოდენობა შეჯვარებულ ბოცვრებში, ტყავიც მაღალი ხარისხისაა.

ბოცვრის სადგომი

ბოცვრის სადგომი მოთავსებული უნდა იყოს მყუდრო ადგილზე. ოჯახურ მეურნეობებში ხელსაყრელია გაკეთდეს ორსართულიანი სადგომი, რომლის მთლიანი სიგრძე იქნება 1,5 მ. ერთ ნაწილში მო-



სურ. 6. ბოცვრის სადგომის სახეობები



თავსდება ბოცვრის სადგომი, მეორეში — საკმელ-სასეირნო ადგილი. სადგომი უმჯობესია შეიკრას სქელი ფიცრისაგან, იმის გათვალისწინებით თუ რა პირობებია ზამთარში, სადგომს დანარჩენ ფართობზე შემოეკვრება უქანგავი ბადე. ბადის ქვეშ აუცილებლად უნდა დავუფინოთ თხელი თუნუქის ფურცელი, რომელსაც ერთი ბოლო ექნება დახრილი და მომრგვალებული დასაწრეტად. ორივე სართულის დაქანებულ მხარეზე დაიდგმება ნაგვის გასატანი ვედრო, სადაც ორივე სართულიდან ჩაედინება კუჭყი, რაც გვაძლევს საშუალებას დავიცვათ სისუფთავე. პერიოდულად ამ თუნუქის ფურცლებს ჩამოვრეცხავთ და გავუკეთებთ დეზინფექციას. რაც შეეხება საზოგადო ფერმებს, იქ ნაგავი კონვეიერულად გაიტანება.

იქ, სადაც ზამთარი მკაცრი იცის, ბოცვრის სადგომები შეგვაქვს კარგად გამთბარ ფარდულში, სადაც საჭიროებისამებრ ლუმელის ანთებაც კი შეგვეძლება.

ბოცვერს უყვარს სუფთა ჰაერი, ის ბუნებას არ უნდა მოვწყვიტოთ. ამ შემთხვევაში პროდუქტიულობა მაღალია.

ბოცვრის გამოკვება

ბოცვრის კვების ნორმა და რაციონი. ბოცვრის მოთხოვნილება საკვებ ნივთიერებაზე განისაზღვრება საკვები ერთეულით. გადამამუშავებელი პროტეინი, ფოსფორი, კალცი, საკვები მარილი და კაროტინის მოთხოვნილებები ბოცვერს სხვადასხვა აქვს მისი წონისა და ასაკის მიხედვით. მაგალითად, სახორცე ბოცვრის ჯიშის გამოზრდისას, რომელიც ითხოვს მოზარდების სწრაფ გაზრდას დაკვლისათვის, განსაზღვრული დროის მანძილზე საკვებში ურევენ 16—17 გ-მდე პროტეინს ყოველ 100 გ საკვებ ერთეულზე. ასეთი კვების დროს მოზარდები შეიძლება დაიკლას სახორცედ უკვე სამთვის ასაკში.

ოჯახურ და გამსხვილებულ ფერმებში ძნელია ასეთი რაოდენობით პროტეინის მომარაგება. გარდა ამისა, ბოცვერს აშენებენ სახორცედ და ბეწვისათვის. ამიტომ ცხოველის დაკვლა გათვალისწინებულია

ბეწვის მომწიფების პერიოდისათვის. ბოცვრის ასეთი მოშენებისას პროტეინის შემცირება შეიძლება.

ბოცვრებს ბეწვისათვის ჩვეულებრივ საკვებ ნორმაში უმატებენ 35—50 პროცენტ კონცენტრირებულ საკვებს. 20-დან 40 პროცენტამდე თივას, 10—30 პროცენტამდე ძირხვენებს, ხოლო ზამთარში სილოსს ან ზაფხულში მწვანე მასას.

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, 4,5 კგ წონის ბოცვრის ეკუთვნის 100 კგ-მდე საკვები ერთეული, ხოლო წლიური მოთხოვნილება მოზარდებზე 120 დღემდე შეადგენს ზაფხულში 11,1 და ზამთარში 12,6 კგ საკვებ ერთეულს, 150 დღის ასაკამდე კი ზაფხულში 17,1 კგ და ზამთარში — 19,4 კგ საკვებ ერთეულს. წლის განმავლობაში ერთი დედა ბოცვრის მოთხოვნილებაა არანაკლებ 35—50 კგ კონცენტრირებული საკვები, ხოლო ერთ სულ მოზარდზე 4 თვემდე 5—6 კგ, 5 თვის ასაკამდე 8—10 კგ კონცენტრირებული საკვები (იხ. ცხრილი 14).

რაციონში შეტანილი ზოგიერთი საკვების მომატება რეკომენდებული არ არის. ბალახი, თივა, ზოგიერთი მცენარის მარცვლეული ნებისმიერი ასაკის ბოცვრს მიეცემა დიდი რაოდენობითაც, ვიდრე ეს ნორმითაა გათვალისწინებული.

ბოლო დროს ბოცვრის საკვებად გამოყენებულია სრულფასოვანი გრანულირებული საკვები, რომლის შემადგენლობაში შედის დაახლოებით 40 პროცენტი ბალახის ფქვილი, 15 პროცენტამდე მშრალი პროტეინი.

გრანულირებული საკვებით ბოცვრის კვება მისაღებია ფერმებში შრომითი ხარჯის შესამცირებლად. საოჯახო კვებაში გრანულირებული კვება არაეკონომიური და არაეფექტიანია. განსაკუთრებით არასასურველია მოზრდილი ბოცვრის მარტო გრანულით კვება, ვინაიდან ასეთი კვების დროს ისინი იწყებენ გასუქებას, უქვეითდებათ მწარმოებლობა.

მოზრდილ ბოცვრებს და სამ თვეზე მეტი ასაკის მოზარდებს საკვები უნდა მიეცეთ დღეში 2—3-ჯერ. გამოყოფილი დღე-ღამური საკვები უმჯობესია გავანაწილოთ დღე-ღამეზე ბოცვრის ბიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით. ერთ-ერთი მისი ასეთი განსაკუთრებული თვისებაა ღამის პერიოდში აქტიურობა. ამიტომ ბოცვრს უნდა

მივაწოდოთ ისეთი საკვები, რომელსაც დიდხანს შეეჭყვევა, ხოლო დილით ისეთი, რომელსაც სწრაფად ამუშავებს. კონცენტრირებული საკვები უნდა მივცეთ თანაბრად ჭამის დროს.

ზამთრის პერიოდში ორჯერადი კვებისას დილით შეიძლება მივცეთ დღიური კონცენტრირებული საკვების ნახევარი და მთლიანად ძირხვენები, სილოსი, ხოლო საღამოს კონცენტრირებული საკვების მეორე ნახევარი და თივა; ზაფხულში დილით კონცენტრირებული საკვების ნახევარი და დაახლოებით 40 პროცენტი ბალახი, ხოლო საღამოს კონცენტრირებული საკვების ნორმის მეორე ნახევარი და 60 პროცენტი ბალახი.

ზოგიერთი სახის საკვების ერთჯერადი მიცემისას, პირველ რიგში, უნდა მივცეთ კონცენტრირებული საკვები, შემდეგ წვნიანი, ზამთარში—თივა, ზაფხულში კი ბალახი. შეიძლება გამოვიყენოთ სხვა შესაბამისი საკვებიც. დილით არ შეიძლება დაირღვეს კვების რეჟიმი, ვინაიდან შეიძლება ამან გამოიწვიოს ცხოველის სიგამხდრე და დაავადება.

ქველა ახალი სახის საკვები რაციონში უცებ არ უნდა შევიტანოთ მთლიანი ნორმით, არამედ ცხოველს ცოტ-ცოტა უნდა მივცეთ, რომ შეეჩვიოთ. ეს პირობა უნდა დავიცვათ მაშინაც, როცა ზამთრის პერიოდზე გადავდივართ. ბალახში მცირე რაოდენობით ვამატებთ თივას, რომელსაც თანდათანობით ვზრდით და ბოლოს მთლიანად თივაზე გადაგვყავს. დიდი მნიშვნელობა აქვს საკვების დამზადებას. მაგალითად, წვნიანი მწვანე ბალახი, სანამ ბოცვერს მივცემთ საკვებად, თხლად უნდა გავფინოთ, შევაჭკნოთ. ბალახის გაუსინჯავად მიცემისას შეიძლება შეგვყვეს მომწამლავი ბალახი. სახიფათოა ბოცვერის კვება სველი გაცხელებული ბალახით. ტომარაში დიდხანს ჩადებული ან დაგროვილი ბალახი, რომელიც ჩახურდება, აუცილებლად უნდა ვაიშალოს, განიავდეს და ისე მიეცეს ბოცვერს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამოიწვევს კუჭ-ნაწლავის მკვეთრ შებერილობას, რაც ძლიერ შეაწუხებს ცხოველს. კარგი თივა, უმტვერო შეგვიძლია მივცეთ ბოცვერს ყოველგვარი მომზადების გარეშე. დაბალი ხარისხის თივა კი მიცემის წინ უნდა დაიკუწოს, ჩაიყაროს კასრში და თბილ წყალში დალბეს. რამდენიმე ხნის შემდეგ წყალს გადავწურავთ, დამბალ მასას ავურევთ კომბინირებულ საკვებში და ისე მივცემთ ბოცვერს.

ძირხვენები შეიძლება მივცეთ უმი. მხოლოდ კარგად უნდა გავასუფთაოთ მიწისაგან და წვრილად დავჭრათ. არ შეიძლება ბოცვერს მივაწოდოთ გაყინული ძირხვენები. მიცემის წინ ჯობია ისინი მოიხარშოს. შეიძლება მხოლოდ უმი გაყინული სტაფილოც, რასაკვირველია, როცა ის გალღვება. კარტოფილი უნდა მივცეთ მოხარშული სხვა კომბინირებულ საკვებთან, ხორბლის ღერდილთან ან კოპტონთან ერთად.

ძირხვენების ფოთლებსა და საკვებ კომბოსტოს მიცემის წინ უნდა შეერაოს მცირე რაოდენობით თივა ან მინდვრის ბალახი და ყლორტოვანი საკვები. კარხლის ფოთლით უმჯობესია ვკვებოთ მოზრდილი ბოცვრები. მისი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მიცემული მწვანე მასის ერთ მესამედს. ცხოველის კუჭ-ნაწლავის მოშლილობის შემთხვევაში მწვანე მასიდან ამოვიღებთ კარხლის ფოთოლს. სტაფილოს ფოთლით კი კურდღელი შეიძლება ვკვებოთ განსაზღვრული რაოდენობით, სხვა მწვანე მასასთან შერევის გარეშე.

არ შეიძლება ბოცვერს მივცეთ დაობებული სილოსი. სილოსი უმჯობესია ავუროთ კომბინირებულ საკვებში. გაზაფხულზე მას უნდა დავუმატოთ ცოტაოდენი თივა — 10—15 პროცენტი საერთო კვების რაციონიდან.

სიმინდის მარცვლი, ქერი, პარკოსანი კულტურები და კოპტონი მიეცემათ დაფქული და ცალკეც. მიცემის წინ მათ ასველებენ ან ხარშავენ. მუცლის შებერვა რომ არ გამოიწვიოს, პირველად პარკოსან კულტურებს აძლევენ მცირე მოცულობით მარცვალთან შერეულს, შემდეგ კი თანდათანობით ზრდიან მის მოცულობას. კოპტონს აძლევენ კარტოფილთან ან კომბინირებულ საკვებთან შერეულს.

ყველა სახის საკვები უნდა ჩაიწყოს საკვებურებში. არ შეიძლება მათი დაყრა დაბლა, იატაკზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საკვები უფასურდება და ჭუჭყიანდება, რომელიც შეიძლება გახდეს მიზეზი კუჭ-ნაწლავის დაავადებისა. იმისათვის რომ არ დავუშვათ საკვების გაფუჭება, კვების შემდეგ საკვებურებს გულდასმით ასუფთავებენ.

აუცილებელია საწყურებელში ბოცვერს მუდმივად ჰქონდეს ახალი წყალი, რომელიც უნდა შეეცვალოს დილა-საღამოს. ზაფხულის პერიოდში უკეთესია მივცეთ ცივი წყალი, ხოლო ზამთარში, პირიქით 30—35 გრადუსამდე გაცხელებული ან ოთახის ტემპერატურის.

ბოცვრის გამოზრდა სახორცედ. სახორცედ იწარმოება როგორც სახორცე, ასევე სახორცე-საბეწვე ჯიშის ბოცვერიც.

განსაკუთრებით გამოირჩევა სახორცე ჯიშის ბოცვერი კალიფორნიის, ახალზელანდიური თეთრი, რომლებიც გამოირჩევიან დიდი ცოცხალი წონითა და მაღალი მომწიფებით. ორი თვის ასაკში ცოცხალი წონა 2,5 კგ-ია, ხოლო 5 თვის ასაკში—4,5 კგ. კარგად განვითარებული მოზარდი ბოცვრის ცოცხალი წონა უნდა იყოს 4—5 კგ. ხორცის მიღების რაოდენობა დედა ბოცვიდან იცვლება და დამოკიდებულია დაბაჰიანების დროზე, ბაჰიების რაოდენობაზე.

დაბაჰიანების პირველი თაობა სასარგებლოა შეწყვეილებაზე გავუშვით 4,5 თვის ასაკში. დაბაჰიანების შემდეგ ამ თაობას გამოზრდიან ბაჰიებთან ერთად, შემდეგ კი ყიდიან. მოზარდებს ტოვებენ ამავე გალიაში დაახლოებით სამ თვემდე და რეალიზაციას უკეთებენ სახორცედ.

გამოყენებული დედა მოზარდი გვაძლევს საშუალებას სწრაფად გავზარდოთ მოზარდთა რიცხვი ძირითად ჯოგთან ერთად. დასაკლავი სახორცე ბოცვრის წონა არ უნდა იყოს 2, 4 კგ-ზე ნაკლები.

პირველი ხარისხის ბოცვერს კუნთები, განვითარებული აქვს. გვერდები კარგად შევსებული და მომრგვალებული. მუცლის არეში თავისუფლად ესინჯება კანქვეშა ცხიმის ფენა, რომელიც მუცლის სიგრძეზეა გაწოლილი.

მეორე ხარისხის ბოცვერს კუნთები დამაკმაყოფილებლად აქვს განვითარებული. თუმცა მუცლის არეში ცხიმოვანი ფენა შეიძლება არ ესინჯებოდეს.

დასაკლავად გამზადებულ ბოცვერს არ შეიძლება ჰქონდეს ჭუჭყიანი ბეწვის საფარი. ბეწვის ცვლის პროცესი არ უნდა მომდინარეობდეს ზურგსა და გვერდებზე, დედები კი არ უნდა იყვნენ მკეობის ბოლო პერიოდში.

ბოცვერი ბროილერი მიეკუთვნება პირველ კატეგორიას. მათი ნაკვებობა უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნილებებს: კუნთები მკვრივი, კარგად განვითარებული, მომრგვალებული, მუცლის არეში ასევე კარგად განვითარებული ცხიმოვანი ფენა.

ბოცვრის ხორცი გამოიყენება საცალო გაყიდვისათვის, შიგნეულის გარეშე, თირკმლების გამოკლებით. თავი უნდა იყოს ცალკე კისრის პირველ მაღასთან გადაჭრილი. წინა თათები მოხსნილი მაჯაში, ხოლო უკანა — მხტუნავ სახსარში. ბოცვრის ხორცს აცილებენ 25°-მდე, შემდეგ კი ყინავენ მინუს 8°-მდე. გასაყიდი ხორცი უნდა იყოს გაციებული ან გაყინული. ~~გაციებული ხორცის რაოდენობა~~

არ უნდა იყოს 1,1 კგ-ზე ნაკლები, ხოლო ბროილერის ხორცი—0,8—1,1 კგ-მდე.

ბოცვრის ხორცი დეფორმირებული, გატეხილი ძვლებით, დაქეჩილი ან სისხლჩაქცეული და ფერშეცვლილი გასაყიდად არ დაიშვება.

ბოცვრის გაციებულ ხორცს ინახავენ 0-დან 2° ტემპერატურაზე არა უმეტეს 5 დღისა დაამუშავების შემდეგ, ხოლო გაყინულს 12 ან 18°-მდე. პირველ შემთხვევაში შენახვა შეიძლება პოლიეთილენის პარკში 6 თვე, მეორეში—10 თვე. შეუფუთავი ხორცი—3-დან 6 თვემდე.

ბოცვრის გამოზრდა ტყავისათვის. მეურნეობაში ბოცვრის დაკვლის დროს მაღალხარისხიანი სრულყოფილი ტყავის მისაღებად შემდეგ პირობას უნდა მიექცეს ყურადღება: 1. აქვს თუ არა ბოცვრის კარგი ხარისხის ბეწვის საფარი; 2. ბოცვრის სწორი შენახვა და სწორი კვება დაკვლამდე; 3. ბაჭების მიღება და ბოცვრების დაკვლა მომგებიან დროს; 4. შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს ტყავის პირველად დაამუშავებას.

ტყავისათვის ბოცვრის დაკვლის დრო განსაზღვრავს ბეწვის ცვლის მდგომარეობას და ბეწვის საფარვლის სიხშირეს. ბეწვის ცვენისას არ შეიძლება მაღალი ხარისხის ტყავის მიღება, რამდენადაც ბეწვის საფარველი ასეთ ცხოველებს თხელი და არათანაბარი სიგრძისა აქვთ. ამის გარდა, ძველი ბეწვი ასეთ ტყავს სწრაფად ცვივა, ხოლო ახალი ბეწვის ბოლქვები ტყავის სიღრმეში ზის და ნედლეულის გადაამუშავებისას ქვედა მხრიდან იჭრება, რის გამოც ტყავზე მოშიშვლებული ადგილები წარმოიქმნება.

მოზრდილ ბოცვრს ბეწვის ცვენა დაახლოებით მარტში ეწყება. ამ დროს ბეწვი თხელდება და უღიმღამო ხდება. ასეთი ბეწვის საფარი მოზრდილ ცხოველს ენახება მთელი ზაფხულის პერიოდში. სექტემბერსა და ოქტომბერში ბეწვის საფარი მოზრდილებში იწყებს ცვლას, ცვენას. ძველი ბეწვი სწრაფად სცილდება და მის ადგილზე იზრდება უფრო მეტად ხშირი და მოქნილი, დრეკადი თმის საფარველი, რომელიც სრულყოფილად ნოემბრის პირველ რიცხვებში ფორმირდება.

ბოცვრის ბეწვის საფარველი რთულად იცვლება, რაც დაკავშირებულია არა მარტო წლის დროზე, არამედ ბოცვრის ასაკთანაც. ბეწვის საფარვლის პირველი ცვლა მოზარდ ბოცვრებში დაახლოებით ერთი თვის ასაკიდან იწყება, ჩვეულებრივ მკერდის ქვევიდან. შემ-

დევ კი გადადის ზურგისაკენ. ზურგიდან ბეწვის ცვენა გადადის გვერდებზე. გვერდებიდან ბარძაყებზე. 50-დღიან ასაკში ბეწვის ცვლა ვრცელდება მთლიან ტანზე, ზოგჯერ თავის არისა და წვივის გამოკლებით.

ბეწვის ცვლის ვადები ცვალებადია. ამ ბოცვრის დაკვლა ტყავია წარმოებისათვის უნდა აღირიცხოს ბეწვის ცვლის მიხედვით. 10—15 დღის მანძილზე, მასობრივ დაკვლამდე რეგულარულად უნდა ხდებოდეს ბეწვის ცვლაზე დაკვირვება; რათა თავის დროზე დადგინდეს ბეწვის ცვლის დრო, უფრო მეტად აუცილებელ უბნებზე — ზურგსა და გვერდებზე. უნდა ვიცოდეთ, რომ თუ ბეწვის ცვლა დამთავრდა ზურგზე და იწყება გვერდებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე დღეში ცვლა დამთავრდება. ამის შემდეგ ბოცვერი შეიძლება დაიკლას. ბეწვის ცვლა ახალი დაწყებულია მაშინ, თუ ბეწვი გვერდებზე არ ცვივა და ახალი ბეწვიც იწყებს ამოსვლას. ასეთი ბოცვრის დაკვლა ერთ თვეზე ადრე არ შეიძლება.

მოზარდების გამოზრდა ბეწვისათვის უნდა იყოს კონტროლზე აყვანილი და შედგეს სპეციალური კალენდარი (იხ. ცხრილი 15).

ც ხ რ ი ლ ი 15

ბოცვრის მიღებისა და დაკვლის კალენდარი

შეწყვილების დრო	ბაჭიების დაყროს დრო	მოზარდების გად.სმის დრო	გაყიდვა
20—25	20—25.2	28.3—2.4	საუკეთესო ბოცვრები დაიტოვეთ სარემონტოდ, დანარჩენი გადაეცით ცოცხლად. 4—5 თვის დაიკლას ხორცისა და ტყავისათვის
1—5.4	1—5.5	8—13.5	ტყავისათვის დაკვლა შეჩვევით, 1—5 ნოემბრამდე
10—15.6	10—15.7	18—23.8	
20—25.8	20—25.9	5—10.11	შემდეგი წლის თებერვლიდან

ბოცვრის გამოზრდა თივთიკისათვის. იმ ფერ-
მასა ან კერძო მეურნეობაში, რომელიც მისდევს თივთიკის შეგრო-
ვებას, მოზრდილი ბოცვრების 70 პროცენტი განკუთვნილია მხოლოდ
თივთიკის საწარმოებლად. მწარმოებელი სარემონტო მოზარდები კი
30 პროცენტია. მათგან ჩვეულებრივ მიიღება 2-ჯერ დაბაჭიანება. მი-
ღებული ბაჭიის ნაწილს იტოვებენ სარემონტოდ, დანარჩენს კი 2-
ჯერ აცლიან თივთიკს და კლავენ ტყავისათვის — ბეწვის ხელახალი
წამოზრდისთანავე. ცხოველის დაკვლა თივთიკის მოხსნისთანავე ზა-
რალიანია. თივთიკის მომცემა შეიძლება იყოს როგორც დედა, ასევე
დაკოდილი მამალი ბოცვერიც.

თივთიკის ჯიშის ბოცვრის მოშენების შერჩევისას აუცილებელია
მას ჰქონდეს კარგად განვითარებული ბეწვი ზურგზე, მუცელზე,
გვერდებზე, თავსა და კიდურებზე. თივთიკის ბეწვის სიგრძე არ უნდა
იყოს 6 სმ-ზე ნაკლები. ბეწვის საფარველს უნდა ჰქონდეს საშუალო
და მცირედი სიმაგრე, ფხიანობა.

თივთიკის მოზრდილი ბოცვერი უკეთესია ვამყოფოთ ცალ-ცალკე
გალიაში, ხოლო მოზარდები — ჯგუფებად. 3—4 სული მოზრდილი
ბოცვრის გალიაში ან 10—15 სული უფრო ფართო ფართობებზე.
ჯგუფში უნდა შეირჩეს ერთი ასაკის ბაჭიები, ერთი სქესისა და ერთ-
ნაირი გეარისანი. თუ ჯგუფში აღმოჩნდება მოჩხუბარი ბაჭია, მას
იზოლირება უნდა გაუუკეთოთ.

შემოდგომასა და ზამთარში გალიები უნდა დავდგათ ჩალის სა-
ფენზე. წვრილი ჩალა, ნახერხი, ტორფი, თივა არ შეიძლება გამო-
ყენებულ იქნეს ქვეშსაგებად, ვინაიდან ის ძლიერ სვრის თივთიკს და
ფუჭდება. წლის დანარჩენ პერიოდში ქვეშსაგებს უფენენ მხოლოდ
დაბაჭიანების დროს ბუდის მოსაწყობად 5—7 ღლით ადრე.

მოზრდილი თივთიკის ბოცვრებს კვებავენ იმავე საკვების რაცი-
ონით და ნორმით, რითაც საბეწვე ჯიშის ბოცვერს. მხოლოდ რაოდენ-
ობას 11—15 პროცენტით ზრდიან. საკვების მომატება განპირობე-
ბულია თივთიკის ჯიშის ბოცვრის მაღალი საკვებგადამუშავებით. უნ-
და აღინიშნოს საკვებში პროტეინის მაღალი რაოდენობაც, კომბინი-
რებული საკვების რაციონის შემადგენლობაში და მცენარეულ მარ-
ცვლეულში სასარგებლოა ჩაერთოთ პარკოსანი კულტურებიც კომპ-
ტონი, ხორც-ძეღის ფქვილი და სხვ.

პროდუქტიულობის ასამაღლებლად თივთიკის შეგროვების დროს
კარგია მივცეთ კობალტის ქლორი 1—1.5 მგ, თითოეულ ბოცვერს
კვირაში ერთხელ. ჭამის წინ მას გახსნიან წყალში და კარგად ურევენ

კომბინირებულ საკვებში ან მოხარშულ კარტოფილთან. თივთიკის პროდუქტიულობაზე დადებით გავლენას ახდენს აგრეთვე აზოტის-ებური კობალტი. მისი მიცემა საჭიროა ყოველდღე 0,1 მგ ერთ სულზე დღე-ღამეში. ასეთი პრეპარატის მოსამზადებლად საჭიროა 100 მგ აზოტოვანი კობალტი გავხსნათ ლიტრ წყალში. მიღებული ხსნარის 1 მგ შეგვიძლია ცხოველს მივცეთ წყალში ან საკმელში.

თივთიკის შეგროვება და დახარისხება. თივთიკის შეგროვების სამი წესი არსებობს: ჩამოვარცხნა, გამოწიწკნა და გაპარსვა. ძირითადად თივთიკს აგროვებენ გამოწიწკნითა და გაპარსვით. უფრო მეტად გავრცელებულია გამოწიწკნის მეთოდი. პირველად მოზარდებისაგან თივთიკს იღებენ გაპარსვით. ეს იმით აიხსნება, რომ მათი ტყავის საფარველი ძალიან სუსტია და გამოწიწკნისას ადვილად ფუჭდება.

ჩამოვარცხნა უმჯობესია ლითონის მეჩხერიანი კბილის საფარცხლით. პლასტმასის საფარცხლის გამოყენება არ შეიძლება, ვინაიდან ის ბეწვს აელექტრონებს და იკრავს.

ზამთრის პერიოდში ბოცვერს შენობაში შენახვისას თივთიკს ხშირად ჩამოვარცხნიან. არ უნდა დავეუშვათ ცხოველის გატიტვლება. წლის თბილ დროს, განსაკუთრებით, ბეწვის ცვლის პერიოდში, ბეწვს მთლიანად გამოწიწკნიან, კანზე ტოვებენ მხოლოდ ახლად წამოზრდილს. არ შეიძლება თივთიკის გამოწიწკნა მაკე ბოცვრისათვის, რამდენადაც ეს უარყოფითად მოქმედებს ჩანასახის განვითარებაზე. არ არის მიზანშეწონილი თივთიკის შეგროვება მაწოვარი დედა ბოცვრიდან. უმჯობესია შეწყვილებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვაცილოთ თივთიკი და აღარ შევაწუხოთ დაბაჰიანებამდე.

თივთიკის შეგროვების დრო და გრაფიკი დგინდება ბეწვის სიგრძესა და მომწიფების მიხედვით, როცა ის თავისუფლად სცილდება ტყავს. რეკომენდებული არ არის 6 სმ ნაკლები სიგრძის თივთიკის მოცილება. ამავე დროს არ შეიძლება თივთიკის მოხსნის დაგვიანებაც, მისმა სიგრძემ 8 სმ-ს არ უნდა გადააჭარბოს. ასეთი თივთიკი იწყებს ცვენას. მოზრდილი ბოცვრიდან თივთიკი თვეში ერთხელ გროვდება. გამოიწიწკნება მხოლოდ ის ადგილები, სადაც უკვე დამთავრდა ბეწვის მომწიფება და ზრდა. თივთიკის შეგროვების ასეთი პერიოდულობა გარკვეულ ციკლს აწესებს: მოზრდილი ბოცვრისათვის 4—6-ჯერ წელიწადში, როგორც ამას ბევრი მოყვარული აკეთებს. თივთიკის შეგროვებას ეს წესი მომგებანია იმით, რომ ვაგ-

როვებთ მხოლოდ გრძელ მომწიფებულ ბეწვს, რომელსაც მაღალი ხარისხი აქვს. ამ დროს ცხოველი მთლად არ შიშვლდება, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში და დანაკარგიც ცოტაა. ბოცვერი არ ცივდება.

თივთიკის შეგროვებას იწყებენ ორი თვის ასაკიდან, მეორეჯერ — 4—5 თვის, მესამეჯერ — 6—7 თვის ასაკში. შემდეგ კი იმ მეთოდით როგორც მოზრდილებში.

თივთიკი იყოფა ოთხ ხარისხად: ექსტრა, პირველი, მეორე და მესამე. ექსტრა თივთიკი უნდა იყოს სუფთა, თეთრი 60 მმ-ის და მეტა სიგრძისა. დაუშვებელია სხვა შენარევი და შეფერილობა. პირველი ხარისხის თივთიკი სუფთაა, თეთრი სხვა შეფერილობის გარეშე 45-დან 59 მმ-მდე სიგრძის. მეორე ხარისხი კი სუფთა, თეთრი სხვა ფერის შენარევის გარეშე 30-დან 44 მმ-მდე სიგრძისა. მესამე ხარისხს მიეკუთვნება თეთრი ფერის თივთიკი 11 მმ-დან 29 მმ-მდე სიგრძისა. დასაშვებია 3 პროცენტამდე მოთელვა და 5 პროცენტამდე გაჭუჭყიანება მთლიანი წონიდან.

თივთიკი ხარისხის მიხედვით არის ნორმალური და დეფექტიანი. დეფექტიანს მიეკუთვნება ექსტრის, პირველისა და მეორე ხარისხის საერთო წონიდან 3 პროცენტის მოთელვა და 5 პროცენტამდე გაჭუჭყიანება დაშვებული.

დეფექტს მიეკუთვნება აგრეთვე მესამე ხარისხის თივთიკი, სადაც გაჭუჭყიანებულია 5—10 პროცენტი საერთო წონიდან, აქვს მკვეთრად გამოხატული ყვითელი შეფერილობა. 10-დან 30 პროცენტამდე გაჭუჭყონებული ნებისმიერი ხარისხის თივთიკი მიეკუთვნება წუნს. აგრეთვე 11 მმ-ზე ნაკლები სიგრძის თივთიკი, როცა ასეთი თივთიკი 10-დან 30 პროცენტს აღწევს მთლიანი მასიდან, ასევე ჩრჩილისა და მღრღნელისაგან გაფუჭებული თივთიკი.

ბოცვრის თივთიკის შენახვა მიზანშეწონილია მჭიდროდ დახურულ ყუთში, რომელსაც ხვრელი არა აქვს და მოთავსებულია მშრალ ადგილზე. ყუთის ზომა შეიძლება იყოს სხვადასხვა, რაც შეგროვილი თივთიკის რაოდენობაზეა დამოკიდებული.

თივთიკის დიდი რაოდენობის შემთხვევაში აკეთებენ 60—80 სმ სიგანისა და 40—50 სმ-ის სიმაღლის ყუთს. ასეთი მოცულობის ყუთში შეიძლება შევინახოთ ერთნაირი ხარისხის 2 კგ თივთიკი. ყუთის ძირი ხისგან უნდა გაკეთდეს, გვერდები კი ფანერისაგან.

ყუთის ფსკერი ყოველ 10—15 სმ-ზე ჰადრაციის ფორმით უნდა დაიხვრიტოს 1 სმ-ის დიამეტრით და ამ ბუდეში ჩაიდგას ხის მრგვალი ჰავლი მთელი ყუთის სიგრძეზე ან 25—30 სმ-ზე. ჰავლები ინახავს თივთიკს ცვენისა და მოთელვისაგან. ყუთები უნდა დაიწყოს თავისუფლად. ძირზე დაეგოს პერგამენტის ქაღალდი.

თივთიკის ოჯახურ პირობებში დამუშავება ბოცვრის თივთიკის დამუშავება შემდეგ ძირითად პროცესებს მოიცავს: მომზადება დართვისათვის, დართვა, მოქსოვა და შეღებვა.

თივთიკის მომზადება დასაბრუნებლად გულისხმობს მის გასუფთავებას და ხელის საჩიჩელზე გულდასმით დაჩიჩვას.

ოჯახურ პირობებში ბოცვრის თივთიკს ართავენ ჩვეულებრივ თითისტარზე, ართავენ მას ფონეთ, ვიდრე ცხვრის ან თხის მატყლს. სუფთა სახით თივთიკს იშვიათად ართავენ, ვინაიდან მისი ნაწარმი ნაკლებად მდგრადია, ამიტომ, როგორც წესი, ბოცვრის თივთიკს ართავენ ბამბის ან შალის ძაფზე. საკერავი ძაფის გამოყენება არ შეიძლება, ვინაიდან თივთიკი ცუდად მაგრდება.

ქსოვა შეიძლება რამდენიმე წვერით. თხელი ნაქსოვისათვის ერთიდან სამ წვერამდე, ხოლო სქელი ნაქსოვისათვის — 5—7 წვერი. ბამბის ძაფის გამოყენებისას ნართში 50 პროცენტი თივთიკი მიღის, ხოლო ცხვრის ძაფისას — დაახლოებით 30 პროცენტი მოქსოვილ მთელ მასაში.

საოჯახო პირობებში ბავშვის ქუდის ან შარფის მოქსოვისას საჭიროა 40—80 გ ძაფი. ხელთათმანების ან წინდებისათვის — 70—80 გ. ორენბურგის ტიპის შალისათვის დაახლოებით 200 გ. ჩვეულებრივი ნაქსოვი ჯემპრის ან ქალის ჟაკეტისათვის — 250—300 გ.

ნაწარმის მოსაქსოვად გამოიყენება ტრიკოტაჟის საქსოვი მანქანა, ოჯახურ პირობებში კი № 2 და № 2,5 ჩხირები.

თივთიკისაგან მოქსოვილი ნაწარმი იღებება. ბამბის ძაფის შეღებვის დროს შეიძლება გამოვიყენოთ აკრიქინი, როდოლინი, მეთილის ლილა. საღებავს გახსნიან ცხელ წყალში, შემდეგ მომიწინააღმდეგებულ თასში ჩაახამენ ცხელ წყალს, რომელშიც ჩაურევინ გახსნილ საღებავს. კონცენტრირებულ ხსნარში ჯერ შეღებავენ თივთიკის ნაწილს სასურველ ფერამდე: ნაქსოვს ან ნართს მოღულება არ სჭირდება.

ბოცვრის თივთიკისა და ცხვრის მატყლის ნართის ან ნაქსოვის შე-

ღებვისას შეიძლება გამოვიყენოთ სიმკაფიანი საღებავი „ბალტიკა“, რომლის ეტიკეტზედაც ნაჩვენებია ხმარების წესი. აგრეთვე სხვა საღებავებიც, რომელიც გამოიყენება მატყლის შესაღებად. ჩვეულებრივ ბოცერის თევთიკს ღებავენ რბილ ფერებში, მკრთალი-ვარდისფერი, მკრთალი-ცისფერი, ღია-ყვითელი, ღომონისფერი, სალათისფერი და სხვ.

დაკვლისა და გატყავების წესი. არცერთი შინაური ცხოველი არ გვაძლევს ისეთი მდიდარი ასორტიმენტის ლამაზ და იაფ ტყავს, როგორც ბოცვერი.

სელექციური მუშაობის მეთოდით მიღებულია სხვადასხვა ბუნებრივი შეფერილობა: თეთრი, შავი, ვერცხლისფერი, ყავისფერი, ცისფერი და სხვ. გამოიყენება ნატურალური ტყავი. ტყავსაგან აშნადებენ ლამაზ ქუდეებს, ქურქებს, იყენებენ გასაფორმებლად.

დიდი გამოყენება აქვს სასაკლავოს პროდუქტსაც. კუჭისაგან ამუშავებენ დვრიტას — კვეთს, ყურებისა და თათებისაგან — მაღალი ხარისხის წებოს. სისხლს იყენებენ სისხლის ფქვილის დასამზადებლად, რომელიც ცხოველებს ცილის დამატებით მიეცემათ.

ცხოველს კლავენ ყურებთან ჯოხის დარტყმით. ჩამოკიდებენ უკანა ფეხით, ამოაცლიან თვალის ბუდეებს. ორგანიზმი სისხლისგან კარგად რომ დაიცალოს, ტყავს წრიული შემოხაზვით გაჭრიან მხტუნავ სახსარში, შემდეგ უკანა ფეხის შიდა მხრიდან სწორი ნაწლავის ხერელისაკენ. კუდიდან ამოაცლიან ხერხემალს, ტყავს მოხსნიან უკანა ფეხებს და დაბლა დაქაჩავენ. ტყავიდან მოაცლიან ცხიმსა და აპკს. წინა თათებს მოაჭრიან მაჯის სახსარში, მოაჭრიან ყურის ნიჟარებს და მათ ძირებს, ასევე ტყავს თვალისა და პირის გარშემო, შემდეგ კი საბოლოოდ აძრობენ ტყავს.

ამოიღებენ შიგნელს (საშარდე ბუშტს, კუჭს, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტთან ერთად, ფილტვებს, გულს, ელენთას, თირკმელებსა და ა. შ.). თავს აჭრიან ყელის პირველ მალასთან, წინა ფეხებს — მაჯის სახსარში, უკანა თათებს კი მხტუნავ სახსარში. აღნიშნულს გარეცხავენ ცივი წყლით, გააჩერებენ 5—6 საათს ცივ ადგილზე, შემდეგ კულინარულად დაამუშავებენ ან გაყინავენ მაცივარში, პოლიეთილენის პარკში შეხვეულს.

ბოცვრის ტყავი სუფთად უნდა ჩამოხსნათ. ის უნდა იყოს უნახვრეტებო და გაუჭრელი. ერთმანეთზე დაწყობილი ტყავის შესწორება შრომატევადია, ამიტომ შემოღებულია ტყავის შესწორების მეთოდი — ტყავის შესწორება გამჭიმავის საშუალებით.

ტყავის ჩამოხსნისას არ უნდა გავაყოლოთ ცხიმი. საბოლოოდ ცხიმის მოცილება ტყავიდან მისი ჩამოხსნისთანავე ხდება. ამიტომ ტყავი უნდა გადავებრუნოთ და ბეწვი შიგნით მოვაქციოთ, ეს უნდა მოხდეს სტანდარტული გამწევიტ ან კონუსისებრ ხის კუნძზე. გამწევის წვერს დავიჭერთ მაგიდისაკენ, ხოლო მეორე ფართო მხარეს მკერდისაკენ, მარცხენა ხელიტ დავიკავებტ ტყავის ბოლოს, მარჯვენა ხელიტ კი დანიტ ვაცლიტ ცხიმს — კულიდან თავის მიმართულებით. დანის მჭრელი პირი უნდა დავაყენოტ პირდაპირი კუთხიტ ზემოდან ტყავზე. ცხიმის მოცლა შეგვიძლია ლითონის კოვზიტაც. ამ შემთხვევაში ტყავს იფენენ მუხლებზე და კოვზის საშუალებიტ კულიდან თავის მიმართულებიტ აძრობენ და წურავენ ცხიმს. ცხიმის მოცლა თავიდან კუდის მიმართულებიტ არ შეიძლება, ვინაიდან ამ შემთხვევაში შეიძლება გაიჭრას ბეწვის ძირები და გაფუჭდეს ტყავი. მყესები ტყავზე, განსაკუთრებიტ თავზე, რომელიც დანიტ ყოველთვის ვერ ამოგვყავს, შეიძლება მოვჭრათ მოღუნული დანიტაც.

ცხიმის მოცილების შემდეგ საჭიროა ტყავის გასუფთავება ნახერხიტ, რომელიც დამზადებულია უჭიო ჯიშის ხისაგან, ხოლო მისი უქონლობის დროს ბენზინსა ან სკიპიდარში ოდნავ დასველებული რაიმე ნაჭრიტ. თუ მუშაობის დროს ტყავი გაგვეჭრა, ის მაშინვე უნდა გაიკეროს სწორი ნაკერიტ მსხვილი ძაფიტ.

ბეწვის გაცხიმივნება რომ არ დავუშვატ, რამდენიმე ტყავის დამუშავების შემდეგ უნდა გაიწმინდოს გამწევი. ტყავის გასაწევად იყენებენ სხვადასხვა ზომის გამწევებს: მოძრავს, ასაწყობს, გამწევე ფიცარს და სხვ. ყველაზე უკეთესი მოძრავია, დამაგრებული თასმიტ ზედა ბოლოზე. გამწევი ორი ზომისაა: მსხვილი და მცირე ტყავისათვის. კარგი ტყავის მისაღებად მნიშვნელობა აქვს გამწევის ზომას. ტყავის გაჭიმვა უნდა მოხდეს დიდი სიფრტხილიტ, ისე რომ გაჭიმულ ტყავში თმის გაწყობის სიხშირე არ დაირღვეს და თავისუფალი, უბეწვო ადგილები არ წარმოიშვას. ამ შემთხვევაში ტყავი კარგავს ხარისხს. თმის საფარვლის სიხშირის შესანარჩუნებლად მცირე

მოცულობის ტყავეები უნდა გაიჭიმოს საშუალოდ 10—14 სმ-ის საჭიმზე, მსხვილი — 16 — 17 სმ-ის და განსაკუთრებით დიდი — 18—22 სმ-ის საჭიმზე. საჭიმზე ტყავს კარგად აშრობენ განიავებულ შენობაში, სადაც ტემპერატურა 25 გრადუსია და ჰაერის ტენიანობა—30—60 პროცენტი. ტყავის გაშრობა არ შეიძლება ღია ჰაერზე, ზაფხულში — მზის სხივის ქვეშ. ასევე საჭიმი არ უნდა იყოს გახურებულ ღუმელთან ახლოს, არც ყინვაზე შეიძლება ტყავის გაშრობა. სწრაფი და თანაბარი გაშრობისათვის გამწევენს ჰკიდებენ ძელზე, რომლებიც ერთმანეთის მიმართ 10—50 სმ-ის მანძილზეა განლაგებული, იატაკიდან კი 150—160 სმ-ის დაცილებით. ამ ძელზე ყოველ 20—30 სმ-ზე არკობენ ლურსმანს, რომელზედაც ტყავს ჩამოკიდებენ.

ტყავი ორი დღე-ღამის განმავლობაში შრება. გამომშრალია, როცა მისი ყველა ნაწილი მშრალია. განსაკუთრებით, ყურადღება უნდა მიაქციეს მის წინა ნაწილს გულმკერდისა და თავის არეში, სადაც სიმშრალის ნაკლებობით წარმოიქმნება ობი. არ შეიძლება ტყავის ზედმეტად გამომშრობა. გამშრალი ტყავი უნდა გაიწმინდოს ნახერხით ან ნაჭრით. თუ აღმოჩნდება ცხიმის ბუშტულები, ფრთხილად უნდა მოვაცილოთ ისე, რომ არ დაილაქოს მშრალი ნაწილები.

გამშრალ გამზადებულ ტყავს ეაბრუნებთ ბეწვის მხარეზე და მაშინვე ვაბარებთ დამამზადებელ ორგანიზაციას. შენახვის დროს ივა შეიძლება გაფუჭდეს, უჩნდება ჩრჩილი, ჭამენ მღრღნელები და ჩაუბარებლობის შემთხვევაში მას ვინახავთ სუფთა, ცივ შენობაში მჭიდროდ დასტრულ ყუთში. ზოგიერთი ნებოცვრე ტყავეებს კარგად ინახავს განიავებულ სპეციალურ შენობაში. მათ ჩამოკიდებს კანაფზე, რომელიც თვალის უპეშია გაყრილი.

ბოცვის ტყავის შენახვა

ბოცვის ტყავის შელევამდე აუცილებელია განვსაზღვროთ მისი შელევვის შედეგიანობა, რადგან მრავალი ბოცვის ტყავი ნატურალური შეფერილობით უფრო ლამაზია, ვიდრე შელევილი და ამავდროს შელევვის ოპერაცია საკმაოდ რთული და შრომატევადია. მაგალითად, არა აქვს აზრი შეიღებოს ვენური ცუსფერი, მარდერი, ვერცხლისფერი, შავი-კვამლისფერი, შავი-ნახშირის და სხვ. გარდა ამისა, ოჯახურ პირობებში ძნელია მივიღოთ უხეში და თიეთიკის ბეწვის თანაბარი საფარი სხვადასხვა შეფერილობით, ამიტომ

ოჯახურ პარობებში შესაღებად გამოიყენება მხოლოდ სუფთა თეთრი ფერის ბეწვით დაფარული ტყავი.

ტყავს ძირითადად ლებავენ შავად ან ყავისფრად. შავ ფერად შეღებვის დროს დასაწყისში ამზადებენ ხსნარს: წყალს უმატებენ გოგირდის მჟავას და საკმელ მარილს. შესაბამისად 3—5, 1 და 10—20 გ ერთ ლიტრ წყალზე. დამზადებულ ხსნარში ეს რაოდენობები ათჯერ არის აღებული. ხსნარს გააცხელებენ 25—28 გრადუსზე და მასში ტყავენ ჩააწყობენ 3—4 საათს, და ხშირად ურევენ. შემდეგ ტყავენ ილებენ, გაწურავენ და ჩააწყობენ ხსნარში: ჰიპოსულფატ— 10 გ, საკმელი მარილი— 10—20 გ, ლიტრი წყალი. აღნიშნულ ნივთიერებებს გააღებენ 10-ჯერ და მიღებულ ხსნარში ჩააწყობენ ტყავენ 8—10 საათის განმავლობაში, ხშირად ურევენ, ამის შემდეგ ტყავენ ოთახის ტემპერატურიან სუფთა წყალში რეცხავენ 15—20 წუთის განმავლობაში, გაწურავენ და მაშინვე უშვებენ შესაღებ აუზში (პარაფენდიამილინი 3—5 გ/ლ, პიროკატეხინი 2 გ/ლ, ამიაკი— 25-პროცენტული 1 მგ/ლ წყალზე, სარეცხის ფხვნილი 1 გ/ლ წყალზე. ამ ხსნარში ტყავს აჩერებენ ნახევარ საათს, შემდეგ უმატებენ 30-პროცენტული წყალბადის ზეჟანგს 6 მგ/ლ წყალზე. აუზში ტყავს აჩერებენ 3—6 საათს და ხშირად ურევენ. ხსნარის ტემპერატურა 25—36 გრადუსია.

ბეწვის ყავისფრად შეღებვისას ქრომისა და გოგირდის კონცენტრაციას ამცირებენ 2-ჯერ, ხოლო ღია ყავისფრის მიღებისას გოგირდმჟავას არ უმატებენ.

შეღებვის ხარისხის გასაუმჯობესებლად ასევე იყენებენ ჰიპოდროქინონს, პიროგალოლს, პარამინოფენოლს, ამიდოლს, მენტოლს, ფენილონს, ასევე თმის საღებავს: გამას, ინას ან ბასმას — თანდართული ინსტრუქციის თანახმად.

შეღებვის შემდეგ ტყავს 1 საათით ჩააწყობენ სარეცხის ფხვნილიან წყალში (1—1,5 გ/ლ) და განუწყვეტლივ აბრუნებენ. შემდეგ ტყავს რეცხავენ სუფთა წყალში, სანამ ბეწვს ზედმეტი საღებავი არ გასცილდება. ზოგიერთი შენაერთი, მაგალითად, პარაფენდიამილინი ადამიანისათვის მავნებელია, მაგრამ ასეთი რეცხვა 30 წუთს მაინც უნდა გაგრძელდეს.

გარეცხილ ტყავენს შენახვისათვის ამუშავენ ცხიმოვანი ემულსიით — სატრიალებელი ზეთით, სარეცხის ფხვნილით (1—1 გრამი ერთ ლიტრ წყალზე). 1 კგ ტყავზე ამზადებენ 10 ლ ხსნარს. ენერგიულად აურევენ, ემულსიას გააცხელებენ 80°-ზე, შემდეგ გააცივებენ 40°-მდე და ჩაუშვებენ ტყავენს. ერთი საათის შემდეგ

დამატებენ 40—50 გ საკმელ მარილს ერთ ლიტრ ემულსიაზე და აჩერებენ 1,5 საათს, ურევენ ხშირად.

ასეთი დამუშავების შემდეგ ტყავს აშრობენ, გამოქნიან და ბეწვს დავარცხნიან.

ბჟავის გამოყვანა

ბოცერის ტყავის საბოლოო დამუშავება უკეთესია სპეციალურ სახელოსნოში, რამდენადაც ეს სამუშაო საკმაოდ რთული და შრომატევადია, თხოულობს განსაზღვრულ ცოდნას. თუ არა გვაქვს ასეთი შესაძლებლობა, ტყავის გამოყვანა ოჯახურ პირობებშიც შეიძლება. ამისათვის უნდა გვახსოვდეს, რომ გამოყვანილი ტყავი არ უნდა იყოს მეორე ხარისხზე ნაკლები. ოჯახში ტყავის გამოყვანის ჩვევის ასათვისებლად პირველ რიგში ვიყენებთ რამდენიმე გამოწუნებულ ტყავს.

გამოყვანის დაწყების წინ ტყავი დავასველოთ დაახლოებით 35—40° ტემპერატურის წყალში. თუ ტყავი ახალია, ახლად დაკლული ბოცერიდანაა მოხსნილი, საკმარისია წყალში გავაჩეროთ 3—5 საათს. მშრალი ტყავის გამოყვანისას უკეთესია მათი 2-ჯერ დასველება. დასაწყისში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხოლო შემდეგ 10—12 საათს გავაჩერებთ ახალ წყალში 15—20 გ საკვები მარილის დამატებით ლიტრ წყალზე. ოთახის ტემპერატურის წყლის გამოყენებისას მშრალი ტყავის დაღობა გრძელდება 24 საათს ან მეტხანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წყალი რამდენჯერმე უნდა გამოიცვალოს. თუ გამოყვანისათვის ვიყენებთ იმ ტყავს, რომელსაც პირველადი დამუშავებისას აკვებ მარილი აქვს მოყრილი, ხსნარში მარილის დამატება არ არის საჭირო. ზოგიერთი რეკომენდაციით, კარგია დავუმატოთ ცოტაოდენი სარეცხის ფხენილი 1,5 გ ლიტრ წყალზე.

ამ ოპერაციის შემდეგ ტყავი უნდა გავასუფთაოთ ცხიმოვანი ნარჩენებისაგან. ეს ოპერაცია შეგვიძლია შევასრულოთ ორი ხერხით: გლუვი ჩანგლით ან გლუვი წალღანით. ამ ოპერაციას ასრულებენ განსაკუთრებული სიფრთხილით, ტყავი რომ არ გაფუჭდეს, არ გაიკრას ბეწვის ძირები. თვითონ დერმას (საკუთარ ტყავს) არ შევეხებით, ხოლო სქელი გლემურძის მქონე ტყავიდან შეიძლება მოვაცილოთ სულ მცირე ნაწილი დერმისა. ცხოველის გატყავების დროს კანზე რჩება ხორცის ნაჭრები, კანქვეშა ქსოვილის ნარჩენები, რომელთაც გლემურძი ეწოდება. გლემურძის დამუშავებას იწყებენ კუ-

დიდან ხერხემლის გაყოლებით თავისკენ, შემდეგ კი ზურგიდან ნაპირისაკენ.

გლემურძის დამუშავების შემდეგ ტყავი შეიძლება ოდნავ ამოვრეცხოს საპნიან წყალში, სანამ ბეწვის მსუბუქი კრიალი არ წარმოიქმნება. ასეთი ხსნარის დასამზადებლად იღებენ 10 გ საოჯახო ნაპონს ან 3,5 გ სარეცხის ფხენილს 0,5 გ კალციონირებული სოდის დამატებით. გარეცხილ ტყავს ავლებენ სუფთა წყალში, დაბერტყავენ ზედმეტი წყლისაგან და თმის საფარველს შეამშრალებენ მშრალ ნაჭრით. შემდეგ იწყებენ ყველაზე პასუხსაგებ სამუშაოს მოხაშვას. ამ ოპერაციის მიზანია შეცვალოს გლემურძის ფიზიოლოგიური თვისება, გამოიტანოს ზისგან წებოვანი ნივთიერება, გახადოს გლემურძი უფრო რბილი, ელასტიური და გამძლე. ძირითადად დამუშავებასთან დაკავშირებულია პიკელირება, რამდენადაც ის შედეგდებასთან, მოხაშვასთან შედარებით თანამედროვეა, საიმედო და უბრალო.

პიკელირება ეწოდება მკეფასა და მარილწყალში ტიტველას დამუშავების პროცესს. მოქმედებს ორი სახის პიკელირება: ჩაშვებით და წასმით. ჩაშვებით პიკელირება შეიძლება შეეასრულოს ერთ ან ორ მიღებაზე. პირველი ვარიანტის დროს ამზადებენ ხსნარს, რომლისთვისაც იღებენ 10—15 გ კონცენტრირებულ ძმრის მკეფას და 40 გ საკმელ მარილს ერთ ლიტრ წყალზე, 30—35° ტემპერატურაზე. ამ ხსნარში ტყავს 4—5 საათით ჩააწყობენ. ხსნარის კოეფიციენტი დაახლოებით შვიდია.

ხსნარის კოეფიციენტი არის ერთ ლიტრ ხსნარზე გამოყოფილი ტყავის რაოდენობა.

ნაცვლად კონცენტრირებული ძმარმკეფასი. შეგვიძლია ავიღოთ სუფრის მარილიც, იმ რაოდენობით, რაც ზემოთ გვქონდა განსაზღვრული.

ხსნარში პიკელირების დროს ტყავის ნაჭრები უნდა იყოს გაჩერებული 20° ტემპერატურაზე 24 საათს ან მეტხანს. რამდენადაც სჭილია გლემურძი, იმდენად დიდხანსაა საჭირო მისი გაჩერება.

ჩაშვებითი პიკელირების დროს დასაწყისში ჩაატარებენ ზემოთ ნაჩვენებ ოპერაციებს, შემდეგ ტყავს 5—12 საათის განმავლობაში გააჩერებენ ხსნარში, რომელსაც ამზადებენ 1 ლიტრი წყლისაგან, 5 მგ გოგირდოვან მკეფასა და 50 გ მარილისაგან. ამ დროს ტემპერატურა დაახლოებით 20°-ია.

წასმით პიკელირებისას ხსნარის კონცენტრაცია უნდა იყოს 2-ჯერ მეტი, ვიდრე ჩაწყობისას. ამ ხსნარს წაუსვამენ გლემურძზე ფუნჯით ან ბამბის ტამპონით. ამ ოპერაციის გამოჩენა საჭიროა 2—3-ჯერ გარკვეული დროის შემდეგ.

ორივე შემთხვევაში ამოწმებენ ტყავის გამოყვანის პროცესს. ტყავს კეცავენ შუაზე და გადაკეცვის ადგილს თითოთ დააწვევბიან გლემურძს, თითის ანაბეჭდის დიდხანს შენარჩუნება ნიშნავს პიკელირების საკმარისობას.

პიკელირებისას ტყავზე გამოყენებული მკვებების მოსაცილებლად ტყავი ნახევარი საათით უნდა ჩაუქუთ სოდის ხსნარში 1,5 გ ლიტრ წყალზე. ამ ოპერაციის დამთავრების შემდეგ ტყავს აფენენ ღასტად და ტოვებენ თაროზე მის გამოყვანამდე. ტყავის მოყვანა-მომწიფების დრო მერყეობს 12-დან 48 საათამდე, რაც დამოკიდებულია გლემურძის სისქეზე.

მოხაშვის მეთოდით ტყავის გამოყვანის მრავალი საშუალება არსებობს. მათგან ყველაზე ძველია შემდეგი მეთოდი: თავდაპირველად ამზადებენ შერიის ან ფეტვის მარცელიდან მსხვილად დაფქვილი ღერლილის ცომს, მას წაუსვამენ გლემურძს, ტყავს აწყობენ ერთმანეთზე და გამოყოფენ პერგამენტის ქაღალდით. ზემოდან აფენენ ნებისმიერ სათბობს და ტოვებენ ორი-სამი დღე. ცომის მომზადებისათვის უნდა ავიღოთ 1 კგ ფქვილი, 15—20 გ პურის საფუარი და 1 სუფრის კოვზი საკმელი მარილი. ზოგიერთი მებოცვრე იძლევა რეკომენდაციას დავუმატოთ 2—3 კოვზი კუჭის წვენი, რომელიც აფთიაქში იყიდება.

შეიძლება ასევე მოვხამოთ ტყავი, თუ გლემურძზე წაუსვამთ დამკვებულ კეფირს. ტყავის მოხაშვა შეიძლება აგრეთვე სქელი, დამკვებული შენაერთით — შერიის უხეშად დაფქვილ ფქვილთან საფუარისა და საკვები მარილის დამატებით. ამის დასამზადებლად საჭიროა ლიტრ ცხელ წყალში გახსნილი 200 გ ფქვილი, 7 გ საფუარი და 25 გ მარილი. აღნიშნული მასა კარგად ავურიოთ. ოთახის ტემპერატურაზე გაციებული ცომი წაუსვათ გლემურძს. კილოგრამ ტყავზე საჭიროა 4 ლიტრი ასეთი შენაერთი. ტყავი პერიოდულად უნდა გადაბრუნდეს და ხსნარიც აირიოს. ასეთ მდგომარეობაში ტყავს გავაჩერებთ 2—3 დღე, სანამ ხსნარის ზემოთ არ წარმოიქმნება თეთრი ბუმტულაკები და შევიგრძნობთ დამკვებულ ცომის

სუნს. მოხაშვის დრო განისაზღვრება ისეთივე მეთოდით, როგორც ჩაწყობისას.

შემდეგი აუცილებელი პროცესია ტყავის გამოყვანა-გათრიმლვა. გათრიმლვის მრავალი მეთოდი არსებობს. მოგვყავს ყველაზე მარტივი ოჯახური პირობებისათვის. მაგალითად, ტყავის სათრმეველად გამოიყენება ტირიფის ფესვების ნახარში, წყლის იელის, მურყნის, თხმელისა და მუხის ნახარში. ყველაზე უკეთეს შედეგს ვღებულობთ ტირიფის ფესვის ნახარშის გამოყენების დროს.

სათრიმლავი ხსნარის დასამზადებლად მომინაქრებულ ჭურჭელში აწყობენ ფესვის ნაჭრებს და ტოტების ნატეხებს, დააყრიან მას საჭმელ მარილს, დაასხამენ წყალს და ნახევარი საათის განმავლობაში ხარშავენ. ლიტრ წყალზე იღებენ 200—250 გ ფესვსა და ყლორტებს, 50—60 გ მარილს. ხსნარს გაცივების შემდეგ ასხამენ სხვა ჭურჭელში, ჩააწყობენ მასში ტყავს და გააჩერებენ ერთ დღე-ღამეს, ხშირად ურევნენ.

თრიმლვისათვის შეიძლება ასევე გამოვიყენოთ ხსნარი: 35 გრადუს ტემპერატურაზე გაცხელებული 6—7 გ ქრომის შაბი და 50 გ საჭმელი მარილი ლიტრ წყალზე. ტყავი წყალში ჩაწყობილი უნდა იყოს 6 საათი, ხოლო ოთახის ტემპერატურაზე გავაჩეროთ 12 საათი.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ბოცერის ტყავის გამოყვანისას, განსაკუთრებით კი მაგარი ტყავის პიკელირების შემდეგ თრიმლვა შეიძლება არც კი ჩავატაროთ. პირველი აბაზანის მერე ტყავის სირბილისა და ელასტიურობის მისაღებად საჭიროა მისი დიდხანს მოქნა, დარბილება, სანამ გლემურძი არ მიიღებს თეთრ-ვარდისფერს, არ გახდება რბილი და ელასტიური.

თრიმლვის დამთავრებისას ტყავს აცლიან ხსნარის ნარჩენებს, აწყობენ ფიცარზე, ხოლო ზემოდან დაადებენ სწორ ფიცარს, 5—7 კგ-ის სიმძიმეს და ტოვებენ ერთ-ორ დღეს. ასეთი გზით ტყავიდან ზედმეტი სისველე გამოიწურება და ტყავი მომზადდება.

ამის შემდეგ ტენიან გლემურძს ფუნჯით ან ბამბის ტამპონით წაუვსვამთ ცხიმოვან ემულსიას, რომელიც აუმჯობესებს ტყავის მექანიკურ თვისებას და ინახავს მას შემდგომი დანესტიანებისაგან. ემულსიის დასამზადებლად ადუღებენ წყალს, დაუმატებენ საოჯახო საპნის ნაჭერს (60 გ ლიტრ წყალზე), გამდნარ ლორის ქონს (იმდენს რამდენიც წყალია) და ნიშადურის სპირტს (10—12 მგ ლიტრ წყალზე).

სხვა რეკომენდაციით ლიტრ წყალზე იღებენ 200 გ საოჯახო საპონს, 80 გ ღორის ან ცხვრის ქონს და 10 მგ ნიშადურის სპირტს წყლის ტემპერატურა 40—45 გრადუსია. ემულსია შეიძლება უცხიმოთაც მომზადდეს თუკი მას შევცვლით გლიცერინით ან კვერცხის გულით.

ემულსიის წასმის შემდეგ ტყავს აწყობენ თაროზე და აჩერებენ 3—4 საათს. შემდეგ კარგად აშრობენ ბეწვის საფარველს და გლემურძს 30° ტემპერატურაზე. გაშრობის შემდეგ გლემურძი კარგად შეიძლება გაიწმინდოს ცარცის ფხვნილით ან თაბაშირით, უთანაბრო ადგილი — ზემდგარის ქალღლით და ბოლოს კარგად დავებრტყოთ.

აუცილებლობის შემთხვევაში ტყავს ასწორებენ და დამატებით ჰიმავენ საკიღზე ან სხვა საშუალებებით. ბეწვის საფარველს მოამშრალევენ ნახერხით, ასუფთავებენ და ვარცხნიან. ჩატარებული ოპერაციების შემდეგ ტყავის ქსოვილი უნდა იყოს რბილი და ელასტიური, ბეწვი ასევე სუფთა და რბილი, ელასტიური.

რჩევა-ღარიგება ზოცვის მოხარულთ

ბოცვერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სუფთა, მშრალი, მოხერხებული ორპირი ქარისაგან დაცული ბინა.

სანიტარიული ჰიგიენის დაცვა შესაძლებელია იარუსის ქვეშ დაღუნული ქვეშსაგებით.

ჰიგიენური დაცვისათვის საუკეთესოა უქანგავი ბადე, რომლის დეზინფექცია ადვილია. როგორც ხსნარით, ასევე ნავთქურით.

ბაჭიებს წვრილი ფეხის ძვლები აქვთ, ფეხის მოტეხვის თავიდან ასაცილებლად იატაკზე საჭიროა დავაგოთ წვრილბუდიანი ბადე (16—48) და არა კვადრატულბუდიანი (25—25).

ოჯახი ბოცვის ხორციით რომ უზრუნველყოთ, უნდა იყოლიოთ 3—5 კარგი მერძეული დედალი და ერთი მამალი ბოცვერი. ასეთი რაოდენობის დედალი ბოცვიდან შემოდგომამდე შეგიძლიათ აწარმოოთ 320 კგ ცოცხალი წონის ასამდე მოზარდი.

ნორმალურ პირობებში, სწორი კვების, შენახვის, ყოველგვარი სისუფთავის, ვეტერინარული პროფილაქტიკის დაცვის პირობებში დედალი ბოცვერი ორ-სამ წელიწადს გვემსახურება. გვაძლევს 5—6-ჯერ დაბაჭიანებას და გამოზრდის 20—25 ბაჭიას. სამი წლის შემდეგ დედალი ბოცვის მწარმოებლობა მცირდება.

ახლონათესაური შეწყვილება (მამისა-ქალოშვილთან, ძმისა-დედასთან, ძმისა-დასთან) გვაძლევს უუნარო და ნაკლებ სიცოცხლის მქონე მემკვიდრეობას. იზრდება დაბადებულ მკვდარ ბაჭიათა რიცხვი. ეს რომ არ დაგვემართოს, უნდა ვაწარმოოთ ოჯახების სწორი აღრიცხვა და არ უნდა დავეშვათ თავისუფალი შეწყვილება.

საჯიშე მოზარდები უნდა იყვნენ მაგარნი და გამოწრთობილნი, მათ უნდა შეეძლოთ დიდი ფიზიოლოგიური დატვირთვის და მომავალი დაბაჭიანებისა და ლაქტაციის გაძლება. არ შეიძლება გავანაზოთ საჯიშე მოზარდები. სადგომში ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს პლუს 5 ან 10 გრადუსს.

არ ღირს გამოვეყიდოთ დედლის ყოველთვე დაბაჭიანებას, ვინაიდან ორი პროცესით (მაკეობითა და ძუძუს წოვებით) ბოცვერს ორგანიზმი ელლება და ამ შემთხვევაში სპობს ნაყოფს.

ადრე გაზაფხულზე დაბადებული მოზარდები უფრო მეტი სიცოცხლისუნარიანი არიან და ამავე დროს იზრდებიან იაფი სრულფალოვანი მასით. გარდა ამისა, წლის დასაწყისში მიღებული მოზარდებისაგან შეიძლება დამატებითი დაბაჭიანების მიღება.

შეაწყვილებენ მხოლოდ ნორმალურად ნაკვებ ბოცვერებს. გასუქებული ცხოველი ცუდად ნაყოფიერდება, იძლევა ხუსტ ნაყოფს ან საერთოდ არ მიდის დაგრილებაზე, უქვეითდება სქესობრივი აქტიურობა.

ბოცვერი ნაყოფიერდება წლის ნებისმიერ დროს. მაგრამ შეწყვილება დედალ-მამალი ბოცვერისა უნდა მოხდეს აქტიურობის დროს.

აქტიურობა დედალ ბოცვერს ემჩნევა ქვევიდან. ის აფორიაქებულია, ბუდისათვის აგროვებს ქვეშსაგებს, ღნავის, ცუდად ჭამს, ეცვლება სასქესო ორგანო, ღია ვარდისფერი შეფერილობისაა. შესიებული ორგანოს დროს მამალი კარგად ანაყოფიერებს, გვაძლევს ბაჭიების მეტ რაოდენობას.

ახლო ნათესაური კავშირი რომ არ დავეშვათ, რეკომენდებულია მამლის ყოველწლიური ცვლა.

ახალგაზრდა დედლები კალიფორნიის ჯიშის მოზარდების გასამრავლებლად უნდა გავუშვათ 4,5 თვის ასაკში, ხოლო თეთრი გოლიათი, შინშილა, ნაცრისფერი გოლიათი, შავი და ვერცხლისფერი—5—6 თვის, 3,5—4 კგ ცოცხალი წონით.

დედალი ბოცვერები პირველად შეწყვილებაზე 5—6 თვის ასაკში უნდა წავიდნენ.

დედალ-მამალი ბოცვრის საჭიშე და პროდუქტიული მონაცემები განისაზღვრება არა ტანის მოცულობით, არამედ მემკვიდრეობითი მონაცემებით.

დედალი ბოცვრი უნდა გამოირჩეოდეს სიმშვილათ, ბრაზიანი ყოველთვის ცუდი დედაა.

მსხვილი დედლები (6—7 კგ) ყოველთვის ნაკლებრძიანია, გვაძლევენ ნაკლები რაოდენობის სუსტ ბაჭებს. მათ ცუდად აქვთ განვითარებული დედობრივი გრძნობა. ნაკლებად მომგებიანია არიან მოზარდების გამრავლებსათვის. ხარჭავენ დიდი რაოდენობით საყვებს, ხშირად ავადმყოფობენ და წყობიდან გამოდიან.

მამალი ბოცვრი დედლის ბინაში ცუდად წყვილდება, ვინაიდან მასზე მოქმედებს ახალი გარემო და პასიურობას იჩენს.

შეწყვილების წინ გალიიდან იღებენ ყოველივე ზედმეტს, რაც ხელს უშლის მამალს დაგრილებაში.

აქტიურობის ასამაღლებლად ბოცვრებს რაციონში ურევენ დაღერლილ შვრიას, ბარდას, მალალი ხარისხის თევას, სტაფილოს, აბზინდასა და ვერხვის ტოტებს.

დედლის დაგრილების შემდეგ მას დააბრუნებენ თავის გალიაში. ტრაფარეტზე კი დააწერენ შეწყვილების რიცხვს. 5—6 დღის შემდეგ ჩაატარებენ განმეორებით დაგრილებას და თუ დედალი მამალს არ ლებულობს, ეს მიანიშნებს მის დამაკვებაზე. 13—15 დღის შემდეგ ფრთხილად მოეუსინჯავთ ჩანასახს მუცლის არეში. ამისათვის ბოცვრს სვამენ მაგიდაზე თავით წინა მხარეს. ერთი ხელით უკავიათ გავა, მეორეთი კი სინჯავენ. თითებში გვხვდება ალუბლის სიდიდის ჩანასახი.

დაბაჭიანებამდე 5—6 დღით ადრე გალია კარგად უნდა გავასუფთაოთ. ბუდის დადგმა ღია სადგომზე არ შეიძლება. თუ გალია ძალიან ნათელია უნდა დავებნელოთ, ზოგჯერ დაბაჭიანება პირდაპირ იატაკზე ხდება.

არის შემთხვევები, როდესაც დედა ბოცვრს რძიანობა ეწყება დაბაჭიანების შემდეგ რამდენიმე დღის დაგვიანებით. სარძევე ჭირკვლები გაევისება, გაუმაგრდება და ეტკინება. დაბაჭიანების შემდეგ სარძევე ჭირკვლებს ფაქიზად შეზელავენ, გამოწურავენ ცოტაოდენ რძეს და ბოცვრს დაუსვამენ ზედ ბაჭიებს, რომლებიც აქტიურად წოვენ დედას. ასეთი 2—3 პროცენტურის შემდეგ ბოცვრს ელვიძება დედობრივი ინსტინქტი და შემდეგში უკვე თვითონ კვებას შვილებს.

არცთუ იშვიათად, მაწოვარი დედა ბოცვერი გამოდის რა ბუდი-
დან, თან მოჰყვება ძუძუზე ჩამოკიდებული ბაჭია, რომელიც შემდეგ
სცილდება. მათ არ შესწევთ ძალა ბუდეში უკან დაბრუნებისა, ამ
დროს მოხმარებაა საჭირო, რათა არ გაცივდნენ და არ დაიღუპონ.
ასე რომ არ მოხდეს, ბუდე 12—13 სმ-ით დაბლა უნდა იყოს ჩაღ-
ვმული ამოსასვლელთან. ამ შემთხვევაში ბაჭია გადმოსასვლელის შიგ-
ნით ჩამოსცილდება დედას და ისევ სითბოში დარჩება.

რამდენადაც რძიანობა შთამომავლობითი თვისებაა, მაღალი რძი-
ანობის მქონე დედა უნდა შეეწაყვილოთ მამალთან, რომლის მშობე-
ლიც ასეთივე რძიანობით ხასიათდებოდა, ზოლო სარემონტო მოზარ-
დებს საჯიშე გამრავლებისათვის შეეარჩევთ მათი მშობლების ამ ნიშ-
ნის მიხედვით.

მაღალპროდუქტიული ჯგუფის შესაქმნელად მოქმედებს სპეცია-
ლური წესი მოზარდთა გამოზრდაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ
მოზარდები გაძლიერებულ კვებაზე ჰყავთ 2—3 თვის ასაკამდე, რომ-
ლის შემდეგ კონცენტრირებული საკვების ნორმას 30—40 პროცენ-
ტით ამცირებენ, ზოლო კარგი ხარისხის თივის რაოდენობას უზრ-
დიან. ასეთი მეთოდით ხელოვნურად მცირდება ორგანიზმის ზრდა და
იღვიძებს სასქესო ჰორმონი. მზადდება ორგანიზმი ინტენსიური გამ-
რავლებისათვის. მოზარდში ვითარდება სარძევე ჯირკვლები.

საჯიშე მუშაობისა და გამოკლებული დედების შესავსებად რე-
ზერვში უნდა გვყავდეს სარემონტო დედალი ბოცვრები. მათ ვარ-
ჩევთ სუფთა ჯიშის, კარგად განვითარებული 3—4 თვის ასაკის, ად-
რეული მარტი-აპრილის დაბაჭიანებიდან. ჩავსვავთ სანაშენედ თუ
არა, ამას გადავწყვეტთ მათი პირველი დაბაჭიანების შემდეგ. ამიტომ
ასეთ დედებს შემოწმებული დედები ეწოდებათ.

პირველი ლაქტაციის დროს დედა ბოცვერი 30 პროცენტით ნაკ-
ლებ რძიანობას ამჟღავნებს, ვიდრე შემდეგი ლაქტაციის დროს.
მოსაშენებლად უნდა დავიტოვოთ დედები მეორე-მესამე დაბაჭიანე-
ბიდან და არა პირველიდან, როდესაც შთამომავლობა სუსტია.

საერთოდ დედა ბოცვერთან ტოვებენ არა უმეტეს 8 ბაჭიას, სარ-
ძევე ჯირკვლების რაოდენობის მიხედვით. თუკი მას ეყოლა 1—2—18
ბაჭია, მაშინ დასატოვებელი რიცხვი განისაზღვრება მისი რძიანო-
ბით. უხვრძიანობისას მეორე, მესამე დაბაჭიანებაზე შეიძლება მან
12—14 ბაჭია გამოზარდოს.

მრავალი ბაჭიანობის დროს გალიაში დგამენ ორ ბუდეს, სადაც

ცალ-ცალკე ათავსებენ 6—6 ბაჭიას. ამ შემთხვევაში დედა მათ კვე-
ბავს რიგრიგობით. მხოლოდ საჭიროა დედის გაძლიერებული კვება.
უნდა მიეცეს ძროხის რძე, კოპტონი, სტაფილო, ბარდა. პარკოსანი
თივა, მწვანელი. ბუდეში ყოველთვის უნდა იყოს სუფთა ახალი
წყალი.

თუ ლაქტაციის დროს დედა ბოცვერი დაიღუპა, ბაჭიებს გამოზრ-
დიან ხელოვნურად — საწოვარით. პირველ დღეს პატარები სვამენ
4—5 გ ძროხის რძეს. ბაჭიებს დღეში 4—6-ჯერ კვებავენ. დედა ბო-
ცვრის სიკვდილის შემთხვევაში ბაჭიებს იმავე ბუდეში ტოვებენ 15—
20 დღეს. ასეთ ასაკში მათ უკვე შეუძლიათ დამოუკიდებელი ცხოვ-
რება. მხოლოდ საკვები უნდა იყოს უფრო მეტად ცხოველური, კარ-
გი წმინდა თივა, სტაფილო და ა. შ.

ხელოვნურად გამოზრდის დროს შენარევი ასეთი უნდა იყოს:
 $\frac{3}{4}$ ძროხის რძე და $\frac{1}{4}$ შედედებული რძე. რძეს ასტერილებენ, ამ-
დიდრებენ ვიტამინებით, რომელიც იყიდება აფთიაქში. ნარევეს ას-
მევენ 37—38 გრადუსზე გამთბარს. მოზარდებს 20 დღემდე რძეს
ასმევენ ჩვეულებრივი საწოვარით, ხოლო ერთი თვის ასაკში უკვე
ჭურჭლიდან. რძეში მცირე რაოდენობით უყრიან წმინდად დაფქვილ
მარცვალს ან კომბინირებულ საკვებს. შემდეგ თანდათანობით გა-
დაპყავთ ჩვეულებრივ საკვებზე.

ზოგჯერ ახლად დაბადებული ბაჭიებზე, რომლებიც აღმოჩნდებიან
შიშველ იატაკზე, იყინებიან. ისინი უნდა გავათბოთ თბილი წყლით.
შევამშრალეთ რბილი სუფთა ნაჭრით და ორი-სამი საათით მო-
ვათავსოთ თბილ ადგილზე, შემდეგ კი დავაბრუნოთ ბუდეში.

ახლად დაბადებულთა გასათბობად საჭიროა 30—40 სმ-ის ყუთი.
რომელშიც დგამენ ელექტრონათურას. ფსკერზე აფენენ რბილ ქვეშ-
საგებს. ბაჭიები ინკუბატორში თავსდებათ ერთ-ორ საათს, შენდეგ
კი გადაიყვანენ ბუდეში.

დედები თავიანთ ბაჭიებს წყლის უკმარისობისა და არასრულ-
ფასოვანი კვების დროს ჭამენ. ამისათვის დაბაჭიანების დროს მათ
შარავში ყოველთვის უნდა ჰქონდეთ წყალი, სტაფილო და კომბოს-
ტო.

ბაჭიების დიდი რაოდენობით დანაკარგს მაშინ აქვს ადგილი, რო-
ცა ატროფირებულია ბოცვრის სარძევე ქირკვლები. თუ დაზიანე-
ბულია 4—6 ქირკვალი, ბაჭიები დაბადების პირველ დღესვე იღუ-

პებიან. პროფილაქტიკისათვის საჭიროა დედა ბოცვერს ჰქონდეს რბილი ქვეშაგები.

მასტიტის შემთხვევაში დედა ბოცვერს არ კვებავენ (ბაჭების გადასმის დღეს), მხოლოდ წყალს ასმევენ. ერთი დღე-ღამის განმავლობაში მას გადაიყვანენ ჩვეულებრივ რაციონზე.

მცირე ფაგია — ბოცვრების მიერ ერთმანეთის ბეწვის შექმა შედეგია საკვებ ერთეულში ნივთიერებათა ბალანსის დარღვევისა. ის დაკავშირებულია რაციონში ბოჭკოვანი, გოგირდის შემცველ ამინმეავის, მაგნიუმისა და კალციუმის არათანაფარდობით. ამ პათოლოგიის თავიდან ასაცილებლად რაციონს ამდიდრებენ ფოთლოვანი თივით, სხვადასხვა ბალახით. კომბინირებულ საკვებში შეაქვთ მეთიონი და გოგირდის ფხვნილი ერთ ტონა კომბინირებულ საკვებზე 1 კგ.

სრულყოფილი რაციონის შემდეგაც ბოცვერი ითხოვს რაიმე საღრღნელს, ეს არის მემკვიდრეობითი რეფლექსი. მჭრელი კბილები მუდმივად ეზრდებოდა და ერთმანეთზე ლესავენ. წინა ზედაპირი დაფარული აქვთ გამკვირვალე მინანქრის ფენით, ხოლო უკანა — თხელი და ნაკლებად გამკვირვალე, რის გამოც მინანქარი სწრაფად ეცლება, ვიდრე წინა მხარეს. ასე მიმდინარეობს მჭრელი კბილების გალესვა.

უხეში საკვების უქონლობის დროს შეინიშნება მჭრელი კბილების უზომო ზრდა, ბუდეში ზამთარ-ზაფხულს აძლევენ ტირიფის ან კომშის, ზამთარში კი წიწვოვანი ხეების ამონაყრებს. მათ მოაქვთ ორმაგი სარგებლობა: მჭრელი კბილები იღესება და ორგანიზმი მდიდრდება ვიტამინებით. ზოგჯერ მჭრელი კბილები იმდენად იზრდება, რომ ღუნავს პირის ღრუს და საკვების ჭამა შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევაში მათ კბილებს უმოკლებენ ვეტერინარული საკვანტელათი. ეს უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად, მთლიანად რომ არ მოტყდეს კბილი, რომლის გარეშე მას ცხოვრება არ შეუძლია.

კომბინირებული კვების დროს რთულ დედა ბოცვერს დღე-ღამეში ჰჭირდება 1 კგ კონცენტრირებული საკვები: 0,64 კგ თივა, 0,57 კგ ძირხვენები, 2,48 კგ მწვანე მასის სილოსი.

საკვების წლიური მოთხოვნილება რთულ დედა ბოცვერზე გამოითვლება ერთი სულის მოთხოვნილებიდან: $\frac{1}{6}$ დედა, 13 სული ბაჭია 110 დღის ასაკამდე და ერთი სული სარემონტო ბოცვერი.

ზამთრისა და ზაფხულის პერიოდში კვების ხანგრძლივობა ექვსათეა.

მოზარდი დედებისათვის (ცოცხალი წონა 4,5—5 კგ) წელიწადში საჭიროა 50 კგ კონცენტრირებული საკვები, 40—50 კგ თივა, 60 კგ ძირხვენა, 190 კგ მწვანე მასა და 80 ცალი ცოცხი.

ერთ დედაზე გაანგარიშებით მოზარდების გარეშე საჭიროა დამზადდეს 40 კგ წვრილად გაფოთლილი, სხედასხვა ბოტანიკური შემადგენლობის თივა.

უხეშ, ძირითადად მარცვლეულის თივას ბოცვერი ცუდად ქამს. შერჩეის ჩალას, თუ ის კარგად შენახულია, — კარგად, ვიდრე ქაობის ცუდ თივას. ბოცვრებს უყვართ პარკოსანი მცენარის გული.

არ შეიძლება მივეცეთ დიდი რაოდენობით ნახშირწყლების შემცველი საკვები — პური, კარტოფილი, რომლებიც ცხიმის დაგროვებას იწვევენ.

ყოველთვის უნდა ვაკონტროლოთ რაციონში ბოჭკოვანი საკვების რაოდენობა.

რაციონის შედგენისას საკვები ღირებულება ასეთი უნდა იყოს: დედალი და მამალი ბოცვისათვის მოსვენების დროს საჭიროა 45 პროცენტი კონცენტრატი, 15 პროცენტი უხეში საკვები, 40 პროცენტი ძირხვენები; მკეობასა და ლაქტაციისას მოზარდებისათვის შესაბამისად — 70, 15, და 10 პროცენტი.

ლაქტაციის დროს დედა ბოცვრები მოითხოვენ 3-ჯერ უფრო მეტ საკვებს მოსვენების პერიოდთან შედარებით.

კომპონენტის შემადგენლობა რაციონში დედალი და მამალი ბოცვის შეწყვილებისა და მკეობის დროს ასეთი უნდა იყოს: მარცვლეული (ქერი, შერია, ხორბალი) 90—100 გ, მზესუმზირის კობტონი — 35—50 გ, მდელოსა და პარკოსნის თივა — 160—180 გ, ძირხვენები — 240—260 გ, ცარცი 1 და მარლი 1, გ. 5—7 დღით ადრე დაბაჰიანებამდე საკვების მოცულობას ამცირებენ.

სამი თვის მოზარდები და მოზარდი ბოცვრები რეკომენდებულია კვებოთ 2-ჯერ, ხოლო მკე დედები და მოზარდები სამი თვის ასაკამდე — დღეში 3-ჯერ.

ახალი სახის საკვები რაციონში უნდა შევიტანოთ თანდათანობით და მცირე რაოდენობით, რომელსაც 7—8 დღის განმავლობაში ნორმაზე დავიყვანთ. მაგალითად, ახალი მწვანე ბალახი მოზარდებს შეიძლება მივეცეთ 30-დან 50 გ-მდე, მოზარდილებს — 50-დან 100 გ-მდე თივაში შერეული. თანდათანობით შევამცირებთ თივას და მთლი-

ანად გადავიყვანთ ბალახზე. ამრიგად, ახალი სახის საკვებზე უცაბედი ვადაყვანა იწვევს ცხოველის კუჭ-ნაწლავის მოშლილობას. მაწოვარ ბაჭეებსაც ასე თანდათანობით აჩვევენ საკვებზე გადასვლას.

არ შეიძლება ბოცვრები ვკვებოთ დაობებული და დამპალა საკვებით.

უარყოფით ვავლენას ახდენს სველი ბალახი, განსაკუთრებით სამყურა. სამყურა და პარკოსანი მალაღმასოვანი საკვები კულტურაა ბოცვრებისათვის, მაგრამ მათი მიცემა შეიძლება მხოლოდ შემკვნიარნი ან თივის სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში იწვევს ცხოველს კუჭ-ნაწლავის შებერალობას.

ჭარხლისა და კომბოსტოს ფოთლები უნდა მივცეთ თივაში შერეული მცირე რაოდენობით. წითელი ჭარხლით ბოცვრების გაპოკვება არარეკომენდებულია, რადგანაც ის იწვევს კუჭშალილობას. მის ნაცვლად შეგვიძლია მივცეთ საკვები ჭარხალი.

ძირხვენები საკვებად მიცემის წინ უნდა გაიწმინდოს მიწისაგან ან დაიკუწოს. ზამთარში ჯერ გააღობენ, შემდეგ კი მოხარშავენ. მოხარშული ძირხვენები და კარტოფილი უკეთესია კომბინირებულ საკვებში ავურიოთ. მხოლოდ გაღობილი სტაფილო შეგვიძლია მოხარშვის გარეშე მივცეთ.

მაკე და ლაქტაციის მიყოფი ბოცვრის საკვებში დაბალანსებული უნდა იყოს პროტეინი, ცხიმი, ნახშირწყლები, კალცი, ფოსფორი, შეუცვლელი ამინმჟავა, ვიტამინები, მცირე ელემენტები. ამის მიღწევა შეიძლება საკვების მრავალი სახეობის მიცემით.

კომბინირებული საკვების მშრალი სახით მიცემა არ შეიძლება. ისინი ხვდებიან ზედა სასუნთქ ორგანოში და იწვევენ მწვავე ავადმყოფობას. აუცილებელია მათი დატენიანება საკვების მიცემის წინ. ამ მხრივ უკეთესია გრანულებული საკვები, თუმცა ის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ასალოკი მარილი მუდმივად უნდა იყოს გალიაში.

ცილებითა და ვიტამინებით მდიდარია ჭინჭარი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, რომელსაც საკვებში ურევენ წვრილად დაჭრილს.

რძის მომმატებელ საშუალებად ითვლება წვნიანი საკვები. დედა ბოცვარი კარგად მიირთმევს ტურნეფსს, სტაფილოს, ჭარხალს, კომბოსტოს, თაღამს. დაბჭიანებამდე 2—3 დღით ადრე წვნიან საკვებს შეუწყვიტავენ დედა ბოცვარს და ლაქტაციის შესამე დღეს კვლავ მისცემენ.

ღედა ბოცვრებს უკეთესია მივცეთ საკვები კომბოსტო, ვიდრე თეთრთავიანი, ვინაიდან ამ უკანასკნელის დიდი რაოდენობით მიცემა იწვევს მუცლის არის შებერალობას.

ბოცვრებს ძირითადად კვებავენ შაქრისა და საკვები ჭარხლით, და არა სუფრის ჭარხლით. მათ შემადგენლობაში შემავალი შაქრის ჭარხალი ადვილად აითვისება, მოქმედებს რძიანობაზე და ენერგიის წყაროზე. მოზრდილ ცხოველებს დღე-ღამეში აძლევენ 300 გ შაქრის ჭარხალს, მოზარდებს ერთი თვიდან ორი თვის ასაკამდე — 250 გ-მდე.

რძიანობას ზრდის მცენარე ბაბუაწვერა, რომელსაც ბოცვრება დიდი მონდომებით შეექცევიან. კარგად მოქმედებს ბარდა. მაწოვარა დედას შეიძლება მივცეთ 50 და მოზარდს 20 გ დღე-ღამეში. აძლევენ მას დაკუწულს ან დასველებულს. ბარდის სიჭარბემ შეიძლება გამოიწვიოს გაზების დაგროვება.

კამა აუმჯობესებს რძის გამოყოფას, მაგრამ უნდა მივცეთ მცირე რაოდენობით — 15—20 გ სულზე დღე-ღამეში.

ობრახუში მოქმედებს სარძევე ჭირკვლების ფუნქციონირების შეწყვეტაზე, ამიტომ ბოცვრს მას აძლევენ მაშინ, როდესაც მოზარდებს გადასვამენ ან ბაჭიები დაეხოცება.

რძის საუკეთესო მომყვან საშუალებად ითვლება მოხდილი რძე და შრატის, რომელიც შეგვავსებს სხვა საკვებთან ერთად.

სუფთა რძეს ასტერილებენ, გახსნიან ნახევრად წყალში და ასეთი სახით აძლევენ მაწოვარ დედებს. სუფთა რძე იმდენად არ არის რძიანობის სტიმულირების საშუალება, რამდენადაც ის ასუქებს. ყოველ 0,5 ლ გახსნილ რძეზე უკეთესია დავემატოთ ერთი ჩაის კოვჩი შაქარი.

ბირკავას ფესვები შეიცავს ფიტონციდს, რომელიც აძლევს ორგანიზმს ავადმყოფობისადმი გამძლეობას. მას აასხამენ ძაფზე და ასე აშრობენ სახურავის ქვეშ.

ბოცვრებისათვის სასარგებლოა ნაცარქათამა, მრავალძარღვა, ჭანგა, მინდერის ნემსა, თევქასრა, აბზინდა, ათასწლიანი, გრაკლა და სხვ.

მწვანე ახალ აბზინდას აქვს მომწამლავი ნივთიერება, ამისათვის ზამთრის საკვებად მისი დამზადება არ არის სასურველი. აბზინდას რყენებენ კოქციდიოზის პროფილაქტიკისათვის.

გეორგინი საუკეთესო საკვებია ბოცვრებისათვის.

საკვებად უვარგისია: ყაყაჩო, მდოგვი, მინდვრის ბოლოკი, შრო-
შანა, ყვავის თვალი, კრაჯანა და ა. შ.

ახწლისა და ძგლის კეხკრის ელორტები მოძწამლავია.

სველი ან გახურებული ბალახის საკვებად მიცემა იწვევს მუცლის
წებერვას.

ბოცვერს კვებავენ როგორც ვწვანე, ასევე გამხმარი კარტოფილის
ღეროებით თივასთან ერთად.

პური შეიძლება მიეცეთ გამხმარი. დაობებული პურის საკვებად
გამოყენება არ შეიძლება.

კარტოფილის ნაფუკვენი უნდა გაირეცხოს და მოიხარშოს, ვინა-
იდან უმი შეიცავს მოძწამლავ ნივთიერებას — სოლანინს.

წიწვოვან ტოტებს აძლევენ ბოცვერებს ოქტომბრიდან მარტამ-
დე წვენის მოძრაობის დაწყებამდე (ნორმა — 100—200 გ სულზე
დღე-ღამეში. ერთი თვის შემდეგ ათდღიანი შესვენებით). წიწვოვანი
ტოტების მიღებისას ცხოველს უუმჯობესდება შადა, უმაღლდება
ზრდის ენერგია, უძლიერდება სქესობრივი მოთხოვნილება, ბეწვია
საფარველი ხდება ხშირი და მბრწყინავი, ხორცი ღებულობს სინაჯეა
და არომატს.

ერთ კგ წიწვოვანში შედის 5000—7000 მგ კალცი, 1500—1700
მგ ფოსფორი, 300 მგ მანგანუმი, 170 მგ რკინა, 30 მგ ტყვია. 300 მგ
მეტიონინი, 5000 მგ ცისტინა, 2000 მგ არგინინა, 11 პროცენტი გადა-
მამუშავებელი პროტეინი, 55 პროცენტი ნახშირწყლები, 7 პრო-
ცენტი ცხიმი, კაროტინი იმდენია, რამდენიც სტაფილოში. მასში შე-
დის E, K, P, B ვიტამინები. პროვიტამინი P, C ვიტამინებით არ
ჩამორჩება იონჯას, ხოლო რკინის შემადგენლობით 3-ჯერ აჭარბებს
სამყურას. წიწვოვანში აღმოჩენილია ანტიბიოტიკური ნივთიერებები.

ბოცვერების კვება მთელი წლის განმავლობაში შეიძლება არყის,
ალვის ხის, აკაციის, ტირიფისა და ცირცველის ფოთლებითა და ტო-
ტიებით ან მათგან ამზადებენ ცოცხებს და საწურავის ქვეშ კიდებენ.
ზოგჯერ მოაყრიან მარილს, კარგად რომ შეინახოს, კარგი არომატისა
და გემოსათვის. საკვებად აძლევენ დღე გამოშვებით, თითო სულზე
30 გ-ს კილოგრამ ცოცხალ წონაზე ან 100 გ-ს ერთ სულზე, მოზარ-
დებზე 12—150 გ-ს. ცუდად გამშრალი ცოცხი ობიანია და მისი საკ-
ვებად მიცემა დაუშვებელია.

მუხისა და მურყნის ფოთლები შეიცავენ დიდი რაოდენობით ტა-

ნისს, ამიტომ მათი კვების დროს ცხოველს კუჭაშლილობა ემართება. ტირიფის ტოტები იწვევს მუცლის შებერილობას.

ცარცს, როგორც კალცის წყაროს, ბოცვერს აძლევენ ზამთარში სამყურა ბალახის თივისა და შემოდგომით პარკოსანი კულტურების თივის უქონლობის დროს. ნორმა 1—4 გ სულზე დღე-ღამეში.

ფოსფორი და კალცი აუცილებელია ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისათვის. ეს ნივთიერებები დიდი რაოდენობითაა თევზის ძვალში, რომლისგანაც შეიძლება დამზადდეს ფქვილი. ამისათვის ძვლებს წვავენ ღუმელში და ფქვავენ. 1—2 სულზე დღე-ღამეში საკვებთან შერევით. აძლევენ 4 გ ძვლის ფქვილს.

ბოცვერის რაციონი შეიძლება გავამდიდროთ ვიტამინებით.

ზაფხულის ცხელ დღეებში დედა ერთთვიანი ბაჭიებით სვამს 3,5 ლ-მდე წყალს დღეში. კუჭი ბოცვერს ერთპარკუჭიანი აქვს, როგორც ცხენს. ამიტომ წყალს ჭამის წინ სვამს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ეწყებათ მუცლის ჩხვლეტა, რომელიც ჩვეულებრივ სიკვდილით მთავრდება. ცხოველს უნდა ვასვათ სუფთა წყალი. ზაფხულის პერიოდში წყალს 2-ჯერ უცვლიან, ზამთარში აძლევენ თბილ წყალს.

კარგი გამოკვებისათვის ბოცვერს ჩასვამენ ჩაბნელებულ გალიაში ცალ-ცალკე, ხოლო თუ გვუფუჟრად გვყავს, მოჩხუბრებს ამოვსვამთ, ტყავი რომ არ გაუფუჟონ ერთმანეთს ჩხუბის დროს.

გასუქებისას სანამ ცხოველს დაკლავენ, ერთი კვირით ადრე რაციონიდან ამოიღებენ თალგამს, კომბოსტოს, ბოლოქს, რადგან ეს ბოსტნეული ხორცს აძლევს არასასურველ გემოს.

ცხიმისანი ხორცის მისაღებად მოზარდების გამოკვება უნდა დაიწყოს 4—4,5 თვიდან, რათა 6 თვის ასაკში, როცა მთავრდება მეორე ბეწვის ცვლა, ბოცვერის ხორცი იყოს კონდიციონერული ხორცის ხარისხთან.

გასუქება შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, როდესაც თითებით მოსინჯვის დროს ზურგის არეში ვერ ვკიდებთ თითებს, ესინჯება ცხიმოვანი ნაფენი მუცლის არეში. ასეთ ბოცვერს მომრგვალებული ფორმა აქვს, ბეწვის საფარი ხშირი და მბრწყინავი.

ბოცვერის დაკვლის შემდეგ ვღებულობთ როგორც ხორცს, ასევე ტყავს. ამიტომ აუცილებელია განესაზღვროთ ბეწვის მდგომარეობა

დაკვლის დროს. დაკლული ბოცვრის ტყავი ბეწვის ცვენის დროა უხარისხოა, ტყავი მალე გაშიშვლდება.

მოზარდები ბეწვს იცვლიან ერთი თვის ასაკში—დაწყებული მკერდის ქვედა ნაწილიდან. გავამდე. პროცესი გადადის წელზე, შემდეგ გვერდებსა და თეძოებზე. ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის დასაწყისში დაბადებულ მოზარდებს პირველი ბეწვის ცვლა უმთავრდებათ 3,5—4 თვის ასაკში, მეორე — 5 თვის ასაკში, მესამე — შემოდგომით. ბეწვის ცვენას ასე აღგენენ: თუკი ბეწვის ცვლა ზურგზე დამთავრდა, ხოლო გვერდებზე გრძელდება, ბეწვის ცვლა დასასრულს უახლოვდება. ბეწვის ცვენის შესამოწმებლად შეუბერავენ ტყავს უკანა ნაწილიდან, თუ კანი წითელია, მაშინ ცვენა ძირითადად დამთავრებულია. თეთრ ბოცვრებს რომელთაც დაუმთავრდათ ბეწვის ცვენა, ბეწვი გლუვი მბრწყინავი და სუფთა აქვთ.

მკურნალობის დროს წამალს გულდაგულ აურევენ მცირე საკვებში (რძეში, შვრიის ფაფაში) და ჭამის წინ აძლევენ ცხოველს, შემდეგ კი სხვა დანარჩენ საკვებს: თუ წამალი აბებშია, მას დაფხვნიან. რამდენადაც წამლის დოზა ყოველთვის მცირეა, ისინი არ ცვლიან საკვებებს გემოს.

კუნთში წამლის შეყვანის დროს ხმარობენ სპეციალურ სტერილიზებულ შპრიცს ბარძაყის კუნთში. წინასწარ უნდა შეეუბეროთ ბეწვს და სპირტიანი ბაშბით გავწმინდოთ ინიექციის ადგილი.

კუჭაშლილობის დროს რაციონში შეაქვთ გვირილა, მუხის ფოთლები, ზოგიერთ შემთხვევაში ბოცვრს უწყობენ განტვირთვის დღეს და აძლევენ მხოლოდ წყალს.

გაზების დაგროვების დროს მოზარდილებს 5—6, ხოლო მოზარდებს 3—4 გ გლაუბერის მარილს აძლევენ წყალში გახსნილს და ცხოველს აიძულებენ ირბინოს.

გაზების პროფილაქტიკისათვის ბოცვრებს აძლევენ ცხენის მკაუნას, მის ფესვებს ამზადებენ შემოდგომით, აშრობენ, ფქვავენ და ფხვნილის სახით აძლევენ საკვებთან ერთად, ანდა წყალში დღეში 1 კგ-ს.

კუჭისა და ნაწლავების კატარის დროს 10—20 საათის განმავლობაში მშვიდრს ამყოფებენ, შემდეგ თანდათანობით აძლევენ შვრიის ფაფას, მოხალულ შვრიას, გახეხილ სტაფილოს, ხის ტოტებს.

ტიმპანიის (მუცლის შებერილობა), მეტეორიზმის (დიდი ნაწლა-

ვის შებერილობა) კატარისას აუცილებელია შევამოწმოთ საკვების და წყლის სისუფთავე.

ნაწლავების შებერვის დროს ცხოველს აძლევენ 5—8 მლ 10-პროცენტთან იქთიოლის ხსნარს ან 3—5 მლ 5-პროცენტთან რძის მჟავას, ფრთხილად უზელონ მუცელს და უშვებენ გალიიდან.

რინიტით დაავადებისას ცხოველს ცხვირში ჩაუშვებენ 0,1-იან იოდის ხსნარს ან 5—6 წვეთ ექჰოვოცილინს, ანდა პენიცილინთან გახსნილ ფურაცილინს.

იმისათვის რომ თივთიკის ბეწვი არ დაიფანტოს, მათ დროდადრო ვარცხნიან სავარცხლით. თივთიკი გროვდება ერთ ან ორ თვეში, გამოწიწვებით ან გაკრეპით. დასაწყისში ბეწვს დავარცხნიან, ჩამოაცილიან ჭუჭყს და ფრთხილად გამოწიწვნიან თივთიკს, სახელურადაც სავარცხლით. ბეწვის ძირს დააწებებინ ცერა თითით და სავარცხლით. ამის შემდეგ ფრთხილად გამოწიწვნიან ხელით, ძალის გამოუყენებლად. გამოწიწვნი იწყება ზურგის უკანა ნაწილიდან.

ბოცვრის ყრეპავენ მჭრელპირიანი მაკრატლით. დასაწყისში ზურგიდან იწყებენ მოსინჯვას, ბეწვს აპრიან ერთი მიმართულებით, რაც შეიძლება კანთან ახლოს. ფეხებსა და თავზე თივთიკი მოკლეა, მოსაქსოვად უვარგისი, ამიტომ მას არ კრეპავენ. ბოცვრებიდან თივთიკს მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ. მაგრამ ზამთარში მას მთლიანად არ გამოწიწვნიან, ზაფხულში კი მთლიანად გაკრეპავენ.

ანგორის ჯიშის ბოცვრებს ნორმალური კვების დროს ბეწვი ეცლებათ ყოველ 2 თვეში ერთხელ. მაკე ბოცვრიდან ბეწვს იღებენ მხოლოდ პირველი 12 დღის განმავლობაში, დაგრილებას შემდეგ მოზარდებისაგან პირველ ბეწვს იღებენ 2 თვის ასაკში და შემდეგ ყოველ 2—2,5 თვის შემდეგ.

ბოცვრის მაღალი ხარისხის ტყავი რომ მივიღოთ, აუცილებელია მამალი მწარმოებელი შეირჩეს ზოოტექნიკური მონაცემების დაცვით. ამავე დროს უნდა შეიქმნას კვების კარგი პირობები. მოზარდებზე ძირითადად კლავენ 5—6 თვის ასაკში. შემოდგომით კი 4 თვის ასაკში. დიდი ასაკის ბოცვრის დაკვლა ზარალიანია საკვების ხარჯვის მხრივ, აგრეთვე მას ხორცის ხარისხაც უქვეითდება.

ერთ გალიაში ყოფნის დროს მამალი ბოცვრები თუ ჩხუბობენ, ისინი ცალკე უნდა მოვათავსოთ ან დავკოლოთ.

ყველაზე სრულფასოვანი ტყავი—ფუმფულა, ხშირი და მბრწყინავი ბეწვით მიიღება ნოემბრიდან მარტამდე.

არანაკლები მანებლობა მოაქვთ კერძო მეურნეობაში თავგებსა და ვირთხებს, რომლებსაც შრავალი ავადმყოფობა გადააქვთ, ამიტომ მათ საწინააღმდეგოდ უნდა ჩატარდეს მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებები.

ბოცვრის ნაკელი სრულფასოვანი სასუქია ყველა კულტურისათვის.

ღივტური ხორცი

ბოცვრის ხორცი მაღალფასოვანი დიეტური ხორცია. მასში შედის სრულფასოვანი ცილა, ვიტამინთა ჯგუფი, ელემენტი—კობალტი, ცინკი, სპილენძი.

აზოტური ნივთიერებების შემადგენლობით ჩამორჩება მხოლოდ გარეულ კურდღელსა და ინდაურის ხორცს. ცხიმოვნების მიხედვით კი საქონლის, ცხვრის, ღორის, ბატის და იხვის ხორცს. თავისი დიეტური თვისებებით ის უახლოვდება ქათმის ხორცს, ხოლო ცილის მნიშვნელოვანი შემადგენლობით აღემატება მას.

ბოცვრის ხორცი საგრძნობლად ღარიბია ქოლესტერინით, 100 გ ხორცში 25 მგ-ია, მაშინ როდესაც საქონლის ხორცში 37—48, ხბოას ხორცში — 38—83, ქათმის ხორცში — 35—108, ღორის ქონში — 74—126 პროცენტი. გარდა ამისა, ბოცვრის ქონი სხვა ცხოველთა ქონის შემადგენლობასთან შედარებით უფრო მდიდარია ბიოლოგურად, აგრეთვე გაჭერებული ცხიმოვანი მჟავით.

ცილის რაოდენობა ბოცვრის ასაკის ზრდასთან ერთად მატულობს. სხვადასხვა ჯიშის ბოცვრებში ცილის შემადგენლობა განსხვავებულია. საკვებად სრულფასოვნად ჩაითვლება 4—4,5 თვის ბოცვრის ხორცი.

ბოცვრის ხორცი, როგორც დიეტური პროდუქტი, სასარგებლოა ძირითადად ბავშვების, ფეხმძიმე ქალებისა და იმ დედებისათვის, რომლებიც ძუძუს აწოვებენ ბავშვებს. ასევე, ვისაც დარღვეული აქვს საჭმლის გადამამუშავებელი და გულსისხლძარღვთა სისტემა.

ბოცვრის ხორცისაგან შეიძლება მომზადდეს სხვადასხვა სახის კერძი: გათავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

რ ა გ უ ბ ო ც ვ რ ი ს ხ ო რ ც ი ს ა გ ა ნ . ბოცვრის ხორცი უნ-

და დავკრათ ნაჭრებად და შევწვათ ტაფაზე შეწითლებამდე. ჩავაწყოთ ღრმა ქურჭელში, დავასხათ ბულიონი ან ადუღებული წყალი, დავუმატოთ ტომატი და მარილი, დავაფაროთ თავსახური და ვადუღოთ მომზადებამდე. ბულიონი ან წყალი უნდა დავუმატოთ იმ რაოდენობით, რომ დაფაროს მხოლოდ ხორცი. ცალკე ჩავთუთქოთ ცხიმში სტაფილო, კარტოფილი და ხახვი. როდესაც ხორცი მზად იქნება, წვენს დავუმატოთ ცხიმში მოშუშული ფქვილი, ყოველგვ ერთად წაპოვადულოთ.

ერთი ნორმისათვის საჭიროა 150 გ ბოცვრის ხორცი, 15 გ მზესუმბირის ზეთი, 7 გ უმაღლესი ხარისხის ფქვილი, თავიანი ხახვი და სტაფილო — 50 გ, 150 გ კარტოფილი, 15 გ ტომატი.

ფლაკი ბოცვრის ხორცისაგან. ნაჭრებად დაკრულ ხორცს შევწვათ ზეთში, დავასხამთ წვენს ან წყალს, ჩავუმატებთ მარილს, დავაფარებთ სახურავს და ვხარშავთ, როდესაც ხორცი მზად იქნება, ჩავუშვებთ მასში შემწვარ ხახვს, კარაქს, ბრინჯს, დაფნის ფოთოლს, წიწაკას და მოვხარშავთ ნელ ცეცხლზე.

ერთი ულუფისათვის საჭიროა — 150 გ ბოცვრის ხორცი, 5 გ თავიანი ხახვი, 50 გ ბრინჯი, 15 გ კარაქი.

ჩახოხბილი ბოცვრის ხორცისაგან. 40—50 გ ბოცვრის ხორცის ნაჭრები შევწვათ შეწითლებამდე, შემწვარი ნაჭრები ჩავაწყოთ ღრმა ქურჭელში, დავასხათ ცოტაოდენი წვენი ან ადუღებული წყალი და შევდგათ ნელ ცეცხლზე. მოვშუშოთ ტომატი, თავიანი ხახვი, ფქვილი და ჩავუშვათ ბულიონში. ვხარშოთ მომზადებამდე. როდესაც ხორცი მომზადდება, ჩავუმატოთ თეთრი ღვინო ან ღვინის ძმარი გემოვნებით. მაგიდაზე მიტანის წინ მოვაყაროთ დაქრილი ოხრახუში.

ერთი ულუფისათვის საჭიროა: 150 გ ბოცვრის ხორცი, 25 გ ღორის ქონი ან ზეთი, 20 გ ტომატი ან 100 გ ახალი პამიდორა, 40 გ თავიანი ხახვი, 10 გ ღვინის ძმარი, წიწაკა, დაფნის ფოთოლი, მწვანელი.

ბოცვრის ხორცი მთლიანად ჩაშუშული. ხორცს გავრეცხავთ ცივ წყალში, დავკრით მთლიანად, მოვაყრით მარილს, წავუხვამთ რომელიმე ცხიმს ან მარგარინს. რაც შეიძლება მკიდროდ ხსნარით. შეიძლება ასევე ჩავაყაროთ პენიცილინი ან პირონიდა — მოდან დავაწყობთ მრგვლად დაკრულ თავიან ხახვს და დაფნას, დავუმატებთ წიწაკას, ჩავუშვავთ მომზადებამდე.

ერთი ულუფისათვის საჭიროა 100—150 გ ხორცი, 2 სუფრას

კოვზი ზეთი, 100 გ ლორის ქონი ან 150 გ მარგარინი, 5—7 ცალი დაფნის ფოთოლი, შავი წიწაკა და საკმელო მარილი გემოვნებით.

აოცვრის ძირითადი ლაავაღებანი

ინფექციური სტომატიტი. დაავადებას ადრე უწოდებდნენ „სველ ცხვირს“, რომლითაც ავადმყოფობენ უმთავრესად 1—1,5 კვირის მოზარდები დედისაგან მათი გადასმის შემდეგ. სტომატიტი ვრცელდება ავადმყოფ ბოცვრებთან კონტაქტის გზით. ავადმყოფობა წარმოიშობა ლორწოვანი ჯირკვლების ანთებით. შემდეგ ენაზე გაჩნდება ნალექი, რომელიც ავადმყოფობის გაძლიერებასთან ერთად იცვლის ფერს. თეთრიდან მონაცისფრო მოწითალოში გადადის. ენაზე უვითარდებათ საკმაოდ დიდი წყლული, ჩამოსდით ლორწო, ავადმყოფობა თანდათან ძლავრდება. ავადმყოფი ბოცვრები იფხანენ ცხვირპირს თათებით, ხდებიან და აპათიურები არიან. ხშირად იყუყუბიან გალიის კუთხეში. მაღა ჩეულებრივი აქვთ, მაგრამ ცოტას ჰამენ და სვამენ, იფიტებიან. ავადმყოფობა სწრაფად ფორმირდება. მსუბუქ ფორმაში ბოცვრი 10—12 დღის შემდეგ გამოჯანმრთელდება, ძლიერი ფორმის დროს კი ერთი კვირის განმავლობაში იხოცება.

ლორწოს ჩამოსვლა ბოცვრებს აღენიშნებათ სხვა ავადმყოფობის დროსაც. ინფექციური სტომატიტისათვის დამახასიათებელია სხვა კლინიკური თვისებების განვითარება (კუჭაშლილობა, დაბეჩავება და სხვ.).

ინფექციური სტომატიტის დროს სასწრაფო იზოლაცია უნდა მოვახდინოთ. გალიას და ინვენტარს უნდა გავუკეთოთ დეზინფექცია. დაავადებული ბოცვრები შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ სასაქონლო მიზნით. მათი შეწყვილება სხვა ბოცვრებთან დაუშვებელია. ავადმყოფი ბოცვრის აღმოჩენისას გალიაში უნდა ვუმკურნალოთ როგორც ავადმყოფს, ასევე ჯანმრთელსაც, რათა თავიდან ავიცილოთ მასობრივი დაავადება.

აუცილებელია მაშინვე გავაუმჯობესოთ საკვება. პირის ღრუ უნდა გამოვურეცხოთ 0,15 ც მანგანუმის, ანდა 2-პროცენტიანი შაბის ხსნარით შეიძლება ასევე ჩავაყაროთ პენცილინი ან პირონიდა — 1:1000. ასევე პირის ღრუში მოვაყაროთ თეთრი სტრეპტოციდის ფხვნილი სამ დღეში ერთხელ 0,2 გ, ასევე შეიძლება წავუსვათ 170 გ თეთრი ნეიტრალური საცხი — სადები 30 გ ლანოლინი, 2 გ თეთრი სტრეპტოციდი და 20C ათასი ერთეული პენიცილინი. კარგ

შედგეს იძლევა აგრეთვე კანქვეშ პენიცილინის 20—40 ათასი ერთ-
ულის გაკეთება.

ჯანმრთელ ბოცვრებს, რომლებიც ავადმყოფებთან ერთ გალიან-
იმყოფებიან, პირის ღრუში უნდა მოვაყაროთ თეთრი სტრეპტოც-
დი — 0,1 სულზე.

ინფექციური სურდო ბოცვრის გავრცელებული დაავადებაა, რო-
მელიც გამოწვეულია სხვადასხვა სახის მიკრობებით — მეტ წილად
ცხვირის ნესტოში არსებული. ჩვეულებრივ პირობებში არ ამჟღავ-
ნებს მავნებლურ ხასიათს. როდესაც შეექმნება არასასურველი პირო-
ბა ან ტრავმა, ცხვირის ნესტოდან ჩამოსდის სისველე, ეს პირობათაა
უვითარდება ცხოველს ორგანიზმში. სწრაფად ვითარდება და ბოც-
ვერი ავადდება. იგი ხდება ავადმყოფობის გამავრცელებელი. ვინა-
იდან ცხვირის დაცემინებისას ავრცელებენ ამ მიკრობებს. ავადმყო-
ფი ბოცვრები ხშირად აცემინებენ, თათით იჭეკავენ ცხვირს, საილ-
ნაც გამოაქვთ ჩირქოვანი ლორწოვანი ბოჭკოები, რომელიც ზოგჯერ
ღრუნიწზე ხმება. ბოცვერი იძულებულია ისუნთქოს პირით. ცხვირის
ნესტოები ანთებით პროცესშია და შეშუპებული აქვს. თუ ანთებითი
პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ ცხვირის არეში. ავადმყოფობა ღე-
ბულობს ქრონიკულ ხასიათს და შეიძლება წილიწადზე მეტხანს გა-
გრძელდეს. საერთო მდგომარეობა ასეთი ბოცვრისა მცირედით იცვ-
ლება. თუ ანთებითი პროცესი გადაედება ორგანიზმის სხვა ნაწილებ-
საც, მაგალითად, ფილტვებს, ბოცვერი ჩვეულებრივ ერთი-ორი თვის
შემდეგ კვდება. დაავადების ასეთი მძიმე ფორმის დროს, გარდა
აღწერილი ნიშნებისა, ბოცვერი მძიმედ სუნთქავს, ხროტიანებს, ორ-
განიზმის ტემპერატურა მაღლდება.

ავადმყოფობის ნიშნები შეინიშნება გაციების შედეგად. ავადმყო-
ფი ცხოველი მაშინვე უნდა დაიკლას და გალიებს გაუკეთდეს დეზინ-
ფექცია, ქვეშსაგები და ნარჩენი დაიწვას.

ავადმყოფობის იოლ ფორმებში ცხოველის მკურნალობა შეიძ-
ლება. გამოიყენება ფიზიოლოგიური ხსნარი და 1 პროცენტი ეკვომი-
ცილინი, (1:2), რომლის 5—6 წვეთი ნესტოში ყოველდღე უნდა
ჩავაწვეთოთ. კარგ შედეგს იძლევა ცხვირის გამოწმენდა ფურაცლი-
ნის ხსნარით.

პასტერელოზი ინფექციური და საშიში დაავადებაა, რომელსაც იწ-
ვევს პასტერელის მიკრობი. გავრცელებულია ყველგან. ავადდებიან

სხვა ცხოველები და ფრინველები, ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანიც ბოცვრებს შორის ეს ავადმყოფობა სწრაფად ვითარდება. დაავადების ორ ფორმას არჩევენ—ტიპურს და არატიპურს. ტიპური ავადმყოფობა წარმოიქმნება ლიმფურ ჯირკვლებსა და სისხლძარღვებში. იწვევს მის მთლიან დაავადებას, რის შედეგადაც ორი დღის შემდეგ ბოცვერი კვდება. ავადმყოფობა გამოიხატება შემდეგი ფორმით: დასაწყისში ხდება ორგანიზმის ტემპერატურის აწევა და სიკვდილს წინ მისი სწრაფი დაცემა. მოღუწებულია სუნთქვა, დამახასიათებელია კვების აღკვეთა, ზოგიერთ შემთხვევაში კუჭაშლილობა და ცხვირიდან მნიშვნელოვანი გამონადენი.

არატიპური ფორმის დროს დაავადება გრძელდება უფრო სუსტ ფორმებში. ავადმყოფობაში ითრევეს ორგანიზმის ცალკეულ ნაწილებს, რომელიც 1,5—3 თვის განმავლობაში მიმდინარეობს ფარულად. უარესდება საერთო მდგომარეობა, თუმცა ამ ფორმაში ცხოველი ჯანმრთელდება. ტიპური ფორმით ავადმყოფობის დროს ცხოველის მკურნალობა უნაყოფოა. ის სასწრაფოდ უნდა დაიკლას. დანარჩენ ცხოველებს კი კანქვეშ გაუკეთებენ მილიონ 2-პროცენტთან ოქსიტეტრაციკლინს 1 კგ ცოცხალ წონაზე 8—10 საათის ინტერვალით, ბიომიცინს — ასეთივე დოზით. ყველა გალიას და ინვენტარს უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია. ქვეშისაგები და დანარჩენი საკვები დაიწვას.

ავადმყოფი ბოცვრის ხორცი შეიძლება გამოვიყენოთ საკვებად მხოლოდ მისი ხანგრძლივი მოხარშვის შემდეგ, ტყავი კი დეზინფექციისა და გაშრობის შემდეგ.

ლისტერიოზი ინფექციური დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია მიკრობი ლისტერიით. ლისტერიოზით ავადდება აგრეთვე სხვა ძუძუმწოვრებიც და ფრინველებიც. ის ადამიანისთვისაც საშიშია. ლისტერიოზით ავადდება ძირითადად მაკე ბოცვერი.

ინფექციის მთავარი წყარო დაავადებული ბოცვრები და თაგვისებრი მღრღნელებია. არჩევენ ამ დაავადების უმწვავეს, მწვავე და ქრონიკულ ფორმებს. უმწვავესი ფორმის დროს მაკე ბოცვერი მაშინვე კვდება. მხოლოდ ავადმყოფობის მწვავე ფორმაში ემართებათ აბორტი მაკეობის მეორე პერიოდში. ამ ფორმის დროს ავადმყოფობა მიმდინარეობს 2—4 დღე და თითქმის ყოველთვის მთავრდება ბოცვრების სიკვდილით. ავადმყოფობის ნიშნები ვლინდება კიდურების სიღამბლით, უფრო ხშირად უკანა კიდურების, რომელიც აბორტია

შემდეგ ემართებათ.

ქრონიკული დაავადების დროს დედებს არ ემართებათ აბორტი, მაგრამ საშვილოსნოში ნაყოფი კვდება და იხრწნება. ჩვეულებრივ ასეთი ბოცვრები იღუპებიან 10—14 დღის, ზოგჯერ 1 ან 2 თვის შემდეგ. ცოცხლობენ მხოლოდ ერთეულები, რომლებიც ნაყოფს აღარ იძლევიან. ავადმყოფობა შეიძლება განვითარდეს ფარულად, ყოველგვარი გარეგანი ცვლილებების გარეშე. ამ დაავადების გამოძევაუნება შეიძლება ნაყოფის მოუცემლობის შემთხვევაში, თუ აღრე ჩანასახი ესინჯებოდა და შემდეგ გაუქრა.

მკვდარ ბოცვერს ლისტერიოზი შეიძლება დაუდგინდეს ღვიძლის ზედაპირის გასინჯვით, სადაც აღენიშნება თეთრი ფერის პარკუჭი, ასევე ელენთის გადიდება, რომელიც მუქი წითელია. ეს დაავადება მკურნალობას არ ექვემდებარება, ამიტომ ლისტერიოზით დაავადებული ბოცვრები დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს, გალიებს კი გაუკეთდეს დეზინფექცია.

მიქსომატოზი. მიქსომატოზით ავადმყოფობენ მხოლოდ ბოცვრები. აღვზნებადია მიქსოზის ვირუსი. ჭანმრთელი ბოცვრები ავადდებიან ავადმყოფ ან ავადმყოფობამოხილ ბოცვრებთან კონტაქტის დროს. ავადმყოფობა სწრაფად ვრცელდება. ამიტომ პირველივე ნიშნისთანავე უნდა ვიყოთ განსაკუთრებულად ფრთხილად და ცხოველს გაუკეთოთ იზოლირება.

ავადმყოფობა ძირითადად გადააქვთ რწყილებს, ბუხებს, ტიღებს, ინვენტარს. მიქსომატოზის ორ ფორმას არჩევენ: შეშუპებულსა და კვანძურს. შეშუპებული მიქსომატოზის დროს ბოცვერს დასაწყისში აღენიშნება ორმხრივი დაწყლულება თავზე, ზურგზე, გვერდებსა და სხვა ადგილებზე. აღენიშნება 3—4 სმ სიდიდის შეშუპებები. ამ შესიებულ ადგილებში კი ლორწოვანი სითხე. ამით განსხვავდება მიქსომატოზი მოხეტიალე პიემისაგან, რომლის დროსაც სიმსივნეში სქელი შედედებული ჩირქბროვია. ბოცვრები, დაავადებული მიქსომატოზით, შეშუპებულ ფორმაში დაბეჩავებულნი არიან, უარს აპობენ საჭმელზე, ხდებიან, ემატებათ ორგანიზმის ტემპერატურა. სუნთქვა ხრიალისებური აქვთ, ყურებს ძირს ხრიან, ქუთუთოები ეწებებათ გამონადენის გამო. ავადმყოფობა გრძელდება 4-დან 10 დღემდე, ზოგჯერ 4 კვირამდე. ბოცვრის 90 პროცენტი იღუპება.

მიქსომატოზის კვანძური ფორმის დროს ცხოველს აღნიშნული ცვლილებები არა აქვს, ოღონდ თავზე, ყურებსა და ქუთუთოებზე ჩნდება კვანძოვანი წარმონაქმნები, რომლებიც ზოგჯერ შეიწოვება.

კვანძოვანი ფორმა გრძელდება 30—40 დღის განმავლობაში. ავად-
მყოფი ბოცერის მხოლოდ 30 პროცენტი გამოჯანვრთელდება.

მიქსომატოზი ჭერ კიდევ არ არის გამოკვლეული, ამიტომ ამ ავად-
მყოფობით დაავადებულ ცხოველებს სპობენ. ყველაფერს უკეთებენ
დეზინფექციას 2-პროცენტიანი ნატრიუმის ხსნარით. ქვეშაგებს და
ნარჩენ საკვებს წვავენ.

სტაფილოკოკოზი აღგზნებადი ავადმყოფობაა. გამოირჩევა მაღალა
გამძლეობით. ავადდებიან ყველა ასაკის ბოცერები და სხვა ცხოვე-
ლებიც. ავადმყოფობა საშიშია ადამიანისათვის, რასაც ვხვდებით
საკმაოდ ხშირად საყოველთაოდ. ძირითადი გამავრცელებლები ავად-
მყოფი ცხოველებია, ასევე ნაკელი, ქვეშაგები და საკვების ნარჩე-
ნები გალიიდან, სადაც იმყოფებიან დაავადებული ბოცერები. ავად-
მყოფობის განვითარების თავისებურების გამო, ის აერთიანებს მთელ
რიგ დაავადებებს: მოხეტიალე პიემას, მასტიტს, ახლად დაბადებულ
ბოცერებს სეპტიკოპიემას, სეპტიურს, სტაფილოკოკურ გართულე-
ბებს კანქვეშ.

ამ ავადმყოფობის ძირითადი ნიშნები თითქმის ერთმანეთს ემთ-
ხვევა, თუმცა აქვთ განმასხვავებელიც. მაგალითად, სეპტიპიემით და-
ავადებულ ბოცერებს პირველი დღიდანვე ეტყობათ კანზე მრავალ-
რიცხოვანი ჩირქოვანი მარცვლები. მოხეტიალე პიემის დროს კი
თავსა, გვერდებზე, ტუჩებსა და ზურგზე ემჩნევათ საკმაოდ მსხვი-
ლი ჩირქოვანი პარკუჭები.

მასტიტის დროს შეინიშნება შეწითლება, შემდეგ სარძევე ჯირ-
კვლების გამაგრება; ხელით მათი გამოწურვისას გამოდის ჩირქი.
სეპტიცემიის დროს ტანზე აღენიშნებათ დაჩირქებები. ამ დროს მა-
ტულობს ორგანიზმის ტემპერატურაც — 40—42 გრადუსამდე. კან-
ქვეშ დერმატიტის დროს თათის შუა ნაწილებში ჩნდება წყლულები.
ამდენად სტაფილოკოკის ყველა ფორმის დროს მკურნალობა ნაკლებ-
ეფექტანაა. ავადმყოფი ბოცერები უმჯობესია მაშინვე მოვაქციოთ
ეზოლაციაში და დავხოცოთ. მწვავე მასტიტის დროს ხორცს სპობენ
ბეწვი შეიძლება გამოვიყენოთ სათანადო დეზინფექციისა და გაშ-
რობის შემდეგ. დეზინფექციას უკეთებენ გალიას და ინვენტარს,
საკვების ნარჩენებს კი წვავენ.

სტაფილოკოკის ასაცილებლად უნდა ჩავატაროთ პროფილაქტიკა.
სისტემატურად გამოწმობთ ბოცერები, ოდნავ ვანაფხაქსნაც კი უნდა
უშუქურნალოთ. საგულდაგულოდ ჩავატაროთ დეზინფექცია დაბაჭი-

ანების წინ. სარძევე ჯირკვლებზე ნაკბენს ყოველდღე წაფუკავი პენიცილინის მალამო, ასევე სტრეპტომიცინის, პროპოლისის ან თუთიის მალამო.

კოქციდიოზი საშიში და გავრცელებული დაავადებაა 1,5—5 თვემდე ასაკის მოზარდებში. მოზრდილი ბოცვრები არ ავადმყოფობენ. კოქციდიოზი ვლინდება სხვადასხვა სახით: თითოეული მათგანი ავადებს სხვადასხვა ორგანოს: ღვიძლს, კუჭ-ნაწლავს, წერილი ნაწლავის შუა და ნაწლავების ბოლო ნაწილებს, მსხვილი ნაწლავის წინა მხარეს. ეს ავადმყოფობა ყველაზე მეტად ბოცვრებშია გავრცელებული.

კოქციდიოზის დროს ბოცვერი ცოტას ჭამს და ბევრ წყალს სვამს. ნუცელი ებერება, ბეწვის საფარი აბურძგვნილი და მოთელილი აქვს. ასეთ ბოცვრებს გაზებთან ერთად კუჭაშლილობაც აღენიშნებათ. ნაწლავების ძლიერი მწვავე ანთებისას ბოცვერი 10—15 დღის შემდეგ იღუპება. თუ ბოცვერი დაავადებულია ღვიძლის კოქციდიოზით 30—50 დღის შემდეგ იშვიათად იღუპება.

კოქციდიოზის მრავალი საწინააღმდეგო მეთოდი დაამუშავებულია. ბოცვერს ხუთი დღის განმავლობაში ყოველ დღე უნდა მიეცეს სულფადიმეტოქსინი 1 კგ ცოცხალ წონაზე — პირველ დღეს 0,2 გ, მომდევნო დღეებში — 0,1 გ, შემდეგ შევისვენებთ 5 დღეს და გავიმეორებთ მკურნალობის კურსს.

კოქციდიოზი შეიძლება განიკურნოს თუ ბოცვერს ხუთი დღის განმავლობაში მიეცემთ 0,4 გ ნორსულფაზოლს 1 კგ ცოცხალ წონაზე წყლის ან რძის ხსნარში და 0,1 გ ფტივაზოლს ან 0,2—0,3 დი-სულფანს საკვებში შერევით. ყველა ეს დოზა გათვალისწინებულია კილოგრამ ცოცხალ წონაზე. ხუთი დღის შემდეგ ასეთ მკურნალობას გავიმეორებთ. ეფექტიანია აგრეთვე 5—7 დღის განმავლობაში ფერაზოლიდონი — 30 მგ ცხოველის 1 კგ ცოცხალ წონაზე ან ამ პრეპარატის ორმაგი დოზა — 20—20 მგ 1 კგ ცოცხალ წონაზე ათი დღის განმავლობაში. ასევე რეკომენდებულია დღეში ერთხელ ათი დღის განმავლობაში ზოალენი — 250 მგ 1 კგ საკვებზე. ტრიქაზოლი — დღეში 2-ჯერ 10 მგ 1 კგ ცოცხალ წონაზე, თეთრი სტრეპტოციდი დღეში 2-ჯერ 200 მგ სულზე. ერთჯერადად — სულფადიმეზინი 150 მგ სულზე დღე-ღამეში. ლევომიციტინი — 40 მგ ერთჯერადად სულზე დღე-ღამეში. შეიძლება ავადმყოფ ბოცვრებს საკვებში ხუთი დღის განმავლობაში მიეცეთ მონომიცინი სულფაპირაღოზიმით

ან ნორსულფაზოლით შესაბამისი დოზით 2500, 100 და 400 მგ კოლოგრამ ცოცხალ წონაზე. სამდღიანი შესვენების შემდეგ მკურნალობა მეორდება.

კოქციდიოზის მოქმედების შემცირებისათვის საჭიროა ყოველდღიით მივცეთ 0,1—0,2 პროცენტი იოდისანი წყალი 10-დან 25 დღემდე მაკე ბოცვებს, მოზარდებს — 45—60 დღის ასაკამდე. იოდის ხსნარის მოსამზადებლად საჭიროა 10 პროცენტი იოდის ხსნარი. ერთ ლიტრ წყალში უნდა ჩავუშვათ 20 ან 40 წვეთი 5-პროცენტისანი ხსნარი.

კოქციდიოზით დაავადებული დაკლული ბოცვრის ხორცი ვარგისიანია, მაგრამ ღვიძლის გარეშე, რომელსაც სპობენ. გამოიყენება ასევე ბეწვი.

პასალუროზი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. გამოწვეულია მკრელი ჭიებისაგან, რომელთა სიგრძე 3,5-დან 12 მმ-ია, სიგანე — 0,2-დან 0,6 მმ-მდე. ავადმყოფობენ უპირატესად მოზარდი ბოცვრები. ამ დაავადებას ბოცვერი მაშინ ლეებლობს, როდესაც საჭმელში ან რაიმე სხვა მიზეზით ამ პარაზიტის კვერცხები შეყვება, რომლებიც დღე-ღამეში ვითარდებიან.

ავადმყოფი ბოცვრები იქექებიან ტანის უკანა ნაწილით, ხან გალის კედლებზე, ხან კი იატაკზე, ვინაიდან ჭიები აწუხებთ. განავალს ვეღვი ან მაგარია, ლორწოს გარსით.

მკურნალობისათვის ბოცვერს მშიერს ამყოფებენ დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ საკვებში (მოხარულ კარტოფილში ან კომბინირებულ საკვებში) ერთჯერადად უმატებენ პიპერაზინ ადიპინატს, ან პიპერაზინ ფოსფატს, ან პიპერაზინ სულფატს 1—1,5 გ კილოგრამ ცოცხალ წონაზე, ან ზედიზედ ორ დღეს დღეში ერთხელ აძლევენ ფენოტიასინს 1 გ-ს 1 კგ ცოცხალ წონაზე. 16 დღის შემდეგ მკურნალობის კურსს გავიმეორებთ.

ასეთი მკურნალობის ეფექტიანობა მაღალია და თითქმის ყველა ბოცვერა გამოჯანმრთელდება.

მკრეჭავი სირსველი. ავადმყოფობას იწვევს სხვადასხვა სოკოვანი დაავადება. ასეთი ბოცვრები ადამიანისათვის საშიშია. დიაგნოზი თვალთ კეთდება. კანი ბეწვგაცილილია, დაფარულია მონაცრისფრო ჭერცლით. ეს ავადმყოფობა ხშირად აღენიშნებათ ცხვირის, თვალისა, ყელისა და ფეხის, ზოგჯერ სხვა ადგილებშიც. ავადმყოფობა გრძელდება ქრონიკულად და შეიძლება წელიწადზე მეტხანს გაგრძელდეს.

დავადების გამოვლენისათვის მათი სასწრაფო იზოლაციაა საჭირო, ხოლო ძლიერი დავადებისას მათ ხოცავენ. გალიას და ინვენტარს უკეთებენ დეზინფექციას. ქვეშაგებს და ნარჩენ საკვებს წვავენ. უტარებენ პირად პროფილაქტიკას. მსუბუქი სენის დროს ბოცვერი შეიძლება განიჟურნოს. ამისათვის აცოლებენ დაავადებულ ქერკლს და მის გარშემო ბეწვს, რომელსაც მაშინვე წვავენ. ქერკის ასაძრობად წინასწარ ასველებენ თბილი ხსნარის წვეთებით. ამის შემდეგ დაავადებული კანის ნაწილს უსვამენ 10-პროცენტის იოდის ხსნარს, 10-პროცენტის სპირტის ხსნარს, სალიცილის მკვავითი დამზადებულ მალამოს. რამდენიმე დღეს იმეორებენ მკურნალობას. იოდის ხსნარი შეიძლება შეეუროთ ვილკინსონის მალამოში. კარგი შედეგი მიიღება, თუ იოდის ხსნარის ორჯერადი წასმის შემდეგ დაავადებულ ადგილებზე დაწურავენ 50—60 გრადუსამდე გაცხელებულ თევზის ქონს. ასევე კარგია იოდით დამუშავებულ კანზე მარილიანი ქონის წასმა. გამოჯანმრთელების შემდეგ ბოცვერი გადაჰყავთ სხვა სუფთა გალიაში, ხოლო ამ გალიას თავისი ინვენტარით უკეთებენ დეზინფექციას. დანარჩენ ბოცვრებს პროფილაქტიკის მიზნით აძლევენ 30—40 დღის განმავლობაში ანტიბიოტიკ გრიზოფულვინს — 10—20 მგ-ს 1 კგ ცოცხალ წონაზე ყოველ დღე. ანტიბიოტიკის მიცემისას 10 დღის შემდეგ ბოცვრებს შეიძლება გაუკეთდეს ვაქცინა — მენტავაკი.

ბოცვრებს ხშირად ახასიათებთ გაციების შედეგად ბრონქიტი, პლევრიტი, ანდა ანთება. ამ შემთხვევაში უნდა გავაუმჯობესოთ საკვები და ცხოველი მოვათავსოთ თბილ ადგილზე. ბრონქიტის, პლევრიტისა და ანთების დროს აძლევენ 0,2—0,3 გ დიმეზინს ან 0,025—0,05 გ სულფანტოლს კილოგრამ ცოცხალ წონაზე. კანქვეშ დღეში 2—3-ჯერ უკეთებენ პენიცილინს ან ეკომოვიცილინს 15—20 ათ ერთეულს კგ ცოცხალ წონაზე.

მზისა და სიცხის დარტყმა. სიცხიან ამინდში მზის სხივებმა ან სამყოფელში არსებულმა ძლიერმა სიცხემ შეიძლება მზისა და სიცხის დარტყმა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ბოცვრის სადგომი უნდა გავანიავოთ და საჩრდილობელი გავუკეთოთ. სიცხის დარტყმის ნიშნებია: მოთენთილობა და საკვების აკრძალვა. ბოცვერი ამ დროს მუცელზე ან გვერდზე წევს. ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ სიგრილეში და დავასხათ ცივი წყალი.

ზამთრის პერიოდში გაუმთბარ შენობაში შეიძლება აღენიშნოთ ტანის ზოგიერთი ადგილის მოყინვა, უფრო ხშირად ყურების. ყურებში შეუსივდებათ ან სითხე ჩაუღვებათ.

ბოცვერს არცთუ იშვიათად აქვს სხვადასხვა ტრავმა, რაც ემართებათ მოუწყობელ გალიებში ყოფნით. ლურსმანის ან მავთულის წვერზე წამოგებებიან. ქვევით ფსკერზე დიდი ზომის ბადეა გაკრული. სადაც კიდურებით ხშირად ვარდებიან. ტრავმებს ღებულობენ ჯგუფური შენახვის დროს, როდესაც მათში მოჩხუბარი გამოერევა. ჩხუბის დროს ერთმანეთს სცემენ ძლიერი უკანა კიდურებით და ხშირად კბენენ კიდეც, რითაც ტყავის ხარისხი ეცემა. ყველაზე საშიშია ჯანმრთელობისათვის თათის დარტყმა, რისგანაც ხშირად ემართებათ უკანა კიდურის დამბლა და წელის არე ძალიან ძლიერად უზიანდებათ. პარალიზებული ბოცვერი მაშინვე უნდა დაიკლას. ბოცვერი მშიშარა ცხოველია და თავისი სწრაფი მოძრაობის დროსაც ღებულობს ტრავმას. ამისათვის მათთან მუშაობის დროს ყოველივე უნდა ვაკეთოთ დინჯად და წყნარად. ზოგჯერ ბოცვერს თვალში მტერისაგან ან რაიმეს ჩაყარდნისაგან ემართება ჩირქოვანი კონიუნქტივიტი, რისთვისაც მას ყოველდღე უნდა ჩამოვბანოთ თვალი 2-პროცენტის ბორის მყავით და თვალში ჩავუშვათ 2—3 წვეთი თუთიის თვალის წვეთი.

ზოგიერთ შემთხვევაში ბოცვის ავადმყოფობა გამოწვეულია არასრულფასოვანი კვებით.

რაციონში საჭმელი მარილის ზედმეტმა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა. ამ დროს ბოცვრები სულ არ ჰკავენ და ბევრ წყალს სვამენ. გარდა ამისა, აქვთ კუჭაშლილობა და ლორწოსდენა. მკურნალობის მეთოდი ასეთია: უკეთებენ თბილ ოყნას და წყლის მაგივრად რძეს აძლევენ.

არასრულფასოვანი კვების დროს აღენიშნებათ რაქიტი, რაც გამოწვეულია მოზარდის რაციონში ვიტამინის, კალციუსა და ფოსფორის ნაკლებობებით. ამ დროს მათი ზრდა შეჩერდება და წელიც უმრუდდებათ. ამ შემთხვევაში კვების რაციონში უნდა შევიტანოთ ვიტამინი D, კალცი და ფოსფორი. ზაფხულში მიეცეთ მწვანე ბალახი, ხოლო ზამთარში ვიტამინები და ძვლის ფქვილი.

ასევე არასწორი კვების დროს ბოცვერს ემართება კუჭის კატარა, ნაწლავების დაავადება და უგროვდება გაზები.

ბოცვის ავადმყოფობათა პროფილაქტიკა. ყოველგვარი ავადმყოფობის პროფილაქტიკისათვის აუცილებელია ბოცვის წორმალური კვება და სისუფთავე. თავის დროზე შენობაში, გალიასა და ხმარებაში მყოფი ინვენტარის დეზინფექცია.

ასევე არ უნდა დავეშვათ გალიაში ავადმყოფი ბოცვრის შეყვანა. ამისათვის საჭიროა მისი ერთ თვემდე კარანტინში ყოფნა. თუკი ამ პერიოდის დროს ახლად მოყვანილ ბოცვერს არ აღმოაჩნდება რაიმე დაავადება, მაშინ შეგვიძლია მისი შეყვანა სხვა ბოცვრებთან. ყველა ლითონის იარაღი უნდა მოვწვავთ ნავთქურაზე. დანარჩენი იარაღები და ბადის ნაწილები ცხელი წყლით გავრეცხოთ. ასევე შეიძლება დეზინფექცია 3—5-პროცენტიანი კრეოლინის ან ჩამქრალი კირის ხსნარით.

ამრიგად, ბოცვრის ჯანმრთელობის მთავარი პირობაა: ნორმალური კვება, სისუფთავე და პერიოდულად დეზინფექციის გაკეთება.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ნ ე ტ რ ი ა

ნეტრიის ბიოლოგია

ნეტრიასთან მუშაობის წესი

ნეტრიის სადგომი

ნეტრიის მოშენება

სანაშენე მუშაობა

ნეტრიის ბეწვის დაწოლის შეფერილობის შეფასება

ფერადი შეფერილობის ნეტრიის წარმოება

ნეტრიის კვება

ცხოველური წარმოშობის საკვები

ნეტრიის ნორმირებული კვება

ნეტრიის დაკვლის წესი

ტყავის პირველადი დამუშავება

ტყავის ხარისხის განსაზღვრა

ნეტრიის ხორცი და მისი კერძები

ნეტრიის დაავადებები და მათი პროფილაქტიკა

საკვებბაღამამუშავებელი ორგანოს დაავადება

ბ ო ც ვ ე რ ი

ბოცერის ბიოლოგიური თავისებურება

ბოცერის ჭიშები

ბოცერის მოშენება

ბოცერის სადგომი

ბოცერის გამოკვება

ტყავის პირველადი დამუშავება

ბოცერის ტყავის შეღებვა

ტყავის გამოყვანა

რჩევა-დარიგება ბოცერის მოყვარულთ

დიეტური ხორცი

ბოცერის ძირითადი დაავადებები